საერთო გაზეთი

№18 (371) • 25 მაისი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.

ბილოცავთ, საქართველოში მსოფლიოში სიდიდით მეხუთე ტექნოლოგიური ინსტიტუტი დაარსდა!

კობა არაბული: ბატონო პრემიერო, თქვენ უნდა მობრძანდეთ აქ და იკითხოთ, რა სჭირს ამ ქვეყანას, ამ კუთხეს?

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

ბატონო ირაკლი ალასანიავ, თუ ასე გსურთ ცოტნე დადიანობა, წაისვით თაფლი და დაჯექით ციხის კარებთან - იქნებ მოიღონ მოწყალება და შიგნითაც შეგიპატიჟონ...

რა ჰქნა პაატა ბურჭულაძის „იავნანამ“ და ბარაშვილების რვასულიანი ოჯახი „გადაგდო“!

ლევან ვასაძე: **გახსოვდეთ,** საქართველო არის ოჯახი და აღარასოდეს შეეხოთ მას არაფრით, გარდა პატივისცემისა!“

გიგლა ბარამიძე: ნურავინ გვასწავლის ევროპელობას, რადგან ჩვენ, ქართველები, თვითონ ვართ ევროპული კულტურის ერთ-ერთი დამფუძნებლები

ვინ გადაამტვრევს ხერხემალში მათ, ვისაც საქართველოს ხერხემალში გადამტვრევა უნდათ?

საქართველოში მსოფლიოში სიდიდით მეხუთე ტექნოლოგიური ინსტიტუტი დაარსდა

პრეზენტაციას სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მეცნიერები, პროფესორები, სტუდენტები, ასევე საქართველოს მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ახალ სამეცნიერო-კვლევით კომპლექსში განხორციელდება პროგრამები ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, ინჟინერიისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგებში.

სტუდენტებს საშუალება ექნებათ, აქტიურად ჩაერთონ მსოფლიო სამეცნიერო კვლევებში. მათ სწავლას და პარტნიორ ორგანიზაციებში მივლინებებს მთლიანად ფონდი "ქართუ" დააფინანსებს, რაც, საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეფასებით, უდიდესი და უპრეცედენტო მხარდაჭერაა. ამასთან, ინსტიტუტის სტუდენტები თვითონ მიიღებენ მონაწილეობას ექსპერიმენტული ბაზის მშენებლობასა და მის ექსპლუატაციაში გაშვებაში, რაც მათ დამატებით გამოცდილებას შესძენს.

ფართო წრეებში „კოლაიდერად" ცნობილი ნაწილაკების ამაჩქარებლის კომპლექსის მეშვეობით ქართველ მეცნიერებს და მეცნიერთა ახალ თაობებს შეეძლებათ უმნიშვნელოვანესი კვლევების ჩატარება, მათ შორის, მედიცინის, კერძოდ კი ონკოლოგიის "ადრონული თერაპიის" მიმართულებით. ამ მხრივ, საქართველოს ტექნოლოგიური ინსტიტუტი იქნება მსოფლიოში მეხუთე - იტალიის, შვეიცარიის, იაპონიისა და ავსტრიის შემდეგ", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„ნაწილაკების ამაჩქარებლის მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ ინსტიტუტს ექნება მსოფლიო დონის მასშტაბური კვლევითი ცენტრის დანიშნულება. იგი იმუშავებს ადრონული თერაპიის მიმართულებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მსოფლიოში სიმსივნის მკურნალობის ეს უახლესი მეთოდი წარმატებით დაინერგება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი მიზანია, ეს ინსტიტუტი გახდეს წამყვანი უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერების თავშეყრის ადგილი. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ქვეყნის კვლევითი პოტენციალის განვითარებისა და ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო დონის ასამაღლებლად. აქ განხორციელდება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, სამეცნიერო კვლევები ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინჟინერიის მიმართულებით; აქ იქნება უნიკალური ექსპერიმენტული ბაზა თანამედროვე კვლევებისათვის", - აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მთავრობამ, ექსპერიმენტული კვლევითი ბაზის მშენებლობისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში გამოცდილების გაზიარების მიზნით, თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა მსოფლიოში წამყვან ისეთ ცენტრებთან, როგორიც არის CERN (ბირთვულ კვლევათა ევროპული ცენტრი), CNAO (ადრონული თერაპიის ეროვნული ცენტრი), INFN (იტალიის ბირთვული ფიზიკის ეროვნული ინსტიტუტი) და სხვა, რომლებთან ერთადაც აღნიშნული პროექტი ხორციელდება.

ტექნოლოგიური ინსტიტუტის იდეა ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის შექმნას გულისხმობს. პროექტის მიზანია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების, აგრეთვე სამეცნიერო კვლევების განხორციელება ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინჟინერიის მიმართულებით. ინსტიტუტს გამოყენებითი მნიშვნელობაც ექნება, ერთ-ერთია მეცნიერული კვლევის უახლესი მეთოდი - სიმსივნის ადრონული თერაპია.

პროექტს მთლიანად საქველმოქმედო ფონდი „ქართუ" აფინანსებს.

საუნივერსიტეტო ქალაქი, რომელიც ქუთაისში იქნება, 250 მილიონი ევრო დაჯდება

„თბილისის ტექნოლოგიური პარკის სამეცნიერო ნაწილი დაახლოებით 250 მილიონი ევრო დაჯდება და ამდენივე დაჯდება საუნივერსიტეტო ქალაქი, რომელიც ქუთაისში იქნება", - განაცხადა ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროექტის პრეზენტაციაზე ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

რაც შეეხება თანხის ოდენობას, რომელიც ინსტიტუტის შენახვისთვის იქნება საჭირო, ბიძინა ივანიშვილის თქმით, ეს ინსტიტუტის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ გახდება ცნობილი.

„მე დავეხმარები სახელმწიფოს, მანამ, სანამ თავად ვერ მოახერხებს, ინსტიტუტის შენახვას",- განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

ბიძინა ივანიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ბათუმში აშენებული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის იდეა სწორედ მას ეკუთვნოდა.

„ეს სამეცნიერო ნაწილი ჩემი იდეა იყო თავიდანვე, როცა პოლიტიკაში შემოსვლა გადავწყვიტე, სააკაშვილმა იდეა აიტაცა და სასწრაფოდ გააკეთა ტექნოლოგიური უნივერსიტეტი. ეს იყო სწორედ ჩემი იდეა და ამას ვახორციელებ ახლა ბათუმში. რაც არის ყველაზე კარგი და ახლო მეცნიერებასთან და სააკაშვილის ხელწერასთანაც, არის ის ეშმაკის ბორბალი, რაც დაამონტაჟა იმ შენობაზე" - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

„შემიძლია პირდაპირ დავასახელო ორი გვარი, რომელიც ამ უმძიმეს ბინძურ პროვოკაციაზეა პასუხისმგებელი"

„შემიძლია პირდაპირ დავასახელო ორი გვარი, რომელიც ამ უმძიმეს ბინძურ პროვოკაციაზეა პასუხისმგებელი. ეს არის – მელია და ბოკერია", – აღნიშნული განცხადება ჟურნალისტებთან საუბრისას „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" აღმასრულებელმა მდივანმა **ირაკლი კობახიძემ** სოფელ კორცხელში განვითარებული მოვლენების შეფასებისას გააკეთა.

„ჩვენი მხარდამჭერები მობილიზებულები იყვნენ მხოლოდ პრევენციის მიზნებისათვის, რომ არ მომხდარიყო ჩვენი ამომრჩევლების დაშინება. მოგეხსენებათ, „ნაციონალურ მოძრაობას" საარჩევნო უბანთან ბიტებით შეიარაღებული 15 კაციანი ზონდერ ჯგუფი ყავდა. ერთადერთი შემთხვევა ფიქსირდება, როდესაც ჩვენს მხარდამჭერს ხელში უჭირავს ბიტა. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ ეს ბიტა წაართვა ამ კონკრეტულმა აქტივისტმა „ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერს. ეს იყო ძალიან მძიმე პროვოკაცია". – აღნიშნა აღმასრულებელმა მდივანმა.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გიორგი ლაფანაშვილს უნდობლობა გამოუცხადა

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებმა კანონით გათვალისწინებული უფლება გამოიყენეს და მოახდინეს ინიცირება საკრებულოს რეგლამენტის #51 მუხლისა და ამავე რეგლამენტის #99 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ღონისძიებების გასატარებლად. საკრებულოს დეპუტატთა ერთმა მესამედმა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს - **გიორგი ლაფანაშვილს** უნდობლობა გამოუცხადა

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

რა ჰქნა პაატა ბურჭულაძის „იავნანამ“ და ბარაშვილების რვასულიანი ოჯახი „გადაგდო“!

ვინ შეამოწმებს ფონდ „იავნანას“ და ბურჭულაძის სხვა ფონდებს, საიდანაც დიდი ხანია საგანგაშო სიგნალები ისმის?

რა ჰქვია ოჯახისათვის სახლის, ჭერის, თბილი კერის ქონის იმედის მიცემას და მერე უპასოხოდ დატოვებას თუ არა გულცივობა, უპასუხისმგებლობა? და ამ ადამიანს, პაატა ბურჭულაძეს, სურს, ათასობით ოჯახის ბედი ვანდოთ? ამ ადამიანს სურს, საქართველოს ბიუჯეტთან ჰქონდეს შეხება? ამ ადამიანს სურს, ხალხის ნდობა მოიპოვოს?

გიორგი ბარაშვილი, ლელა მაღულარია, ქრისტინე, ეკა, მარი, ნინო, ბარბარე და ბაკურ ბარაშვილები უკვე წლებია ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარში, ყოფილი სკოლა-ინტერნატის ნგრევის პირას მისული შენობის ორ პაწია ოთახში ცხოვრობენ.

გიორგი ბარაშვილი 2 წლის იყო, როცა ჩვილ ბავშვთა სახლში დატოვეს, იქედან კოხნარის სკოლა-ინტერნეტში მოხვდა. სკოლა ინტერნატი არ იყო გათვლილი ნორმალური განვითარების ბავშვების აღსაზრდელად, მაგრამ 90-იან წლებში უპატრონო, მიუსაფარი ბავშვების შეხიზვნაზე უარს ვერ ამბობდა. შესაბამისად, გიორგის თავიდანვე მოკლებული იყო სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობას. ინტერნატის დამთავრების შემდგომაც ვერ დატოვა შენობა, რადგან წასასვლელი არსად ჰქონდა, მისი ერთადერთი ოჯახი სკოლა-ინტერნატი იყო.

გიორგი მოგვიანებით დაოჯახდა, მას და ლელას 6 შვილი ჰყავთ. უფროსი – ქრისტინე 13 წლისაა, უმცროსი ბაკური კი – 3-ის, მაგრამ საკუთარი ჭერი დღემდე არ გააჩნიათ. უფრო მეტიც, მიწაც არ აქვთ, რომელსაც დაამუშავებდნენ და მოსავალს მოიყვანდნენ, ამიტომაც გიორგი მოჯამაგირედ მუშაობს თანასოფლელების ყანებსა და ბოსტნებში.

2 წლის წინ ბარაშვილებმა ფონდ „იავნანას“ მიმართეს დახმარებისათვის. ერთი წელი არავინ დაკავშირებიათ და ხელიც ჩაიქნიეს, მაგრამ გასულ ზაფხულს, ტელეფონზე ზარის ხმა გაისმა - ფონდ „იავნანადან“ დარეკეს... ბარაშვილების ოჯახისათვის ეს იყო სიხარულის, იმედის, მომავლის ზარი... ყურმილის მეორე ბოლოდან „ხმამ“ გიორგის სახლის მოძებნა ურჩია და მალე გნახავთო, დაჰპირდნენ..

დაახლოებით ერთ თვეში თბილისიდან სოფელ კოხნარში 6 ადამიანი ჩავიდა, 3 ქალი და 3 მამაკაცი, გაიცნეს გიორგი ბარაშვილი და მისი ოჯახი, ნახეს, სად და როგორ პირობებში ცხოვრობდნენ, ნახეს ის სახლიც, რომელიც გიორგიმ შეარჩია... სახლი იმავე სოფელში დგას, იგი 15 000 დოლარად შეაფასა პატრონმა, დიდ ორსართულიან სახლს ახლავს საბოსტნე, მცირე საყანე მიწა, ვენახი, ხეხილიანი ეზო... გიორგის შვილები უკვე ოცნებობდნენ, როგორ ითამაშებდნენ ეზოში, როგორ ექნებოდათ საკუთარი ოთახი, სად ჩამოკიდებდნენ ქრისტინეს სიგელებს (ქრისტინე ჩოხატაურის რაიონში ბალახის ჰოკეის ერთ-ერთ გუნდში თამაშობს და საკმაოდ წარმატებულადაც. გურიის რეგიონში შესარჩევი ტურიდან ერთადერთია, ვინც არგენტინაში 1 კვირიან სწავლებაზე წასასვლელი საგზური მოიგო)...

სტუმრებმა ფონდ „იავნანას“ სახელით ბევრი ისაუბრეს, თქვეს რომ ნებისმიერ დროს შეიძლებოდა სახლის საკითხი დადებითად გადაწყვეტილიყო, ამიტომ სახლის მეპატრონეს საბუთები წესრიგში უნდა ჰქონოდა (მეპატრონემ მართლაც მალევე მოაწესრიგა გასაყიდი სახლის საბუთები), ცოტა იტრაბახეს, ერთ-ერთი ჩვენგანი პაატას მოადგილე და მარჯვენა ხელიაო, თქვეს, ბევრი ფოტო გადაიღეს და ბევრი იმედი დატოვეს - სახლის საფასურის ნახევარს ფონდი გადაიხდისო, მაგრამ მეორე ნახევარის გადახდას პაატას მეგობარი და კოლეგა, ამერიკელი მომღერალი ქალბატონი აპირებს, ამიტომ მას უნდა გადავუგზავნოთ მონაცემები და საბუთები და ამის გამო პასუხს ცოტა დააგვიანდებაო...

პირველი თვე ისე გავიდა, ვერც შეამჩნიეს, უხაროდათ ბარაშვილებსაც და სოფელსაც... ბურჭულაძის თონეში ობლის კვერის გამოცხობას ელოდნენ... ლოცავდნენ პაატას, მის ოჯახს, მის კეთილ გულს...

მეორე თვეს ის ამერიკელი ქალბატონიც გაიხსენეს, იმის დალოცვაც დაიწყეს, რა გული ჰქონია იმ ქალბატონს, ამერიკიდან ჩვენი გიორგის შვილებისთვის რომ სახლს ყიდულობსო...

მესამე თვეს ზოგმა ეჭვის შეტანა დაიწყო - რაღაც იმ ობლის კვერის სუნი არ მოდის და ცხვება, ბოლოს და ბოლოს, თუ არაო? - ეჰ, ეგრე ადვილია ამერიკაში საბუთების გადაგზავნა და მერე პასუხის ჩამოტანაო? აბა, ბატონ პაატას კიდევ რამდენი საქმე აქვს თუ იცითო? -არ ისვენებდნენ ოპტიმისტები.

აი, მეოთხე, მეხუთე და კიდევ მომდევნო რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ ეჭვმა მყარად გაიდგა სოფელში ფეხი, სახლის მეპატრონემ დარეკა ფონდ „იავნანაში“ და იკითხა – გავყიდო სახლი თუ დაგელოდოთო? არ დაგველოდოთო, უპასუხეს!..

ხელის კანკალით აკრიფა გიორგიმ ფონდის ნომერი, პასუხის მოსმენა უნდოდა, ნებისმიერი - ცუდი თუ კარგი პასუხის. ვერაფერს გეტყვითო, მოახსენეს, აქ თქვენი საბუთებიც კი არ დევსო...

გიორგის არ დაუსვამს კითხვა, სად წავიდა ჩემი საბუთები, როგორ აორთქლდაო, არც ის ამერიკელი ქალბატონი მოუკითხავს, რომლისთვისაც დიდი ამბით გადაიღეს ფონდის წარმომადგენლებმა ფოტოები და მონაცემებიც შეაგროვეს... არ უკითხავს იმიტომ, რომ ვერ მოასწრო კითხვა, სწრაფად გაუთიშეს ზარი...

ამ კითხვის დასმა ფონდისთვის მე გადავწყვიტე, მაპატიებს გიორგი და ვიფიქრე, იქნებ ისე ვერ დაელაპარაკა, როგორც საჭიროა-თქო, იქნებ რამე მოეჩვენა, თორემ საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენლები ასე უცერემონიოდ ზარს როგორ გათიშავდნენ, იმ ადამიანის ზარს, რომელიც მათ პასუხს 2 წელია ელოდება-თქო...

მოკლედ, დავრეკე, მიპასუხეს, ორჯერ დავსვი კითხვა: - ვის ვესაუბრები?, მაგრამ სახელი და გვარი ვერ ვათქმევინე, განა არ იცით, სად რეკავთო? ფონდი „იავნანაა“. (მივხვდი, რატომ არ ახსოვდა გიორგის იმ ადამიანთა სახელები, რომლებიც ფონდის სახელით სოფელში ჩავიდნენ, ალბათ, იმათაც ასე ერქვათ ყველას, ფონდი „იავნანა“). აღარ გავჯიუტდი და კითხვის დასმა დავიწყე გიორგი ბარაშვილის საკითხზე... სამჯერ გამაწყვეტინა ქალბატონმა კითხვა, პასუხს დაელოდეთ, დაგირეკავთო, ამაოდ ვცდილობდი კითხვის ბოლომდე დასმას, - თანამშრომელი გარდაგვეცვალაო, ეს და მომდევნო კვირა აღარ შეგვაწუხოთო და გამითიშეს...

თანაგრძნობას ვუცხადებ ფონდ „იავნანას“ თანამშრომლის გარდაცვალების გამო... მაგრამ, თუ საქველმოქმედო ორგანიზაციაში სამუშაო საათებში სამსახურის ტელეფონს პასუხობ, რას ელოდები, საიდან უნდა გირეკავდნენ, რა უნდა აინტერესებდეთ? თუ სამსახურში მისვლა, ყავის დალევა, ყავასთან ერთი ღერი სიგარეტის მოწევა და ვიშვიში შეიძლება, განა აკრძალულია მგლოვიარე ადამიანმა კეთილი საქმე აკეთოს? ანუ, ეს მგლოვიარე თანამშრომლები დღეს და მომდევნო ერთი კვირა არ ისადილებენ? არ იჭორავებენ და არ დაიძინებენ?

დავიცდი ამ ერთ კვირასაც, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ არ ვარ პესიმისტი, ეჭვი მეპარება, რაიმე კონკრეტული პასუხი მივიღო პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდისგან.

საქველმოქმეო ორგანიზაცია არ არის კერძო ბიზნესი, არც სახელმწიფო დაწესებულებაა, არც უხეში და უპასუხისმგებლო ადამიანთა კომპლექსია, საქველმოქმედო ორგანიზაცია იმ ფულს განკარგავს, რომელსაც შემოწირულობების სახით მოსახლეობა ურიცხავს. კანონმდებლობის თანახმად, საქველმოქმედო ორგანიზაცია ვალდებულია ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნოს, ღიად წარუდგინოს საზოგადოებას, რა თანხა მოგროვდა, ვის დაეხმარა, სად გადარიცხა...

მას შემდეგ, რაც პაატა ბურჭულაძემ პოლიტიკოსობა გადაწყვიტა, და თავისი ქველმოქმედება ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებას შეადარა, აწ უკვე პოლიტიკოსის ამპლუაში მყოფს მაინც უნდა გასჩენოდა სურვილი ფონდის საქმიანობის ანგარიში გამოექვეყნებინა, ამ მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად. აკი, ხმებისთვის იბრძვის, აკი, ამომრჩევლების ნდობა სჭირდება? - მაგრამ არა და ვერ ვეღირსეთ მისი ორგანიზაციის ანგარიშს, იმ ანგარიშს, რომლის გამოქვეყნებასაც სინდისი კი არ ავალდებულებს (და ვერ გვეტყვის, არ მაქვს, ბატონო, სინდისი და არ გაჩვენებთო), არამედ კანონი.

მე ჟურნალისტი ვარ და არა ეჭვიანი ქალი, მე ჟურნალისტი ვარ და არა მიკერძოებული პოლიტიკური ოპონენტი, მე წარგიდგინეთ ფაქტი, გაჩვენეთ რეალური ადამიანები, რომლებიც რეალურ სოფელში, არარეალურად პატარა ფართში ცხოვრობენ და ვსვამ კითხვას – რა ჰქვია ამ ოჯახისთვის სახლის ყიდვისთვის საბუთების შეგროვებას და მერე ამ საბუთების გაქრობას? ვინ მეტყვის, რა მონაცემი გადაუგზავნეს იმ ამერიკელ მომღერალს და რა თანხა შემოსწირა პაატა ბურჭულაძის ფონდს ბარაშვილების ოჯახისათვის? რა ჰქვია ოჯახისათვის სახლის, ჭერის, თბილი კერის ქონის იმედის მიცემას და მერე უპასოხოდ დატოვებას თუ არა გულცივობა, უპასუხისმგებლობა?

და ამ ადამიანს, პაატა ბურჭულაძეს, სურს, ათასობით ოჯახის ბედი ვანდოთ? ამ ადამიანს სურს, საქართველოს ბიუჯეტთან ჰქონდეს შეხება? ამ ადამიანს სურს, ხალხის ნდობა მოიპოვოს?

P.S. ამ მომენტისათვის, გიორგი ბარაშვილის მეუღლე საავადმყოფოშია, შესაძლოა, ოპერაციაც დასჭირდეს, ამიტომაც წარმოდგენილ ფოტოებზე ასახულია მხოლოდ ბავშვები, რომლებიც დედ-მამის ლოდინში, ერთმანეთს პატრონობენ.

გამოჯანმრთელებას ვუსურვებ ლელა მაღულარიას.

თამო კეშელავა
555 46 08 04

ბატონო ირაკლი ალასანია, თუ ასე გსურთ ცოტნე დადიანობა, წაისვით თაფლი და დაჯექით ციხის კარებთან – იქნებ მოიღონ მოწყალება და შიგნითაც შეგიპატიჟონ...

„საერთო გაზეთი“ რამდენიმე ხნის წინაც წერდა, რომ ალასანია და მისი გუნდი, ნაციონალები და მათი სატელიტები, ასევე გარკვეული მედიასაშუალებები და „ყოვლისმცოდნეობაზე“ პრეტენზიის მქონე არასამთავრობოთა ჯგუფი, მთავრობის საწინააღმდეგო კამპანიის წარმოებით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე „კაბელების საქმესთან“ დაკავშირებული სიმართლის გარკვევით. ეს აზრი კიდევ უფრო განგვიმტკიცდა ბრალმდებელი პროკურორის, ნინო აღლემაშვილის სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ. თუ ვინმეს შედავების სურვილი გაუჩნდება, მაშინ არგუმენტირებულად აგვიხსნას, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებზე მეტად რატომ უნდა ვენდოთ საზოგადოებაში არცთუ მაღალი რეიტინგისა და ავტორიტეტის მქონე პოლიტიკოსებსა და დანარჩენ პერსონებს.

საზოგადოებას არ დავიწყებია, როგორ უწოდა ბატონმა ალასანიამ 2011 წლის 26 მაისს ნაცხელისუფლების მიერ სასტიკად დარბეული მიტინგის მონაწილეებს, „უხარისხო ქართველები“. ეტყობა ქართველებს „ხარისხში“ მაგრად გვიჭირს, რადგან 21 მაისს მთავარ პროკურატურასთან მოწყობილი აქცია არცთუ ისე მრავალრიცხოვანი იყო, როგორც აქციის ორგანიზატორებსა და ტელევიზიებს უნდოდათ ეჩვენებინათ. ბატონო ალასანია, ხალხს ისიც ახსოვს 2009 წლის კარვების აქციის დაშლის ინიციატორები თქვენ და „ეროვნული ფორუმი“ იყავით, ახლა თქვენთან ერთად „უპირობოდ“ რომ აპროტესტებენ „უსამართლობას“. ახლა შეიძლება თქვენი ინიციატორობა ვინმეს გაზვიადებული მოეჩვენოს, მაგრამ თუ სწორად მახსოვს, კარვები პირველებმა თქვენ აშალეთ. 2010 წელს მერების არჩევნებზე პირველმა რომ მიულოცეთ გიგი უგულავას „ღირსეული“ გამარჯვება, ის თუ გახსოვთ? „ავი ენები“ რომ ამბობდნენ, ირაკლი ალასანია „ნაცბობოლებს“ საზღვარგარეთ ხვდებოდაო, უარყავით და ჩვენ დაგვემართა ამნეზია? 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს სამეგრელოში როლანდ ახალაიას და საერთოდ ნაცმოძრაობის „გამარჯვებას“ რომ თქვენ „დამსახურებად“ თვლიან მეგრელები, ამის შესახებ თუ გსმენიათ? ესენიც „უხარისხო ქართველები“ ხომ არ არიან და „ჭორებს“ გიგონებენ? სხვათა შორის, მაშინ იმასაც ამბობდნენ, სამეგრელოში კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად გამოყოფილი მილიონობით თანხა უკვალოდ გაქრაო.

ბატონო ირაკლი, საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად თბილისიდან რომ ჩაიყვანეთ ცოლის დაქალები და სხვანი, რომლებიც ადგილობრივებს ზემოდან უყურებდნენ და ახლოს არ იკარებდნენ, არჩევნებში „ქართული ოცნების“ წაგების ერთ-ერთი მიზეზი ესეც ხომ არ გახდა? თუ ვინმეს ჩვენს ნათქვამში ეჭვი ეპარება, შეუძლია იქაურებთან გადაამოწმოს.

ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი, რომელიც თავის დროზე სრულიად სამართლიანად შეაფასა არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ „სილქნეტის“ საქმედ, გარკვეულ მიზნებს რომ ემსახურება, ვფიქრობთ, საზოგადოებაც ხვდება. ამ საქმეზე პასუხისმგებლობა თურმე მთავრობამაც უნდა გაინაწილოს, „პროტესტანტთა“ მხრიდან აქცენტი რა თქმა უნდა მაშინდელ პრემიერ-მინისტრზე, ირაკლი ღარიბაშვილზე კეთდება. საკითხში უკეთ გასარკვევად, მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადებიდან მცირე ამონარიდს შემოგთავაზებთ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ალექსი ბატიაშვილმა 2013 წლის 26 დეკემბერს წერილობით მიმართა ფინანსთა სამინისტროს და მოითხოვა მისი უწყებისთვის ოპტიკის ხაზის (იგივე საკაბელო მაგისტრალი, ანუ უძრავი ქონება) შეძენის მიზნით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა. ამ მიმართვის საფუძველზე, ფინანსთა სამინისტრომ საკითხი მთავრობის სხდომაზე გაიტანა განსახილველად, სხდომას ესწრებოდნენ მაშინდელი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და მისი მოადგილე ალექსი ბატიაშვილი. მიღებული იქნა განკარგულება, რომელსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი, რომ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ოპტიკური ხაზისა და მის შესაერთებლად საჭირო აპარატურის შესაძენად გამოიყოს ხუთი მილიონი ლარი. საქართველოს მთავრობის 2009 წლის შესაბამისი დადგენილების თანახმად კავშირგაბმულობის ხაზი (ოპტიკური ხაზი) არის ხაზობრივი ნაგებობის სახეობა, ხოლო „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის თანახმად, ხაზობრივი ნაგებობა არის უძრავი ქონება, ასე რომ ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის დროს, მთავრობამ უძრავი ქონების შესაძენად გამოყო თანხა, ალასანიას უწყებამ კი ამ თანხით, „სილქნეტისგან“ უძრავ ქონებაში, ანუ მაგისტრალში განთავსებული მოძრავი ქონების (72-წვერიანი კაბელი) მცირე ნაწილი (24 წვერი) შეიძინა. ამავდროულად, მართალია თანხა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო, მაგრამ რახან სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი თავდაცვის სამინისტრო იყო, სრული პასუხისმგებლობა ამ შესყიდვის კანონიერებაზე და შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვაზე ეკისრებოდა



თავდაცვის სამინისტროს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, „პროტესტანტებს“ ვუსვამ კითხვას, რომელთა შორის კვალიფიციურ იურისტობაზე პრეტენზიის მქონენიც მრავლად არიან, რა შუაშია ამ ყველაფერში მთელი მთავრობა და პირადად ირაკლი ღარიბაშვილი, როცა შესყიდვის კანონიერებასა და თანხების ხარჯვაზე პასუხისმგებელი თავდაცვის სამინისტრო იყო. ვერ გავიგე, „ნუცას სკოლასთან“ გვაქვს საქმე თუ სახელმწიფო უწყებებთან, რომლებიც სულ მეთვალყურეობის ქვეშ უნდა გყავდეს, რომ რამე არ „გააფუჭონ“. თუ ყველა შესყიდვა და რაც იქნებოდა, პირადად მთავრობის მეთაურს უნდა ეკონტროლებინა, მაშინ რაღა საჭიროა ამდენი მინისტრი თავის მოადგილეებიანად, რომელთა შენახვაც სახელმწიფო ბიუჯეტს, ანუ საქართველოს მოსახლეობას კოლოსალური თანხები უჯდება? ან იმაზე რომ მიდის აპელირება „დელტაკომს“ უფასოდ არ შეუთავაზებია კაბელის წვერებიო, მუქთად ვინ რა შესთავაზა, ეს ნაკლებად საინტერესოა, ჩვენ ის უფრო გვაინტერესებს, რატომ გადაიხადა თავდაცვის სამინისტრომ უძრავი ქონების (ასე ვთქვათ, კაპიტალური მშენებლობის) შესაძენად გამოყოფილი თანხა კაბელის რამდენიმე წვერში, ერთი და იგივე ფასი ღირდა? დამკითხეთო, იხვეწება ბატონი ალასანია, ან აქამდე რატომ არ დაკითხეთ ეს ადამიანი თავის მოადგილეებიანად, რომლებსაც შეიძლება დღესაც უკავიათ მაღალი თანამდებობები? პატივცემულო მართლმსაჯულებავ, თქვენს მიერ გავრცელებულ განცხადებაში რომ მიუთითებთ, ბრალდებულებმა თავდაცვის სამინისტროს სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად განიზრახეს სს „სილქნეტის“ სასარგებლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხის გაფლანგვაო, ვინ არიან ეს სხვა ხელმძღვანელი პირები, დაიკითხნენ, რატომ არ დგება მათი პასუხისმგებლობის საკითხი, მარტო ეს ხუთი ადამიანი იყო „განტევების ვაცი“ და მათზე გადატეხეთ ჯოხი? მართალია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო გადაცემის წამყვანი ლაპარაკს არ აცდიდა პროკურორ ნინო აღლემაშვილს, დროში შეზღუდულები ვართო, მაგრამ მან მაინც მოასწრო იმის თქმა, რომ ეს საქმე ამ ხუთი მსჯავრდებულით არ შემოიფარგლება და მოკვლევა თუ ძიება გრძელდება. ხალხის ჯიბიდან დაფინანსებულო ტელევიზიავ, თუ საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებისთვის თუ არ გაქვთ დრო, აბა, რისთვის გაქვთ, იმ სულელური გადაცემებისთვის და სერიალებისთვის, რომლებსაც არავინ უყურებს?! ისე, იმიტომ ხომ არ არის ეს აურზაური ატეხილი, ვგულისხმობთ, უკვე გამართულ და დაანონსებულ პერმანენტული საპროტესტო აქციებს, ოპოზიციონერთა და „ელიტარ ენჯეოშნიკთა“ მენტორულ განცხადებებს და შეფასებებს, რომ ე.წ. კაბელების საქმეს გაგრძელება ექნება? სიმართლე გითხრათ, „დელტას“ ხელმძღვანელის მოულოდნელი გათავისუფლებაც ამ „ოპერიდან“ მგონია. სანამ მთელი კახეთი მიწასთან არ გაასწორა სეტყვამ, რატომღაც თავდაცვის მინისტრის ხმა არავის გაუგია, იმედია, ახლა მაინც გაირკვევა ვინ სცოდავდა, „დელტას“ შეფი ძოძუაშვილი თუ გოგი თოფაძის არ იყოს, „გენერალისიმუსი“ თინათინი, თუმცა დასეტყვილ კახეთს არ მგონია, ამან უშველოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელმა არჩილ კაიკაციშვილმა „საერთო გაზეთში“ რამდენიმე თვის წინ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ე.წ. კაბელების საქმეს „სილქნეტის“ საქმე უწოდა, მედიასაშუალებებმა, იმის გამო, რომ არ მომხდარიყო „სილქნეთთან“ დაკავშირებით

ალექსი ბატიაშვილი

კონკრეტიკა, კონკრეტული ადამიანების იდენტიფიცირების საკითხი, კაბელების საქმე იმიტომ უწოდა. სინამდვილეში ეს იყო თავდაცვის სამინისტროსა და „სილქნეტს“ შორის ხელშეკრულების ფარგლებში არსებული უთანხმოება, რომელიც ირაკლი ალასანიას შემდგომმა ხელმძღვანელობამ (მინდია ჯანელიძე) სადაო გახადაო. როგორ ჩატარდა კონკრეტულ სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით ტენდერი, დაცვის მხარესა თუ ალასანიასა და მისი გუნდისგან ფაქტობრივად არაფერი მოგვისმენია. მე არ ვიცი გიგაური-ნაცვლიშვილი-ლომჯარიას ტრიომ და სხვა იურისტუფლებადამცველებმა რამდენად ჩაიხედეს საქმის მასალებში, მაგრამ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიციურობაშიც პირადად მე ეჭვი არ მეპარება, სწორედ ამ მასალებზე დაყრდნობით გვესაუბრებოდა. მისი განცხადებით, თავდაცვის სამინისტროსა და „სილქნეტს“ შორის სერიოზული ტენდერის გარეშე დაიდო მომსახურეობის ხელშეკრულება ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების შეძენასთან და სამინისტროს ინტერნეტსისტემის უფრო მეტად დაცულობასთან დაკავშირებით, შესყიდვებზე გამოცხადებული კონკურსის დროს, რომელშიც რამდენიმე კომპანია მონაწილეობდა, არ მომხდარა კონკურენტული გარემოს შექმნა. ზემო ხსენებული „კონტიგენტი“ რატომღაც მხოლოდ „დელტაკომზე“ აპელირებს. სილქნეტის“ განაცხადი, სადაც მისი წინადადებები იყო მითითებული ე.წ. ჟიურის ოთახში შეტანამდე გახსნილა, ანუ თავდაცვის სამინისტრომ წინასწარ იცოდა, რა პირობებს სთავაზობდა ეს კომპანია, რაც გამჭვირვალობისა და ფარულობის დარღვევაა. პროკურორ აღლემაშვილის განცხადებით, ყველა განაცხადი წინასწარ იყო გახსნილი. სხვა კონკურსანტები ისე, რომ მათი შეთავაზებები ფაქტობრივად არც განუხილავთ, ისე გამოეთიშნენ კონკურსს და უპირატესობა „სილქნეტის“ საგანაცხადო წინადადებას, მათ შორის ფინანსური თვალსაზრისითაც. ექსპერტების განცხადებებიდან და საქმის მასალებიდან იკვეთება, თავდაცვის სამინისტრო ამ მომსახურებით ფინანსურად დაზარალებული რჩებოდა, რადგან იგი თანხას იხდიდა იმ კაბელებში, რომელიც „სილქნეტს“ კონკრეტულ მონაკვეთებზე ისედაც უკვე გაყვანილი ჰქონდა, იგი უბრალოდ ვალდებულებას იღებდა, რომ რამდენიმე წვერი კაბელი დაემატებინა, რათა უკეთ უზრუნველეყო დაცვის კუთხით ეს მიმართულებაო. პროკურატურა „სილქნეტისთვის“ უპირატესობის მინიჭებად იმას თვლის, რომ კონკურსანტებს წერილობით აცნობეს, რომ ოპტიკური ხაზის შეძენა უნდოდათ, რაც ცხადია უფრო ძვირი ღირს და ბუნებრივია დანარჩენი სამი კომპანია შესასრულებელ სამუშაოში გაცილებით მეტ ფასს მოითხოვდა, ვიდრე რამდენიმე წვერი კაბელის დამატებაში. უბრალო ენით რომ ავხსნათ, კონკურსანტებისთვის უთქვამთ, ავტომანქანის შესყიდვა გვინდაო, „სილქნეტისგან“ კი მხოლოდ ბორბალი შეუძენიათ, ამან უფრო იაფად შემოგვთავაზაო, თუმცა მის ღირებულებაზე გაცილებით მეტი გადაუხდიათ.

„თავისუფალი დემოკრატების“ განცხადებით, ერთადერთი მოსამართლე ჯუღელი მიუდგა ამ საქმეს ობიექტურად, მაგრამ ის ჩამოაშორეს და ზეწოლაც განხორციელდა. სხვათა შორის, შორის მაშინ ეს ხალხი იმასაც ამბობდა, ბიძინა ივანიშვილმა ექსპერტი გაატაცებინა და გადამალესო. რომელ ექსპერტზე იყო საუბარი აღარ მახსოვს, მაგრამ აღმოჩნდა რომ არავინ „გაუქრიათ“, სასამართლოზე რამდენიმე ექსპერტმა მისცა ჩვენება. ცნობისთვის, პროკურატურა ბრალდებულებს სახელმწიფო თანხის მითვისებას კი არა, გაფლანგვას ედავება, რითაც სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. თავდაცვის სამინისტროს ხსენებული თანამშრომლები როცა დააკავეს, მინისტრი ალასანია საქართველოში არ გახლდათ. მან ლამის თვითმფრინავის ტრაპზევე გააკეთა შემდეგი შინაარსის განცხადება, რომ ეს ხალხი უკანონოდ დააკავეს, რაც პოლიტიკური მოტივით იყო განპირობებული. ვფიქრობთ, ამ საქმეს პოლიტიკური შეფერილობა თავად ბატონმა ალასანიამ უფრო მისცა, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ადამიანის დამნაშავედ გამოცხადება რომ არ შეიძლება და ეს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაა კარგად ვიცით, მაგრამ არ გვგონია მთლად მართებული იყოს მაღალი თანამდებობის პირისგან წინასწარ იმის ძახილი, რომ პოლიტიკური ნიშნით მოხდა უდანაშაულო ადამიანები დააკავება. რაც შეეხება მოსამართლე ჯუღელს, მისი ქმედება ადვოკატმა არჩილ კაიკაციშვილმა შერჩევითი მართლმსაჯულების განხორციელების მცდელობად შეაფასა. გთავაზობთ მისი ადრინდელი ინტერვიუდან ამონარიდს.

არჩილ კაიკაციშვილი: „პირველ რიგში, მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რატომ გახდა ეს საქმე პოლიტიკური დისკუსიის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოძიების მიმართ თანაბარი ინტერესი უნდა ჰქონოდა, როგორც სახელმწიფოს, ისე მინისტრ ალასანიას, რომ გარკვეულიყო, ხომ არ დაიდო სახელმწიფოსა და „სილქნეტს“ შორის ისეთი ხელშეკრულება, რომელმაც კომპანია უფრო მომგებიან პოზიციაში ჩააყენა; რატომ არ მოხდა სხვა კონკურსანტების წინადადებების განხილვა, იქნებ ისინი უფრო ხელსაყრელ პირობებს სთავაზობდნენ, როგორც ამბობენ ამ კომპანიებს უფრო მეტი გამოცდილება ჰქონდათ. კონკურსამდე ხომ არ მიმდინარეობდა რაიმე ფარული მოლაპარაკება „სილქნეტსა“ და თავდაცვის სამინისტროს შორის.

არჩილ კაიკაციშვილი

გავრცელებული ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტროსა და „სილქნეტის“ წარმომადგენლებს კონკურსამდეც ჰქონდათ კომუნიკაცია და მათთვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ სამინისტრო ინტერნეტსისტემის დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელებას აპირებდა. ფაქტობრივად, კონკურსმა ფორმალური სახე მიიღო, „სილქნეტისთვის“ უპირატესობის მინიჭება, სავარაუდოდ წინასწარ იყო შეთანხმებული. სახელმწიფომ ამ კომპანიის მომსახურეობაში დაახლოებით 6 მილიონი ლარი გადაიხადა, როცა ხელშეკრულების შინაარსზე მომუშავე პასუხისმგებელ პირებს შეეძლოთ თანხა გაეთვალათ და შესაბამისობაში მოეყვანათ ბაზრის ღირებულებასთან. სახეზე გვაქვს ერთი კომპანიისთვის უპირატესობის მინიჭება. ისმის კითხვა, იცოდა თუ არა ამ ყველაფრის შესახებ მინისტრმა ალასანიამ, რომელიც მოლაპარაკების მხარე იყო, როგორც კონკურსამდე, ისე ხელშეკრულების მომზადების პროცესში. ბრალდებულებს ფინანსებთან შეხება ნამდვილად არ ჰქონიათ, მაგრამ სახელშეკრულებო ურთიერთობის მომზადებაში აქტიურად იყვნენ ჩართული, ხოლო „სილქნეტთან“ მოლაპარაკების უზრუნველყოფა ალასანიამ თავის ერთ-ერთ მოადგილეს ალექსი ბატიაშვილს დაავალა, რომელსაც ჩემი ინფორმაციით, „სილქნეტის“ მაშინდელი კომერციულ დირექტორის ბაჩო ჩინჩალაძის ნათესაური კავშირი აქვს (ჩინჩალაძის დედა თამარ ბატიაშვილი, ალექსი ბატიაშვილის ახლო ნათესავია). მხარეები ურთიერთობას ამ პირების მეშვეობით ახორციელებდნენ, დოკუმენტაციის მიხედვით, ხელშეკრულების დადების პროცესში მათ შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები იმ საერთო სარგებლობის პირობებზე, რომელმაც შემდგომ სადაო გახადა ხელშეკრულება. ამიტომ დაინტერესდა პროკურატურა და თავის დროზე მოწმედ დაკითხა ბატონი ბატიაშვილი. ჩემი აზრით, მან თავისი დაინტერესება იმგვარად წარმოაჩინა, რომ ხელშეკრულება დაიდო კომპანიასთან, რომლის უმაღლესი მენეჯმენტის წარმომადგენელთანაც ნათესაური კავშირი ჰქონდა, სახელმწიფომ ამ შემთხვევაში გადაიხადა გაცილებით მეტი, ვიდრე სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა გადაეხადა.

ირაკლი ალასანიას, როგორც პოლიტიკოსის შეხედულებებმა მნიშვნელოვნად დააზარალა მართლმსაჯულების ინტერესები. ჩემი აზრით, მოსამართლე დავით ჯუღელი პოლიტიკური წნეხის ქვეშ მოექცა და ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომელსაც მსოფლიო სასამართლო ისტორიაში ანალოგი არ აქვს - მან დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო, საინჟინრო

ნინო აღლემაშვილი

საექსპერტო დასკვნა და ბრალდების შესახებ დადგენილება, თუ ეს დადგენილება უკანონო იყო, აბა მთელი რვა თვის განმავლობაში რა საქმეს იხილავდა სასამართლო? პროკურატურამ ხსენებული გადაწყვეტილება სავსებით სამართლიანად გაასაჩივრა ზემდგომ ინსტანციაში, სადაც მოსამართლე გელა ბადრიაშვილმა ასევე სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო, მან აღნიშნული მტკიცებულებები დასაშვებად ცნო და საქმე საქალაქო სასამართლოს, კერძოდ, მოსამართლე დავით ჯუღელს დაუბრუნდა. ჯუღელი ახლა თვითწნეხის ქვეშ მოექცა, მას ერთის მხრივ, ბოლომდე უნდა ალასანიას გუნდის ინტერესები დაიცვას, ამიტომ გირაოს მაგივრად ამ გუნდის თავდებობის ქვეშ გაათავისუფლა განსასჯელები, თუმცა უარი თქვა დაცვის მხარის შუამდგომლობაზე საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით, რაც ორმაგად მეტ კითხვას ბადებს. ცნობისთვის, ამ საქმის არსებითი განხილვა სხვა მოსამართლის მიერ მოხდება. როცა ჯუღელის ქმედება საზოგადოების განხილვის თემად იქცა, სასამართლოს ხელმძღვანელობამ სამოქალაქო სექტორს მოგვიწოდა, რომ ჯუღელის მიმართ კრიტიკისგან თავი შეგვეკავებინა, არ მოგვეხდინა სასამართლოზე ზეწოლა, თუმცა სამწუხაროდ არ შეაფასეს მისი გადაწყვეტილება და არც ის განმარტეს, რა მითითება მიიღო სააპელაციო სასამართლოდან. აქტიურად მუსირებდა აზრი, რომ მოსამართლე ჯუღელი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა, ჩვენმა ორგანიზაციამ დავით ჯუღელს ოფიციალური წერილიც გაუგზავნა კითხვით, ადასტურებდა თუ არა ნათესაურ კავშირს ალასანიას პარტიის ერთ-ერთ წევრთან. გავრცელებული ინფორმაციით, „თავისუფალი დემოკრატების“ უსაფრთხოების სამსახურის უფროსი კახა ჩიხრაძე და მოსამართლე ჯუღელი ახლო ნათესავები არიან. მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს მოსამართლე სავარაუდოდ კორუფციულ გარიგებაში შევიდა „თავისუფალ-დემოკრატებთან“. ბუნებრივია, ჩვენ ვერ დავამტკიცებთ, რა სახის დაინტერესება იყო, ეს საგამოძიებო ორგანოების საქმეა და სასწრაფოდ უნდა გაარკვიონ. ხსენებული საქმიდან პოლიტიკური კონტექსტი უნდა გამოვრიცხოთ, დავუბრუნოთ სასამართლოს ნდობა, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ნუ მივიღებთ ისეთ გადაწყვეტილებებსა და შეფასებებს, რომელიც ვინმეს პოლიტიკური კარიერის გადამრჩენია. სამწუხაროდ ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები, მხოლოდ ერთ პოზიციაზე მსჯელობენ, ე ვერ დავინახე ამ საქმით დაინტერესებული ცალკეული ორგანიზაციების მხრიდან არგუმენტირებული შეფასებები, რატომ არ არის კარგად დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. ეს იმიტომ ხდება, რომ მათაც ძალიან კარგად იციან, ბრალდების დადგენილების და საექსპერტო დასკვნის საქმეზე არდართვა რომ სამართლებრივი ნონსენსია. აბა, რა რჩებათ არგუმენტად განსასჯელების დაცვის მხარეს და იმ არასამთავრობებს, რომლებიც ირაკლი ალასანიას ლობისტური საქმიანობით არიან დაკავებული?

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ვინ გადაამტვრევს ხერხემალში მათ, ვისაც საქართველოს ხერხემალში გადამტვრევა უნდათ?

გიგა ოთხოზორია

„ძლევაი საკვირველი“ სამეგრელოში, ოღონდაც არა იქ, სადაც 30 წლის ბიჭის სიცოცხლე შეიწირეს სეპარატისტებმა, არამედ ოდნავ მოშორებით კორცხელში, საარჩევნო უბანზე, სადაც კოჰაბიტირებული მტრები ერთმანეთს თავპირს უსისხლიანებდნენ...

„საერთო გაზეთის“ 2012 წლის სექტემბრის დასაწყისში, მაშინ, როცა უკვე ცნობილი გახდა ვის გვერდით ინებებდა დგომას და პოლიტიკურ აქტივობას ბიძინა ივანიშვილი, მე, ჟურნალისტი ირინე გოგოსაშვილი, ვრცელი სტატიით შევეხმიანე მას და ვთხოვე, არავითარ შემთხვევაში არ გაეცოცხლებინა ხალხის მიერ კარგა ხნით ადრე მიწამიყრილი, დაკრძალული, ე.წ. პოლიტიკოსები.

მართალია, არც ნოსტრადამუსი ვარ და არც ვანგა, მაგრამ ჩემთვის, იმთავითვე ცხადი იყო, რომ ამ შემადგენლობით ხელისუფლებაში მოსული და „ოცნების“ პარლამენტი არათუ სასარგებლო, არამედ, უმეტესწილად, უსარგებლო თავყრილობა იქნებოდა და კანონებსაც ისეთს მიიღებდნენ, რომელიც უფრორე დაამძიმებდა პოლიტიკურ თუ სოციალურ ფონს...

შემდეგ იყო უამრავი უსარგებლო კანონი და სულ ახლახან, ხმათა უმრავლესობით „ოცნების“ პარლამენტმა ხალხისა და საპატრიარქოს გვერდის ავლით ანტიდისკრიმინაციული კანონიც „გამოაცხო“... ერიცა და ბერიც საგონებელში ჩავარდა, მაგრამ ვინ მოუსმინა ან ერთს, ან მეორეს?!..

სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ერიც და ბერიც, დღემდე შეჰყურებს, როგორ ეკმევა გუნდრუკი მამათმავლობას, ლესბოსელობას, ათასგვარ უზნეობას, უსამართლობას, გაუნათლებლობას, უსაშშობლოთა პარპაშს და რა, მერე?!.. არც არაფერი!..

თენდება უიმედო დილა და ასე იქამდე, ვიდრე კოალიციაში შემავალი რომელიმე პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ან უხამსი ვიდეო არ გავრცელდება, ანდა პრეზიდენტადწოდებულის მრავალფეროვან სექსზე არ დაიწყება საუბარი, ყველა ტელევიზორსა თუ ყველა არხზე!.. ისევ ძილი... ისევ უიმედო დღეების, კვირები, თვეები, წლები. ამ ყველაფერს შიგადაშიგ გულისფხანა დაემატება და ამასობაში, მივიწყებისკენ მიდის დიდი ილიას სიტყვები – „ფხანა ქეცმა იცის...“

დიახ, ქეციანების ქვეყანა გავხდით!.. წვინტლიანი და ქეციანების ქვეყანა, თორემ „ნაციონალები“ როგორ უნდა გვიბედავდნენ იმის თქმას, – ხვალ თუ არა, ზეგ ხელისუფლებაში დავბრუნდებით და ხერხემალში გადაგტეხავთო?!!!

როგორ უნდა გვიბედავდნენ ბოლომდე გაშიშვლებული პოლიტიკური მეძავები გამოღმა შემოდავებას – ცხრა წელი საქართველოს აღმშენებლობას ვეწეოდით და ადამიანების გასაუპატიურებლად, ანდა დასახოცად სად გვეცალაო?!!!

ანდა როგორ გვიბედავენ მათთან გვერდით მდგომი პარტიების ვიგინდარა ლიდერები იმას, რომ არჩევნებზე მივალთ და თუ შედეგი არ მოგვეწონება, სისხლის კალოსაც გავლეწავთო?!!!

ბავშვს რომ ჰკითხეს – რა გატირებსო?!.. ხომ გახსოვთ, რა უპასუხა!.. ასეა, ბატონებო, გასდით და იმიტომ ღრიალებენ!.. ჯერ სად ხართ, უფრო მოუმატებენ ღნავილს და როცა კი მოუნდებათ, ბღავილით თავსაც მოგვაბეზრებენ, მაგრამ „ქართულო ოცნება“, ამ უზნეო „ნაცების“ ამქარს, მათი და-ძმებიც რომ აჰყვნენ, რაშია საქმე, უმაგათოდ ვერ ძლებთ, თუ მათ გარეშე მოღვაწეობა ვერ წარმოგიდგენიათ?!..

ვინ არის დავით კოღუაშვილი?!.. ვინ მისცა მას უფლება, რომ „ოცნების“ ტრიბუნიდან მილიონობით ქართველისათვის სულში ჩაეფურთხებინა და ეყვირა – ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა, ბაჩო ახალაია და ზურაბ ადეიშვილი არათუ ნიჭიერები, არამედ ქვეყნის მოამაგეებიც არიანო!..

ერთი, ირაკლი ოქრუაშვილია ერისკაცი და მეორე – დავით კოღუაშვილი, რომლებიც ერთ დროს თანაპარტიელობდნენ ისევე, როგორც სააკაშვილია ერისკაცი და მისი ნათესავი, ირაკლი ალასანია, რომელიც დაუსჯელობით გადიდგულებული კაბელებს ითხრის ყელში და გაიძახის – „უსამართლობას არ გავატარებთო“!..

ოჰეეეე, ირაკლი!.. შენ როგორ ფიქრობ, ხალხი გაგიტარებს იმ ვერაგობას და თავხედობას, რაც შენ და შენი პარტიის ბახუსისმოყვარულმა ლოთებმა გვაკადრეთ?!.. იქნებ გგონია, რომ არავინ იცის, როგორ შეაგზავნე საპატიმროში შენი ნათესავი იმისთვის, რომ 2012 წლის არჩევნებისთვის სამეგრელოში ხმათა უმრავლესობა „ნაციონალურ მოძრაობას“ მოეგო?!.. რომ დიდგულობ – მე დამაპატიმრეთო!.. არც ეგ დღე მგონია შორს იყოს, რადგან არა მხოლოდ სამეგრელოს რეგიონში შენი საეჭვო წაგება, არამედ იმ საქმეების გამოძიებაც დაიწყება, ახლა რომ მართლაც უდანაშაულო ოფიცრების ამოფარებით ჩაიდინე!.. დიახ, შენ იდექი მათ უკან, შენ იყავი მინისტრი და შენი – „ერთი სული მაქვს ამ საქავკეთიდან ჩემ შვილებსო როდის წავიყვანო!“ – დამთავრებულია იმ ქვეყნის საქმე!.. **მაგრამ მართლმადიდებლური ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე და იმავდროულად თავდაცვის მინისტრის ძმარი დავით უსუფაშვილი რომ დაგმოძღვრავს „ბიბლია ბოროტებაა“, ე, მანდ, თუ ერი გძვია, უნდა აილო კომბალი, დანა, ჩანგალი, ტაფა და იმდენი ურტყა, რუსის ბარაბანს რომ არ მოხვედრია!!!**

ბატონო ბიძინა, ქართველი ხალხი აკი გიკიჟინებდათ – „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ გიგანებენ და ქვეყანასაც დაღუპვისკენ წაიყვანენო!.. აკი გეუბნებოდნენ, „ფორუმმა“ კრიტიკულ სიტუაციაში არაეროვნული გადაწყვეტილებების

ვიზირების გარეშე, არც არაფერი გაიყიდებოდა და ვერც ვერაფერს შეიძენდნენ ისინი...

ვერც შენი შემცვლელი თინა დაუძვრება ხალხის რისხვასა და საპყრობილეს, იმიტომ, რომ ფული მასაც უყვარს, არც საქართველოს მომავალზე ფიქრით ათენ-აღამებს და ისიც შენსავით უტიფარია, როცა კი საქმე – მადლიერებას ეხება!..

გუშინ პრემიერმა კვირიკაშვილმა განაცხადა, – „რესპუბლიკელი“ მინისტრების შემცვლელები უკვე შევარჩიეო!.. ბარემ აქვე გეტყვით, ბატონო გიორგი, – ნუ იკადრებთ და ქართველ ხალხსაც ნუ აკადრებთ რებთ კოღუაშვილისა და დამენიასნაირ კადრებს, თორემ როგორც პოეტი რეზო ამაშუკელი ბრძანებს – „ოქტომბერში „ქართული ოცნება“ ქართველი ხალხისგან ვერცერთ ხმას ვერ მიიღებს!!!“

ქვეყნის თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი რომ იტყვის, მიღება იცისო, მაგრამ არ დაგვიჯერეთ და აცადეთ მავანთ, ხოლო ეს მოცდა რით შეიძლება დასრულდეს, თავისუფლად შეგვიძლია ვივარაუდოთ!.

სააკაშვილი საქართველოსკენ მოილტვის და უკვე აღარც კი მალავს, რომ აქ, სასეირნოდ არ ჩამოდის. მიშა ისეთ მოწოდებებს აკეთებს ჩვენი მეგობარი ქვეყნიდან, რომ ნებისმიერი თავმოყვარე ქვეყნის ხელისუფლება, ასეთი გამონათქვამების გამო უკრაინას ნოტას გაუგზავნიდა, თუმცა იმაზე აღარაფერი ვამბობ, რომ ფაშისტური რეჟიმის პრეზიდენტი მიშა ქვეყნიდან სრულიად ხელშეუხებელი და ინდულგენციებით დახუნძლული გაისტუმრეთ.

მოდის და მოვიდეს, ოღონდაც აქ, ყველაზე საინტერესო ის არის, რა ვითარება და რა კონტიგენტი დახვდება!.. აშკარაა, რომ პრეზიდენტადწოდებული მარგველაშვილი „ნაციონალურ მოძრაობას“ უთანაგრძნობს, მიშას ერთგულია პარლამენტის 45 „ნაციონალი“ დეპუტატი, „ნაცების“ დროინდელი კადრები სახელმწიფო დაწესებულებებში, არასამთავრობო სექტორის უდიდესი უმრავლესობა, სასამართლო ხელისუფლება, საკრებულოს წევრები ყველა რაიონში და რამდენიმე ათასი მხარდამჭერი. ამას დამატებული „ქართული ოცნებიდან“ დისტანცირებული სატელიტი პოლიტიკური პარტიები.. ანუ სააკაშვილს საქართველოში სიტუაციის ასარევად დიდი ძალისხმევა არც კი დასჭირდება, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი სუბიექტები აბსოლუტურად საკმარისია იმისთვის, რომ გიჟმა ასანთს ხელი გაჰკრას და ცეცხლი დაანთოს!!! ასეთი პერსპექტივის შემთხვევაში, თითქოსდა ყველაფერი „ნაცებისა“ და მათი მხარდამჭერების სასარგებლოდ უნდა განვითარდეს, მაგრამ ამავდროულად, იმედის ნაპერწკალი ის ხალხია, რომელსაც მიშას მობრუნებას სიკვდილი ურჩევნია, ამ ხალხს კი „მისი უდიდებულესობა ქართველი ერი“ ჰქვია!!!

სამეგრელოსა და გურიაში ჩატარებულმა არჩევნებმა აჩვენა, რომ შესაძლოა ცემა-ტყეპის ამპლიტუდამ ოქტომბრისათვის პიკს მიაღწიოს, ამაზე მეტყველებს სოციალური ქსელში გაკეთებული კომენტარები თუ სტატუსები, როგორც „ნაცების“, ასევე „ოცნების“ მხარდამჭერებს შორის: „ჩავაკლავთ!“, „ხერხემალში გადავტეხავთ!“, „ცოლშვილს ამოვუხოცავთ!“, „ბოთლებზე დავსვამთ!“ და მრავალი სხვა... აი, ასეთი ველური, სრულიად დაუნდობელი და უკიდურესად ზიზღით გაჟღენთილი სიტყვები მოდის „ფეისბუქიდან“, მაგრამ თუ მეხსიერება არ მღალატობს, გივი თარგამაძე პარლამენტის დეპუტატია და როდესაც იგი იმუქრება – „დაგვაცადეთ,

8 ბ3.

გიგლა ბარამიძე:

ნურავინ გვასწავლის ევროპელობას, რადგან ჩვენ, ქართველები, თვითონ ვართ ევროპული კულტურის ერთ-ერთი დამფუძნებლები

გვესაუბრება „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკური მდივანი, გიგლა ბარამიძე:

— ბატონო გიგლა, წინასაარჩევნო პერიოდი საკამოდ დაძაბულია. ქართულ პოლიტიკაში გადალაგების პროცესი ხმაურიანად მიმდინარეობს. რა მოლოდინი გაქვთ, მივაღწევთ მშვიდობიანად არჩევნებამდე?

— არჩევნები, გვინდა თუ არა, მაინც ქვეყნის განვითარების გარკვეული ეტაპია. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობა ამ პროცესით უფრო მეტადაა დაინტერესებული, ვიდრე საჭიროა. გამომდინარე იქედან, რომ ჩვენთან ტოტალური უმუშევრობაა, ხალხს არჩევნები გასართობადაც კი ექცა. მსოფლიოში ვერ მოძებნით მეორე ქვეყანას, სადაც ტელევიზიით პოლიტიკურ თემებს ესოდენ დიდი დრო ეთმობოდეს. ეს ჭაობის პოლიტიკაა — ერთიდაიგივე მეტყველება, ლექსიკა და საქმე წინ არ მიდის. ეს ყველაფერი უკვე ყელში ამოვიდა. სულ სხვაა ვახტანგის სკოლა. მოსახლეობა არჩევნებზე არჩევანს უნდა აკეთებდეს და მერე, მისი საზრუნავი სულ სხვა რამ იყოს. უპირველესად, ის უნდა გაკეთებულიყო, რასაც „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ ოპოზიციაში ყოფნისას „ნაცმოძრაობისგან“ მოითხოვდა — საარჩევნო კანონის შეცვლას, რაც არჩევნების ნორმალურად ჩატარების გარანტიას მოგვცემდა. დღევანდელმა ხელისუფლებამ არცერთი მუხლი არ გაითვალისწინა — არც საარჩევნო გარემოს შეცვლა, არც საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება და, რაც მთავარია, არც ბიომეტრიული სიები გააკეთა. ამიტომ, მივიღეთ სია, რომელიც გაყალბების საშუალებას იძლევა. განა შეიძლება, აღწერის შედეგად, საქართველოში 3.750 ათასი მოსახლე იყოს და აქედან, 3.250 ათასი ამომრჩეველი?! ეს ხომ ნონსენსია.

— ბატონო გიგლა, მედიასაშუალებები ხან რომელ პარტიასთან გაერთიანებთ და ხან რომელთან. რეალურად, თუ გეგმავთ რაიმე სახის გაერთიანებებს?

— რაც შეეხება გაერთიანებას, ჩვენ, თვითკმარი პარტია ვართ, ბლოკებში, ფრონტებში არანაირ გაერთიანებას არ ვგეგმავთ. გამორიცხული არაფერია, მაგრამ როგორც პოლიტიკური მდივანი დარწმუნებული ვარ, სხვა პარტიებთან გაერთიანება არ იქნება. „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე ამბობდა, მაჟორიტარული სისტემა გასაუქმებელიაო, ახლა, ამის საპირწონედ ლამის გერმანული მოდელი წარმოადგინეს და ხელისუფლება არც ამაზე მოდის. იმიტომ, რომ უნდათ 77 გარანტირებული მაჟორიტარი ჰყავდეთ.

— მერე, ეს არჩეული მაჟორიტარები კალიებივით დახტუნავენ პარტიიდან პარტიაში...

— დიახ, მართალია. კანონში ცვლილებების შეტანას 2020 წლისთვის გვპირდებიან, დროს წელავენ. სასაცილოა, როცა „ქართული ოცნების“ წევრს, „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს, პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ უსუფაშვილს საოპოზიციონეროდ დაუდგა საქმე. მან, ორი დღის წინ, ინტერვიუში განაცხადა: ეტყობა, მართლაც ცუდი საარჩევნო კოდექსი გვაქვს და სერიოზული ცვლილებებია განსახორციელებელიო. ოთხი წელია ამას ვამბობთ და არ განძრეულან. ახლა, როცა დღეს ან ხვალ მინისტრის პოსტები უნდა დატოვონ, საარჩევნო კოდექსი გაახსენდათ? ახლა, აუტყდათ ოპოზიციონერობა?

— ბატონო გიგლა, წინა კვირას „ქართული ოცნების“ მეოთხე ყრილობა ჩატარდა. კვირიკაშვილმა საზოგადოებას პოლიტსაბჭოს ახალი სახეებიც წარუდგინა.

— რაც შეეხება ახალ სახეებს, რა თქმა უნდა, ნებისმიერ პარტიაში განახლება უნდა ხდებოდეს, მაგრამ ერთია — ახალი სახე და ცნობადი — მეორე. შეიძლება ესა თუ ის პიროვნება ცნობადი სახე იყოს, მაგრამ ჩვეულებრივი უქნარა და თახსირი. ამიტომ, მთავარი ცნობადობა კი არაა, არამედ ისეთი პიროვნებები იყვნენ, რომლებიც ქვეყანასაც გამოადგება და პოლიტიკურ ორგანიზაციასაც. ჩვენი განახლება სწორედ ამ კუთხით მიდის და არა ცნობადი ან არაცნობადის მიხედვით. განმსაზღვრელი სამი ძირითადი კრიტერიუმია — პროფესიონალიზმი, წესიერება და ერთგულების განცდა. წეღან თქვით, არჩეული მაჟორიტარები აქეთ-იქით დახტუნავენო. არადა, ამომრჩეველი კონკრეტულად მის დაპირებებს აძლევს ხმას და მაშინ, პარტია უხერხულ მდგომარეობაში არ უნდა ჩადგეს. ეს პრობლემა, ქართულ პოლიტიკაში, ყოველთვის იყო. მიკვირს, რატომ იყო დიდი მოლოდინი „ქართული ოცნების“ ახალი სახეების მიმართ.

საოცარია, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ყრილობაზე ეკონომიკის გაჯანსაღებაზე, სამართლიანობის აღდგენაზე, იმ პოლიტიკური ძალის გასამართლებაზე ესაუბრათ, რომელმაც წლების მანძილზე საქართველოს ტერორი, მკვლელობები, მოტაცებები, უზნეობა დაატეხა თავს, პოლიტსაბჭოს ახალმა სახემ კოღუაშვილმა იმაზე ისაუბრა, რომ თურმე, „ნაციონალების“ ლიდერები ძალიან ინტელექტუალები, ჭკვიანები ყოფილან. პრემიერის გუნდის ერთი ნაწილი ყველა უბედურებას „ნაცებს“ აბრალებს, ახალი ფრთის წარმომადგენელი კი ამბობს, რომ თურმე, დღევანდელი პრემიერ-მინისტრი რომის პაპი უნდა გახდეს, რათა მერაბიშვილს და სხვებს ინდულგენცია მისცეს. შე დალოცვილო, როგორც სამცხე-ჯავახეთის ყოფილი რწმუნებული, ისე გეუბნები, რომლის წიაღიდანაც მერაბიშვილი წარმოიშვა, რომ ამბობ განათლებულიაო, ეს ის მერაბიშვილია, რომელმაც 7, 26 მაისი მოუწყო საქართველოს. ჟურნალისტებს ცელებით დასდევდნენ. რაში გამოიხატა მისი ნიჭიერება, რომ პარიზში სასახლე აქვს? — რომ გამოახალი სახეები და აჩვენეთ 26 მაისის ზოგ მონაწილეს თვალი აქვს ამოდგებული, ზოგს კიდურები არ აქვს, ორი მოკლეს, 500-მდე ადამიანი ფსიქოლოგიურად თუ ფიზიკურად დასახიჩრდა, ქონება წაერთვა, ნასამართლეობა მოხსნილი არ აქვთ, უმუშევრები არიან. მოუყევით ამ ადამიანებს როგორი ნიჭიერი ყოფილა მერაბიშვილი. როცა პოლიტსაბჭოში ასეთი ადამიანები მოჰყავთ, ეს საქართველოს მოსახლეობისთვის სულში ჩაფურთხებაა, განსაკუთრებით, მათთვის ვინც იბრძოლეს. აუხსენით საზოგადოებას რატომ არიან გირგვლიანების, ვაზაგაშვილების და სხვათა მკვლელები და გამაუბედურებლები ნიჭიერები და თურმე, კათოლიკურ ინდულგენციასაც იმსახურებენ. აღარაფერს ვამბობ ჩემს თავზე, კაცი რომელსაც არაფერი დამიშავებია, შემედაროს ვინმე წესიერებაში, ცხრა წელი ძებნაში ვიყავი გაგდებული, მამის დაკრძალვას ვერ დავესწარი, ბავშვი დამიავადეს — თვალის ბადე აქვს ჩამოშლილი, წელიწადში ორ ოპერაციას ვუკეთებ, რათა თვალი შევუნარჩუნო. იმიტომ, რომ 500-ჯერ შემოვარდნენ სახლში და ოჯახის წევრებს მიტერორებდნენ. ნიჭიერი ყოფილა მერაბიშვილი, დიდი მადლობა ამისთვის. ამ გოიმ მერაბიშვილს პარიზში აქვს სახლი, კაცმა არ იცის თვითონ ვისი გაკეთებულია. მე ვიცი მისი ბიოგრაფია და იმიტომ ვამბობ. მესხელიც ვიცი ვინ არის. არ გამიხადეს ეს ავაზაკები ტალანტები?! იმ ავბედით ღამეს ათასობით ჩვენი მომხრე დაიჭირეს, დაასახიჩრეს, ცემეს, ტყეპეს, მამას აყურებინებდნენ როგორ სცემდნენ შვილს და პირიქით, ყველას მანქანა წაართვეს, ქონება არავის დაუბრუნეს. ყველა უმუშევარია, ნასამართლეობა არავის მოუხსნეს, ფსიქოლოგიურად დამძიმებულები, დატერორებულები არიან. ვიცი ფაქტები, როცა მეუღლეს წიხლებით შედგნენ და მუცელი მოუშალეს. ამ ყველაფრის ორგანიზატორ მერაბიშვილზე შეიძლება ასე ილაპარაკო? ამას ვიგინდარას მეტი არავინ გააკეთებს. ჯერ „ნაცების“ ქმედებას, ყველა მათ დანაშაულს დაარქვან სახელი, ეს იურიდიულად გააფორმონ და მათ ნიჭიერებაზე მერე გველაპარაკონ.

— კვირიკაშვილმა უკვე მეორედ განაცხადა, რომ „გაერთიანებულ დემოკრატებთან“ არ ითანამშრომლებს. რით აიხსნება მისი კატეგორიულობა თქვენს მიმართ?

— ახლა ჩვენ გვკითხოს, გვინდა მასთან თანამშრომლობა? მეორეც, კვირიკაშვილს ჰგონია რომ ახალ პარლამენტში ვიცე-პრემიერი იქნება? — მეტი არაა ჩემი მტერი. იქ, ჩვენ სერიოზული ძალებით ვაპირებთ შესვლას და საკუთარი კანდიდატურები გვეყოლება, მეტად პრინციპული და პროფესიონალები, რომლებიც იმოქმედებენ არა იმით, თუ რომელი საელჩო რა მითითებას მისცემს და ვინ ასიამოვნონ, არამედ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. მათთვის უპირველესი ერის ინტერესები იქნება და არა რომელიმე საელჩოს ან არასამთავრობოს ტატყანი და ქმედე-

8 გვ.

გიგლა ბარამიძე:

ნურავინ გვასწავლის ევროპელობას, რადგან ჩვენ, ქართველები, თვითონ ვართ ევროპული კულტურის ერთ-ერთი დამფუძნებლები

7 გვ.

ბა. კვირიკაშვილმა, თუკი მისმა მოყვანილმა პოლიტსაბჭოს წევრებმა ასეთი განცხადებები აკეთეს, შეიძლება არჩევნებამდეც ვერ მიაღწიოს, ხალხი ცემა-ტყეპით გამოიყვანს კაბინეტიდან თუ ახალი სახის მიერ ნაპრუტუნებს არ შეიმჩნევს და ამისთვის მას ყურს არ აუწევს.

– თქვენთან თანამშრომლობაზე უარის თქმა რით შეიძლება იყოს განპირობებული, იგი კარპენტერმა უკვე განაცხადა, რომ საქართველო მაპს ვერ მიიღებს. ჩვენი პოლიტიკოსები კი მაინც ნატო, ნატოს ძახილით ცდილობენ ქულების დაწერას.

– ჩვენ თავმოყვარე ისტებლიშმენტი არ გვყავს, ერთხელ მოგვატყუეს, მეორედ, მესამედ, როდემდე შეიძლება?! ნატოს წევრ ქვეყნებზე მეტი ჯარისკაცი გვყავს ავღანეთში. თავმოყვარე ქვეყანა სამას კაცს მაინც მოაკლებდა და წამოიყვანდა თავის სამშობლოში. ეს დიპლომატიური ნაბიჯი, დემარში იქნებოდა. ამით ევროპას ვაგრძნობინებდით, რომ სხვა ინტერესებიც გაგვაჩნია. ხომ შეიძლება, ერთხელ მაინც ხმამაღლა გამოთქვან საყვედური – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე არ გვეხმარებით, მცოცავ ანექსიაზე არ გვეხმარებით, ჩვენს მწყემსს რომ იტაცებენ ხმას არ იღებთო, არც იმას ამბობენ ჩვენი ჯარისკაცები აქ გვჭირდებაო. როცა თურქეთს რაღაც არ გამოსდის, მაშინვე ულტიმატუმს უყენებს ევროკავშირს, ასევე სომხეთი სომხეთი. გახსოვთ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა რა დღეში ჩააგდო ევროკავშირი. ჩვენები მეძავის პრინციპს არიან აყოლილი. კვიპროსისა და გერმანიის მაგალითებზე საუბრობენ, არადა, ჩვენთვის ორივე დამღუპველია. ხომ ამბობდნენ კიდეც „რესპუბლიკელები“ რა მოხდა მიიღოს აფხაზეთმა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი და მერე გავაფორმოთ მასთან ხელშეკრულებაო. ამას გვთავაზობს ზოგი პოლიტიკოსი. ჩვენი პარტია არ იყო ნატოს წინააღმდეგი, თუკი გარკვეულ პრობლემატიკაზე დაგვეხმარებოდნენ. მაგრამ 2008 წლის მერე, წინა ხელისუფლებამ თამაშ-თამაშ რომ ჩააბარა მიწები, გენერლებმა ერთი ტყვიაც ვერ გაისროლეს, პირიქით გადააბარეს ახალგორი, 100 სოფელი, კოდორის ხეობა, ამის მერე, ძნელია, საქართველოში ორი სამხედრო პოლიტიკური ბლოკის ჯარების განთავსება. დემოგრაფიული თვალსაზრისით, კატასტროფული მაჩვენებელი გვაქვს, მალე ქართველები საქართველოში უმცირესობაში ვიქნებით. გარდა ამისა, ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე იბადება. დემოგრაფიული პრობლემა ქართული პოლიტიკის ჩამონათვალში საერთოდ არაა. ნატოში ჩვენი შეყვანა თუ უნდათ, ჩაგვავლებენ ყურში ხელს და სულ არ გვკითხავენ ისე შეგვიყვანენ. სახელმწიფოებრივი მიდგომა არ არის როცა შენს ქვეყანას მოჯამაგირესა-

პრო-რუსულ ძალად მოგიაზრებთ?

– მივმართავ მათ: მსოფლიოში აღარავინ აყალიბებს ასე პრო-დასავლურ თუ პრო-ამერიკულ ხედვებს. ნორმალური პოლიტიკოსი თავის თავს და არც სხვას იარლიყებს არ აწებებს, არამედ იგი ერთი ამოსავლით აზროვნებს – რა სჭირდება მის ქვეყანას ახლო და შორეულ პერსპექტივაში. მთავარი ის კი არ უნდა იყოს ვისთან და როგორ, არამედ რა პრინციპები, რა ამოცანები აქვს დღეს საქართველოს და ყველასთან ურთიერთობა ამის მიხედვით უნდა ავაგოთ. ევროპელობას ნუ იბრალებთ იმიტომ, რომ სანამ თქვენ გაჩნდებოდით, საქართველო თავისთავად იყო ცნობიერებით ევროპა. ჩვენ ევროპის დამფუძნებლები ვართ როგორც ქრისტიანი მართლმადიდებლები. მართლმადიდებლურ და ელინურ კულტურაზეა დაფუძნებული ევროპული ფასეულობები. ამიტომ, ნუ გინდათ ევროპელობისგან იმუნიტეტი მიიღოთ. ჩვენ, პარტია არ ვართ პრო-ევროპელები, არ ვართ პრო-რუსები, ჩვენ არ ვართ პრო, არამედ ეროვნულ ინტერესზე დამყარებული ძალა, რომელიც ყოველთვის ევროპის ნაწილია, მაგრამ ამავე დროს თვლის, რომ აუცილებელია, ყველასთან, მათ შორის, რუსეთთან ურთიერთობა თუნდაც იმიტომ, რომ ტერიტორიები აქვს წაღებული და მოლაპარაკების გარდა მათი დაბრუნების სხვა გზა არ არსებობს.

– ბატონო გიგლა, ვარშავის სამიტი ახლოვდება. მაიკლ ვით, მთხოვნელის როლში აყენებ და სახელმწიფოს ოცნებად და მიზნად რომელიმე სტრუქტურაში გაერთიანება გაიხდი. ეს ერთ-ერთი საშუალებაა. ქვეყნის მიზანი სხვა უნდა იყოს – დემოკრატია, ტერიტორიების დაბრუნება, სამუშაო ადგილები.

– ბოლოს, „ნაცმოძრაობაზე“ მინდა გკითხოთ, ამბობენ, სერიოზული არეულობისთვის ემზადებიანო?

– „ნაცებს“ არეულობისა და ხალხის გამოყვანის თავი რომ ჰქონდეთ, აქამდე გამოჩნდებოდა. მათ რამდენჯერმე დატესტეს ეს და არ გამოუვიდათ, ვერც „რუსთავი2“-ისთვის გამოიყვანეს ხალხი და ვერც სხვა აქციებზე გამოიჩინეს თავი. მათ დღევანდელმა ხელისუფლებამ კი დაუტოვა მილიონები, მაგრამ ხალხი მაინც ვერ გამოჰყავთ. ამიტომ, ტყუილად ნუ იმუქრებიან.

თამარ შველიძე
555 23 28 24

6 გვ.

ბიძინას გადარგული გლუვი ხის ტანზე ხერხემალში გადაგამტვრევთო“, რას აკეთებს ამ დროს სამართალდამცავი ორგანოები, ამაზე რეაგირება არ უნდა მოახდინოს?!..

როგორც უკვე მოგახსენეთ, ორი დღეა სოციალური ქსელები უკვე საომარ პოლიგონად იქცა და თუ კომენტარებით ომი უკვე დაიწყო და „ფეისბუქი“ ასეთი ეფექტური საშუალებაა ერთმანეთის დასაპირისპირებლად, ვფიქრობ, განგაშის ზარები ახლავე უნდა შემოჰკრას ხელისუფლებამ და ასეთი მუქარით სავსე კომენტარების ავტორებს, რომლებიც იმავდროულად დეპუტატებიც არიან და არჩევნებზე ხელჩართულ ბრძოლაშიც მონაწილეობდნენ, საკადრისი დროზე უნდა მიუზღოს, თორემ მერე, დაგვიანებული არ იყოს.

გავიხსენოთ, ეგვიპტესა და უკრაინაში, თურქეთსა და მრავალ ქვეყანაში, ერთ დაძახებაზე ხელისუფლების გადაყენების თუ ძალადობრივი გზით სახელმწიფო გადატრიალების უზრუნველყოფა როგორ შეძრეს „ფეისბუქის“ მომხმარებლებმა, საქართველო რითია გამონაკლისი?!.. მე თქვენ გეტყვით და „ნაცებს“ ვინმესგან აქვს სასწავლი, როგორ მოიქცეს, ისინი ხომ მრავალ ქვეყანაში არიან ცნობილი როგორც „დემოკრატიის შუქურა“ და „რევოლუციის იმპერატორები“?!.. ამას გარდა, მათ აქვთ საქართველოს მოქალაქისგან წაღლეტილი ფული, რომელიც ოფშორებში დაავანეს და ამიტომაც არიან საშიშნი შემოდგომით!!! ყოვლად შესაძლებელია შემოდგომაზე (თუკი იქამდე უარესი არ დაგვემართა), სამოქალაქო ომის ზღვარზე დავდგეთ. ჰოდა, ვიდრე დროა, ეს თქვენი მოყვანილი ფალავნები, გაიტანეთ პოლიტიკური ტატამიდან, თორემ ქართველი ხალხი გაიტანს და ვინძლო „ქართულ ოცნებაში“ დარჩენილებიც არ გააყოლონ ხელს!!!

დიახ, მეხუთე და უფრო უკეთესი წელი, – სწორედ ასე წარმოუდგენია ერს, იმ ერს, რომელმაც კარგად უწყოდა, რომ მხოლოდ თქვენი ხათრით ირჩევდა გარდაცვლილ „რესპუბლიკელებს“, „ეროვნულ ფორუმს“, „კონსერვატორებს“, „მწვანეებს“, „ციფერებს“, „წითლებს“ და სხვა ჭრელა-ჭრელა პოლიტიკოსებს!.. ერმა, რომელმაც ამდენი აიტანა, ვატყობ, უკვე ვეღარ მოითმენს იმას, რომ 2012 წლის გრანდიოზული გამარჯვება დათმოს და იქ დაბრუნდეს, საიდანაც რის ვაი-ვაგლახით დააღწია თავი!!!

ირინე გოგოსაშვილი
555 25 43 35

ავთანდილ უნგიაძე:

თავისი არსით, ყველაზე ანტილიბერალური და ფაშისტური, სწორედ ლიბერალური იდეოლოგიაა

თუ ეს კანონი მივიღეთ, არა მარტო სულიერად, ფიზიკურადაც გადავგვარდებით, რადგან ეს არა გამრავლების, არამედ დეგენერაციის გზაა

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერი ავთანდილ უნგიაძე.

– ყველამ ვიცით, რომ განსხვავებული ორიენტაციის ადამიანებმა გადაწყვიტეს 17 მაისი თავიანთი ცოდვის პროპაგანდისთვის გამოეყენებინათ. გარყვნილებას, რომელსაც ეს ცოდვის შვილები ატარებენ და რომლის პროპაგანდასაც ცდილობენ, ღმერთი ყველაზე საძაგელ ცოდვას უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ არ ვდევნით და მათ ცოდვილ ცხოვრებაში

არ ვერევით, პროპაგანდას, რომელიც ამ ადამიანებისგან მომდინარეობს, ვეწინააღმდეგებით. ამიტომ ეკლესიამ 17 მაისი ოჯახის სიწმინდისა და სიმტკიცის დღედ გამოაცხადა, რაც ძალიან აღიზიანებთ და ისეთი პრიმიტიული ფორმებით, როგორც საპატრიარქოს კედლებისთვის საღებავის მისხმაა, ცდილობენ პროტესტის გამოხატვას. ან ნიჭი არ ჰყოფნით ან ფიქრობენ, რომ შენიღბვა არ ჭირდებათ და ძალისმიერი მეთოდებით ცდილობენ საზოგადოებისთვის მიუღებელი ღირებულებების დანერგვას. შესაბამისად, ისეთი აშკარა და დაუფარავი ბოროტება მოედინება მათგან, რომ ნებისმიერი მოქალაქე შეუიარაღებელი თვალით ხედავს. წარმოიდგინეთ, თბილისში გამართულ მსოფლიო საოჯახო კონგრესზე მივიდნენ სავარაუდოდ ფემინისტები, პლაკატები გაშალეს და ღიად მოუწოდებენ, ოჯახი არ შექმნათ, არ გათხოვდეთ და შვილი არ გააჩინოთო. საბედნიეროდ, ჩვენთან მსგავსი რამ არ მომხდარა, მაგრამ ზოგან ფემინისტებმა ასეთი პლაკატებიც გაშალეს: „ჩემს შვილს მინდა მოვკლავ და მინდა არა“... როგორც ხვდებით, აბორტს გულისხმობდნენ.. თუ ეს მივიღეთ, არა მარტო მენტალურად და სულიერად, არამედ ფიზიკურადაც გადავგვარდებით, რადგან ეს არა გამრავლების, არამედ დეგენერაციის გზაა.

– ბატონო ავთანდილ, ვერც იმაზე დავხუჭავთ თვალს, რომ არსებობენ ოჯახები, რომლებიც ბავშვს მათხოვრობას აიძულებენ და ნარკომანიასა და პროსტიტუციაში აბამენ. ბავშვის ასეთ ოჯახში გაჩერება მისი გაწირვის ტოლფასია.

– გეთანხმებით და არავინ საუბრობს იმაზე, რომ ასეთ სიტუაციაში ბავშვი არ უნდა დავიცვათ და ოჯახს არ უნდა გავარიდოთ. მოქმედი კანონმდებლობა ასეთ საკითხებს სრულიად ადექვატურად ეხმიანება და არეგულირებს. არაკეთილსაიმედო ოჯახიდან ბავშვის განრიდება ხდება, მაგრამ საბოლოოდ გამოყვანაზე და მშობლის უფლების შეზღუდვაზე სასამართლო მსჯელობს. ტარდება მოკვლევა, მოწმეთა გამოკითხვა და სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას-ჩამოართვას თუ არა მშობელს ბავშვზე მეურვეობის უფლება. ახალი კანონმდებობით კი ერთ სოციალურ მუშაკს შეუძლია თავისი შეხედულებით, წაართვას ან დაუტოვოს ოჯახს ბავშვი. ამასთან, დიდი ეჭვი გვაქვს, რომ ეს სოციალური მუშაკი იმავე არასამთავრობო ორგანიზაციებიდან იქნება, რომლებზეც ზემოთ ვსაუბრობდი. ევროპის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თითქმის ნულია შანსი, რომ ოჯახმა შვილი სასამართლოს ძალით დაიბრუნოს. ამ კანონმდებლობის ამოქმედების შემდეგ, 2012 წელს საფრანგეთში 100 000-ზე მეტი ბავშვი გაიყვანეს ოჯახებიდან, გერმანიაში 70 000-მდე და ამ ბავშვების უმეტესობა ერთსქესიან ოჯახებს მიაშვილეს. აი ამისთვის და ბევრი სხვა რაღაცისთვის კეთდება ეს ამბავი. აღნიშნულ ქვეყნებში, გაიზარდა ოჯახების ნგრევის სტატისტიკა. მოზარდებში იმატა კრიმინალის დონემ და შემცირდა შობადობა. წყვილებს აღარ უნდათ ბავშვის გაჩენა, რადგან თავს დაცულად ვეღარ გრძნობენ. ერთ ერთ ყველაზე არაკრიმინალურ სკანდინავიის ქვეყნებში, მოზარდებში კრიმინალის შემთხვევებმა 20-ჯერ იმატა, იმიტომ, რომ ბავშვს შენიშვნის მიცემასაც ვერ უბედავენ. შესაბამისად, აღმზრდელობითი ფუნქცია ოჯახსაც მოეშალა და სკოლასაც. ჩვენთანაც რომ იგივე პროცესები განვითარდეს და ამას საზოგადოება მშვიდად შეხვდეს, დასავლეთმა დაგვიკვეთა, რომ სკოლაში ლგბტ თემთან ტოლერანტობა და გენდერული საკითხები ისწავლებოდეს.

– რაც შეეხება გენდერს, ამ თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციები ოჯახური ძალადობის შედეგად, ქალების

გახშირებული მკვლელობის შემთხვევებზეც საუბრობენ, რასაც სამწუხაროდ, საფუძველი გააჩნია.

– სამწუხაროდ, ასეთი ერთეული შემთხვევები ნამდვილად არის, მაგრამ ეს არის ერთეული და არა ათეული შემთხვევები. ეს ორგანიაციები ცდილობენ გენდერი ქალისა და კაცის თანაბარ უფლებებს დაუკავშირონ, თუმცა სინამდვილეში გენდერს მთელი ლგბტ სპექტრი შემოჰყავს. რომელ თანაბარ უფლებებზეა საუბარი, როცა მთელ რიგ შემთხვევებში, ქალი უპირატესია და მამაკაცზე მეტი უფლებები აქვს? ეკლესია ამბობს, რომ ოჯახის უფროსი მამაკაცია, მაგრამ იგივე მამაკაცი თავს დებს თავისი მეუღლისა და ოჯახისთვის, როგორც ქრისტემ დადო ეკლესიისთვის. აქ სრული ბალანსი და წონასწორობაა და არანაირი დისკრიმინაციის საფუძველი არ არსებობს. ამათ ეს წონასწორობა არ აწყობთ, რადგან მათი მიზანი ოჯახის დანგრევაა. ოჯახი უნდა დაინგრეს, ამიტომ ქალი უნდა დაუპირისპირდეს კაცს და შვილი მშობელს. ევროპაში, ოჯახი თანდათან კარგავს თავის ფუნქციას და ფაქტობრივად კვდება. მათი პროგნოზით, 2050 წლისთვის ოჯახის ინსტიტუტი საერთოდ აღარ იარსებებს, მაგრამ საქართველო ამას არ მიიღებს და ვერ შეეგუება.

– დემოგრაფიული აღორძინების ფონდის პროგნოზით, 2050 წლისთვის ქვეყნის მოსახლეობა 28%–ით ანუ 1,17 მილიონი ადამიანით შემცირდება. არსებობს უარესი პროგნოზებიც..

– რა თქმა უნდა, ასეთი მიგრაციის პირობებში, ოჯახების ნგრევის რისკი იზრდება. მიგრაციაც რომ არ იყოს, სოციალური ფონის გამო რომ ოჯახებში დაძაბულობაა და ძალადობა იმატებს, ამაზე ხელისუფლებაა პასუხისმგებელი. იმის ნაცვლად, რომ თავიანთი წილი პასუხისმგებლობა იტვირთონ, ოჯახების დასატერორებელი ინსტიტუტი შემოჰყავთ. რა კეთდება იმისთვის, რომ რომ ადამიანები სახლიდან ლუკმა-პურის საშოვნელად არ გადაიხვეწონ? სამწუხაროდ, ბევრი არაფერი, რაც ისევ დასავლეთის პოლიტიკის შედეგია. დასავლეთი გვიდგენს, როგორ უნდა განვითარდეთ, როგორი წარმოება უნდა გვქონდეს თუ არ გვქონდეს. სულიერი ტერორია, როცა ქვეყანას საკუთარი ნება არ გააჩნია. ეკლესია ცდილობს თავისი სიტყვა თქვას, მაგრამ მისი იგნორირება ხდება. წარმოიდგინეთ, იუვენალური იუსტიციის კანონის მომზადების პროცესში ამერიკის საელჩოდან და კარიტასიდან დაწყებული, ქართველთმოძულე სახალხო დამცველით დამთავრებული ყველა მიწვეული იყო. ყველა, ეკლესიის გარდა. ოჯახები, რომლებსაც ეს კანონი ეხება, ეკლესიის მრევლი და სამწყსოა, ამიტომ სულ მცირე, ეკლესიას აზრი მაინც უნდა ჰკითხო. ამჟამად, ეკლესიის პოზიციის გამო, კანონის მიღება გადაიდო, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. კარგი იქნება თუ საზოგადოება „გამოიღვიძებს“ და მიხვდება, რომ საფრთხე თითოეულ ოჯახს ეხება. არავინ იქნება დაცული და ჩვენ პარლამენტარებსაც ვეუბნებით, რომ ხვალ ამ საშინელი საფრთხის წინაშე შეიძლება მათი ოჯახები დადგეს. თავისი არსით, ყველაზე არალიბერალური და ფაშისტური, სწორედ ლიბერალური იდეოლოგიაა, რომელიც ღმერთს ებრძვის, ოჯახს ებრძვის და ყოველივე ადამიანურს უპირისპირდება,ამიტომ საზოგადოებამ საფრთხე რეალურად უნდა აღიქვას და ხმა უნდა ამოიღოს. ჩვენ ვიბრძოლებთ იმ მეთოდებით, რაც გაგვაჩნია და ჩვენს შვილებს არავის დავანებებთ.

ნელი თორდია
571 35 36 88

არჩილ ჟყოიძე:

ჩვენ უნდა გავხსნათ ერთმანეთისკენ მიმავალი ჩაკეტილი გზები

ინტერვიუ „ერეკლე მეორის საზოგადოების“ თავმჯდომარესთან არჩილ ჟყოიძესთან.

– ბატონო არჩილ, მოდით ცოტა შორიდან დავიწყოთ. რა დადებითი და უარყოფითი ასპექტები აქვს საქართველოსთვის აფხაზეთის რკინიგზის გახსნას?

– პირველ რიგში, დადებითზე ვისაუბრებ, თუმცა, აქვე დავძენ, რომ ეს, პრაქტიკულად, არაწამგებიანი ნაბიჯი იქნება. სრულიად ნათელია, რომ დღეს ნებისმიერი ქვეყნის კეთილდღეობა მის სავაჭრო პოტენციალზე არის დამოკიდებული. სახელმწიფოები ოკეანეების მიღმა ეძებენ გასაღებისა თუ რესურსების ბაზრებს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს სავაჭრო მაგისტრალი გაიხსნას. რკინიგზის გახსნას უსათუოდ მოჰყვება ქართველებსა და აფხაზებს შორის, ასევე ქართველებსა და რუსებს შორის ეკონომიკური პროექტების გააქტიურება. ეკონომიკური პროექტები ყოველთვის ხელს უწყობს ურთიერთობების დათბობას. ამის კარგი მაგალითი გვქონდა ერგნეთის ბაზრობის სახით, რომელიც გაიხსნა შევარდნაძის დროს. რეალურად, ქართველებს გვქონდა იმის საშუალება, რომ შევსულიყავით ცხივნალში - სამარშრუტო ტაქსებმაც კი დაიწყეს სიარული ცხინვალიდან რაჭის მიმართულებით. დათბობის პროცესი, პრაქტიკულად, დაწყებული იყო. ბაზრობის დახურვას იქ კონფლიქტის ესკალაცია მოჰყვა, რაც, საბოლოოდ, 2008 წლის ტრაგიკული მოვლენებით დასრულდა. ყველაზე დიდი პლუსი იქნება აფხაზებთან და ზოგადად, აფხაზეთის მოსახლეობასთან ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობების აღდგენა.

საქართველოშიც და აფხაზეთშიც ახალი თაობები გაიზარდნენ. მათ უნდა გამოძებნონ ერთმანეთთან საერთო ენა. ჩაკეტილი გზის პირობებში ეს ვერ მოხდება. გზის გახსნას, შეიძლება, მხოლოდ ერთი უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, კერძოდ, თუ ქართველი მებაჟეები და სასაზღვრო კონტროლი ენგურზე დადგება.

– რკინიგზის გახსნით ხომ არ შეექმნება საქართველოს სამხედრო საფრთხე, ხომ არ მოუტანს ეს ზარალს ჩვენს ეკონომიკას?

– ჯერ სამხედრო საფრთხეზე მინდა გითხრათ, თუ ჩვენ ვსაუბრობთ რუსეთის მხრიდან რაიმე აგრესიის განხორციელებაზე, ვიცით, რომ მათ ავტობანთან უდგათ სამხედრო შენაერთები სეპარატისტული ცხინვალის რეგიონში. რკინიგზის გახსნით ჩვენ საფრთხე არც მოგვემატება და არც დაგვაკლდება. სხვათა შორის, სამხედრო თვალსაზრისით, რკინიგზის გახსნაზე მეტი საფრთხე ხუდონჰესის მშნებელობას შეუძლია მოგვიტანოს, თუმცა ამის განხილვა შორს წაგვიყვანს. ამაზე ძალიან საინტერესო სტატიები მოამზადეს ცნობილმა სამხედრო ექსპერტებმა. ეს საკითხი ძალიან ბუნდოვნად რომ არ დაგიტოვოთ, მოკლედ გეტყვით: სოფლების დატბორვით იმ მონაკვეთში იშლება სახმელეთო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს (ჩრილოეთ კავკასიას) შორის, ხოლო წყალსატევზე გამავალი საზღვარი განსაკუთრებით მოწყვლადია.

ახლა ორიოდე სიტყვით ეკონომიკური სარგებლის შესახებ ვისაუბროთ. დღეს დიდძალი საქონელი მოძრაობს აზერბაიჯანის გავლით, მათ შორის, ქართული საქონელიც. უფრო მეტიც, პრესაში აქა-იქ უკვე გაჟონა ინფორმაციამ, რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების გაუარესების შემდეგ რუსეთისთვის განკუთვნილი სახმელეთო ტვირთის გარკვეული ნაწილი საქართველოს გავლით თურქ ბიზნესმენებს აზერბაიჯანში შეაქვთ და იქედან გადააქვთ რუსეთში. ამას დავუმატოთ სომხეთის ტრანზიტული საქონელი. ასევე შეძლებენ შემოიტანონ რიგი საქონელი რუსეთიდან, რაც, ვფიქრობ, მხოლოდ მომგებიანი იქნება – რაც მეტი სატრანსპორტო დერეფანი და კომუნიკაციის საშუალებები ექნება საქართველოს, მით უფრო გაიზრდება მისი ეკონომიკური განვითარების პოტენციალი. მთავარია, არ განმეორდეს 1990-იანი წლების მტაცებლური პოლიტიკა და ეს სარგებელი სახელმწიფო ხაზინას წაადგეს და არა კერძო ჯიბეებს. მოკლედ, რკინიგზის გახსნაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ, პირიქით, უკეთესი იქნება და გააჯანსაღებს ქართულ ეკონომიკას.

ამ პროექტმა, ჩემი აზრით, საქართველო-ნატოს ურთიერთობებზე რაიმე გავლენა არ უნდა მოახდინოს. მეორე მხრივ, თუ იმის პრეტენზია გვაქვს, რომ სახელმწიფო ვართ, და თანაც სუვერენული, უნდა ვიცოდეთ ერთი რამ: აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიაა და აფხაზეთის რკინიგზის გახსნა ხდება საქართველოს ტერიტორიაზე.

ჩვენ ენგურამდე გვაქვს საუკეთესო თუ არა, ნორმალური რკინიგზა, ხოლო აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზის აღდგენას საკმაოდ დიდი ხარჯები სჭირდება. თუ მის აღდგენაში რუსები მიიღებენ მონაწილეობას, რას კარგავს საქართველო ან დღეს ან სამომავლოდ?!

– ამის გათვალისწინებით, შემცირდება თუ არა ნატოში შესვლის შანსი? როგორ ფიქრობთ, რა ურთიერთობები უნდა გვქონდეს ნატოსთან დღეს?

– რაც შეეხება ნატოს. ეს პროექტები ნატოს რეალურად ხელს არ უშლის. უკვე მეორე ათეული წელია საქართველო, შევარდნაძის სიტყვებს თუ დავესესხებით, ნატოს კარებზე აკაკუნებს, ხან აბრახუნებს, ზოგჯერ ფეხებსაც ურტყამს, მაგრამ ეს კარი არავინ გაგვიღო.

თავის დროზე, როდესაც რუსეთის უკანასკნელი სამხედრო ბაზა გავიდა საქართველოდან, ჩვენ რომ ნატოში შესვლასთან დაკავშირებით განცხადებებისგან თავი შეგვეკავებინა და გვეთქვა, რომ საქართველოს სურს სამხედრო ნეიტრალიტეტი და მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ძალები არ განლაგდება, დღეს უდაოდ უკეთესი მდგომარეობა გვექნებოდა, ჩვენი გაყინული თუ მიძინებული კონფლიქტების თვალსაზრისით. მეორე მხრივ, ნატოსთან თანამშრომლობა იგივე საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ კონტექსტში, თუნდაც საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში და სხვა სამხედრო კამპანიებში მონაწილეობა, ხელსაყრელია ჩვენი ქვეყნისთვის და მეტ შანსს გვაძლევს დედა-სამშობლოს მოწყვეტილი ტერიტორიებისა და, რაც მთავარია, მოსახლეობის დაბრუნების თვალსაზრისით. მე მაინც ასე ვფიქრობ, და არსებობს ობიექტური საფუძვლები ასეთი ვარაუდისთვის – რომ არა ჩვენი გადამეტებული სწრაფვა ნატოსკენ, რუსეთი არ იჩქარებდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარებას.

– ხურჩაში საზარელი მკვლელობა მოხდა.

– რუსეთმა ამ ფაქტზე მკვეთრი რეაგირება უნდა მოახდინოს, საზარელი ფაქტი, რომელიც მოხდა, პროვოცირებულია იმ მიზნით, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობები უფრო მეტად დაიძაბოს. მით უფრო, ახლა, როცა ტურისტული სეზონი ახლოვდება.

უკვე დადასტურდა, რომ მკვლელი აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფება და არის აფხაზი მესაზღვრე.

ამ არაადამიანურ მკვლელობას აუცილებლად უნდა მოჰყვეს შესაბამისი პასუხი. თუ ეს არ მოხდა, უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთს ან აწყობს ეს პროვოკაცია, ან მისთვის სულ ერთია და ხელსაც აძლევს სიტუაციის დაძაბვა.

თუ რამდენიმე დღეში არ გამოიკვეთა კონტურები და რუსეთმა არ დასაჯა ეს ადამიანი, სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიმართოს რუსეთის მხარეს მკვლელის დასჯის მოთხოვნით, ან გადმოსცეს ქართულ მხარეს.

დიახ, ეს იყო პროვოკაცია, თუმცა პროვოკაციასაც ვერ დავარქმევთ, ეს იყო სასტიკი დანაშაული. ამიტომაც ვამბობ, რუსეთმა ცალსახად უნდა დაგმოს ეს ფაქტი და სასწრაფო რეაგირება მოახდინოს.

– აქამდე არაფერი გვსმენია რუსული მხრიდან.

– იყო უღიმღამო განცხადებები, რომ რუსეთი ამ საქმესთან არაფერ კავშირშია. კი. ბატონო, მკვლელი არის აფხაზი მებაჟე, თუმცა იმ ტერიტორიას რუსი მესაზღვრეები აკონტროლებენ, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

ზოგმა შეიძლება ცუდად გამიგოს და ქსენოფობიაშიც დამდოს ბრალი, თუმცა მე ვფიქრობ, ის აფხაზები, რომლებიც ქართველებს მოსაკლავად დასდევენ, ჩვენი ძმები არ არიან.

მათ ჩვენ ვეძახით ძმებს, ისინი გვთვლიან მტრებად.

რა თქმა უნდა, აფხაზები უნდა დავიბრუნოთ, მაგრამ იმ ნაწილის საქციელის, რომლებიც მზად არიან ქათამივით მოკლან ქართველი კაცი, ძალიან შერცხვება ჯანსაღად მოაზროვნე აფხაზებს მერე, როცა უკვე ერთად ვიქნებით, როცა საქართველოს კონსტიტუცია ამოქმედდება აფხაზეთის ტერიტორიაზე.

პრემიერი, პრეზიდენტი და ყველა, ვისაც ხელეწიფება ამჟამად ქვეყნის მართვა, ვალდებულნი არიან აწარმოონ მოლაპარაკებები რუსეთთან, რადგან აფხაზეთი, სიმართლე უნდა ითქვას, რუსეთის გარეშე ნაბიჯსაც ვერ გადადგამს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

რა ხდება ქართული პოლიტიკის კულუარებში?

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს ახალი წევრის დავით კოღუაშვილის ქართულ პოლიტიკაში დაბრუნება ხმაურიანი აღმოჩნდა პარტია. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში კოღუაშვილმა განაცხადა, რომ საარჩევნო სიაში არც თოფაძის და არც მეჭიაურის

ადგილი არ იქნება, რადგან მათგან გამიჯვნა და დისტანცირება თავისთავად მოხდა.

„მერაბიშვილიც ძალიან ნიჭიერი ადამიანია. უბრალოდ, ის გახდა იმ გარემოებების მძევალი, რაც მას დაატეხა მისმა მეუღლემ. ვგულისხმობ გირგვლიანის საქმეს. დიდი შეცდომა დაუშვა მერაბიშვილმა, როგორც მინისტრმა, რომ არ გაემიჯნა ამ თემას და არ აღასრულა ის, რაც მასზე იყო დამოკიდებული.“ „მე გული მწყდება თითოეულ მათგანზე, რომ თავიანთი საქმეების გამო დევნილები გახდნენ.“

„არ მგონია, რომ უგულავამ კიდევ დიდხანს დაყოს ციხეში და ვისურვებდი, მალე დაუბრუნდეს ოჯახს. მას შეუძლია გაცილებით მეტი სიკეთე მოუტანოს ქვეყანას გარეთ, ვიდრე საკანში.“– ეს დავით კოღუაშვილის ინტერვიუებიდან ამონარიდებია, რომლებმაც მმართველ გუნდსა და საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია.

„ქართულ ოცნებაში“ დავით კოღუაშვილის განცხადებები განხილვის თემად იქცა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ომარ ნიშნიანიძემ პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს ახალბედა წევრს პარტიის დატოვებისკენ მოუწოდა. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ კოღუაშვილს უფლება აქვს ჰქონდეს პირადი აზრი, რომლის გამოხატვას ვერავინ აუკრძალავს. (სხვა საკითხია, როგორ მოხვდა ასეთი პირადი აზრების მქონე ადამიანი იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც ხელისუფლებაში სწორედ ნაციონალური მოძრაობის გასამართლების ლოზუნგით მოვიდა).

მეგობრის განცხადებები შეაფასა ქვეყნის პრემიერ მინისტრმაც, რომლის თქმით, დავით კოღუაშვილმა ორიოდე დღეში მოხსნა დაუფიქრებელი განცხადებების ყველა რეკორდი. მთავრობის მეთაურს განსაკუთრებით განცხადებების ის ნაწილი არ მოეწონა, რომელშიც ქართული ოცნების პოლიტსაბჭოს ახალი წევრი თამაზ მეჭიაურსა და გოგი თოფაძეს ეხება.

პარტიაში ახლად მოსულის „რეკორდულ შეცდომებს“ მმართველი პარტიიდან „ფაქტობრივად წასულებიც“ გამოეხმაურნენ. გოგი თოფაძემ სინანული გამოთქვა, რომ დავით კოღუაშვილს პოლიტიკური განათლება აკლია და არ იცის, რომ „ქართული ოცნების“ პოზიციიდან მრეწველებზე არ უნდა ისაუბროს.

თამაზ მეჭიაურმა ივარაუდა, რომ დავით კოღუაშვილს ქართულ ოცნებაში ნაციონალების ფანკლუბის შექმნა სურს და აღნიშნა, რომ მისთვის „დიდი პატივია“, რომ კოღუაშვილმა გამოარჩია. „ჩემი შიშები „ქართული ოცნების“ „დავარცხნილი“ ნაციონალებითა და რესპუბლიკელებით დაკომპლექტების თაობაზე მართლდება“ - განმარტა თამაზ მეჭიაურმა.

სანამ „ქართული ოცნების“ ძველი თუ ახალი წევრები ურთიერთობებს არკვევდნენ, 21 მაისს, „კაბელების საქმესთან“ დაკავშირებით, „თავისუფალმა დემოკრატებმა“ პროკურატურასთან საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის ორგანიზატორთა თქმით, მათი მიზანი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაპროტესტება და დაკავებულთა მხარდაჭერა იყო, რომლებსაც მოსამართლე ბუგიანიშვილმა 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ყველაზე საინტერესო „თავისუფალი დემოკრატების“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე ნაციონალური მოძრაობისა და მისი „გირჩების“ გვერდით უმრავლესობის წევრის, რესპუბლიკელი ფრიდონ საყვარელიძის ხილვა იყო, რომელმაც განაცხადა, რომ უმრავლესობის წევრობაზე მაღლა მისთვის სამართლიანობა დგას და აქციაზე ამიტომ მივიდა.

„ქართული ოცნების“ შიგნით და მის გარშემო ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე, ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის პოზიციით დავინტერესდით და ᲒᲝᲒᲘ ᲗᲝᲤᲐᲫᲔᲡ დავუკავშირდით:

– საპროტესტო აქციებზე ივანიშვილის საწინააღმდეგო ლოზუნგები ბევრი გვინახავს და მოგვისმენია, მაგრამ ეს ბატონი ბიძინას სახელს და უდიდეს საქმიანობას ჩრდილს ვერ მიაყენებს. რაც შეეხება საპროტესტო აქციას, ჩვენ მოვისმინეთ პროკურატურის პოზიცია, დაახლოებით სასამართლოს აზრიც ვიცით და შეიძლება რაღაც სადავო საკითხები არსებობს, მაგრამ არსებობს სააპელაციო და უზენაესი სასამართლოივი დავა იქ გააგრძელონ. არა მგონია, რომ ეს მიტინგები და გამწვავება ვინმეს წაადგეს. პირიქით, შეიძლება პროკურატურისა და სასამართლოს პოზიცია გაამწვავოს. ხომ შეიძლება, რომ პროცესებს მშვიდად და სამართლებრივად მიყვნენ და შემდგომ ინსტანციებში ვითარება შეიცვალოს? რაც შეეხება დავით კოღუაშვილის განცხადებებს, ჩვენ ერთ დროს, ერთად ვიყავით პარლამენტში და არ ვიცი, ეს ყველაფერი როგორ ავხსნა. მოდით, ძალიან მკაცრად ნუ განვსჯით. ჩავთვალოთ, რომ შეეშალა და პოლიტიკოსისთვის უტაქტო განცხადება გააკეთა.

– თამაზ მეჭიაურმა „ქართული ოცნება“ დატოვა. მასთან სამომავლო თანამშრომლობას ხომ არ გეგმავთ?

– თამაზ მეჭიაურს ოც წელზე მეტია ვიცნობ და ძალიან დიდ პატივს ვცემ, როგორც პროფესიონალს, როგორც ნამდვილ ქართველს და ვაჟკაც კაცს. თუ მეჭიაური ჩვენთან მოსვლას გადაწყვეტს, ეს ჩვენთვის დიდი პატივი იქნება, რადგან ზუსტად ასეთი ხალხი გვჭირდება პარტიაში. ნეტავ ბევრი გვყავდეს ასეთი პრინციპული და საქართველოზე მზრუნველი პოლიტიკოსი. გაცილებით წინ ვიქნებოდით დღეს.

როგორ იმოქმედებს სახელისუფლებო პარტიის შიგნით და მის გარეთ მიმდინარე პროცესები არჩევნების შედეგებზე, გარიცხავს თუ არა „ქართული ოცნება“ დავით კოღუაშვილს თავისი რიგებიდან და რა კონფიგურაციის იქნება მომავალი პარლამენტის შემადგენლობა? ამ კითხვებით „საერთო გაზეთი“ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს დაუკავშირდა:

– პოლიტიკური განაცხადის გაკეთება ხშირად უფრო მეტს ითხოვს, ვიდრე იმ წუთის ნაფიქრის ხმამაღლა თქმაა. შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილს რამდენჯერმე მოუწია თავის განცხადებებთან დაბრუნება, რომ განემარტა, თუ რა იგულისხმა. ამდენად, ჩვენთვის ასეთი მოვლენები უცხო არ არის. პრემიერ მინისტრის შეფასებით, ეს იყო დაუფიქრებელი განცხადებები და არც მე მგონია, რომ ეს ფრაზები დავით კოღუაშვილის რეალურ პოზიციას ასახავს. ეს ადამიანი მოდის მემარჯვენეების პოლიტიკური ტრადიციიდან და ასეთი განცხადებები იმ ლოგიკასაც არ უკავშირდება.

– როგორ შეიძლება იმოქმედოს ასეთმა დაუფიქრებელმა განცხადებებმა დაძაბულ წინასაარჩევნო პერიოდში, როცა ყოველ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მოსახლეობის განწყობაზე?

– როგორც ბრძანეთ, ეს „უნებლიე ინციდენტი“ გადასასინჯია და სანახავია, რეალურად რა პოზიცია დგას მის უკან. ჩვეულებრივ, პოლიტიკური გუნდი ორი დღის მოსულ ადამიანს ერთი განცხადების გამო არ უშვებს. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება გაჩნდეს შთაბეჭდილება, რომ გუნდი „გარედან“ შეძახილებით მოქმედებს და საკუთარი პოზიცია არ გააჩნია. ვფიქრობ, არც ასეთი შთაბეჭდილების მოხდენა იქნება ხელსაყრელი „ქართული ოცნებისთვის“.

– მმართველი პარტიის რიგებს დასავლეთის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ძალები ტოვებენ. თქვენი აზრით, როგორი კონფიგურაცია შეიძლება ვიხილოთ წინასაარჩევნოდ და ვის როგორი შანსები აქვს?

– უპირველეს ყოვლისა, მისასალმებელია, რომ ადამიანებს არ ეშინიათ პოზიციის გამოხატვის, ამიტომ ვიღებთ სურათს, როცა პოლიტიკური დაჯგუფებები საზოგადოების განწყობას ასახავენ. ერთ ჯგუფს გააჩნია დასავლეთის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, მეორე კი მთლიანად დასავლეთზეა ორიენტირებული. კრიტიკული ჯგუფების არსებობა ნიშნავს, რომ საზოგადოებაში არსებობენ დასავლური ორიენტაციის კრიტიკის მატარებელი ადამიანები და არჩევნების შედეგად ვნახავთ, რომელ პოზიციას მეტი მხარდამჭერი ჰყავს. უფრო ცუდია, როდესაც პოლიტიკოსები ცდილობენ შეინიღბონ საკუთარი პოზიცია, რადგან შენიღბულ პოლიტიკოსთან დისკუსია უფრო რთულია. ზოგადად, თითოეულ პოზიციას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ცუდი არაა, რომ ეს პოზიციები მოსახლეობაში აისახება.

– ხურჩის ტრაგედიის შემდეგ, პოლიტიკოსების ნაწილი აცხადებს, რომ ქართულ მხარეს ცეცხლი უნდა გაეხსნა და თავდამსხმელები ადგილზე გაენადგურებინა. არის მოწოდებები, რომ ადგილზე ჩავიდეთ და საპროტესტო აქციები გავმართოთ. თქვენი აზრით რა შედეგი შეიძლება მიგვეყოს მოვლენების ამგვარად განვითარებისას და არსებობს თუ არა, სიტუაციის უფრო დაძაბვის საფრთხე?

– ვფიქრობ, სიტუაციის დაძაბვის საფრთხე არსებობს. ბევრმა გააკეთა ასეთი კომენტარი და მეც ვფიქრობ, რომ არ არის გამორიცხული, სირიაში თავისი მონაწილეობის შემცირების შემდეგ, რუსეთი ცდილობდეს მსოფლიოსთვის სხვა მოვლენებით გახდეს აქტუალური: ყარაბახით, საქართველოში არსებული კონფლიქტებით და ა.შ. ანუ გააჩაღოს კონფლიქტები და მერე მსოფლიოსგან ამ კონფლიქტების ჩაქრობის საფასური მოითხოვოს. რუსეთისთვის ეს ბუნებრივი პოლიტიკაა. ამიტომ შეიძლება ამ კონფლიქტიდან სასურველი შედეგის მიღება მოისურვოს. არა მგონია, რომ საპროტესტო განწყობის მანიფესტირებული ჩვენებით რუსეთს უკან დავახევინოთ, პირიქით კი შეიძლება. თუ ჭკუაში მოუვიდა, იმის იმედით, რომ ქართველები სამხედრო კონფლიქტს დაიწყებენ, შეიძლება რუსეთი საქართველოს პროვოცირებას ეცადოს. ჩვენ რომ პროტესტის მუხტი გვაქვს, ამას ეჭვქვეშ არავინ აყენებს და ეს პოზიცია სახელმწიფო და დიპლომატიურ დონეებზეც გამოიხატა, მაგრამ სასურველია, რომ ეს პროცესი იმ ზღვარს არ მიუახლოვდეს, როცა პროვოცირების ალბათობა გაიზრდება. დავფიქრდეთ ამაზე...

ᲜᲔᲚᲘ ᲗᲝᲠᲓᲘᲐ
571 35 36 88

ბატონო პრემიერო, თქვენ უნდა მობრძანდეთ აქ და იკითხოთ, რა სჭირს ამ ქვეყანას, ამ კუთხეს

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

„არსილნი შეშინებულან, არსილნი შეკვირვებულან, იტყვიან გალილეასა...“ – ამბობს საიდუმლო საკულტო ტექსტი.

არავინ იცის, ვინ და რამ „შეაკვირვა“ და შეაშინა „არსილნი“, ანუ ვინ არიან თვითონ ისინი...

არც ჩვენ ვიცით, ვინ „შეაშინა და შეაკვირვა“ ჩვენი ხალხი... ვინ აყარა ეს ქვეყანა და სად არის ერი, რომელიც აღძრულია ერთმანეთის მიმართ შურით და მტრობით და გარეული „ძაღლები“ სდარაჯობენ ჩვენს მიწა-წყალს და წინაპართა საფლავებს!

როდესაც შედიხარ საქართველოს მთიანეთის დიდებულ, მაგრამ უდაბურ საუფლოში, იტყვი: როდის და რატომ მიატოვა ეს თემი ხალხმა, რატომ იქცნენ სახლები ნასახლარებად, სოფლები ნასოფლარებად ჩვენს ხელში და თითქოს ჩვენი თანდასწრებით და მონაწილეობითაც! ანუ ვინ და რამ „შეგვაკრირვა და შეგვაშინა“ ჩვენ – XX-XXI საუკუნის ქართველნი – საკუთარი თავი და სამშობლო რომ დაგვავიწყა!

რატომ დაერქვა ამ ისტორიულ კუთხეებს „უპატრონო“ მხოლოდ მწუხარე ნიშები რომ სდარაჯობენ და ციხე-კოშკთა კედლები გამოსცემენ „ჩაშლილ დროთა“ მუსიკას...

* * *

ძველად, სადაც ხარი დაისვენებდა, იქ აგებდნენ ნიშებს, სახლს, სალოცავს... იქნებ, ახლაც გავუშვათ „ხატის ხარები“ და დავდგათ სახლები და ნიშები იქ, სადაც ხარი დაისვენებს. როგორც წინაპრები იქცეოდნენ, იქ დავთესოთ ქერი და ჩარათი, სადაც ერთ მუჭა თესლზე „ერთი გუდა“ ხორბალი მოდიოდა...

რა ჭირს ამ ქვეყანას, რა იყო აქ „ხოლერა“ თუ „ჟამთა“ დგომის „უჟამო ჟამი“, რამაც გააუდბერა და გააუკაცურა მიწა, სადაც ძველ-იბერიული ჯიშის პირუტყვი ძოვდა და სადღეცხენთა რემები იდგა. სადაც ხაყის ხოდაბუნებში და მამულებში „ნეკერ-ოქრო“ დიკა და ჩარათი ღვიოდა...

რა მივცეთ თემს, რომ აქ დარჩეს და აქ იცხოვროს. იყოს აქ, ვინც არის და დაბრუნდეს ის, ვინც უკვე აიყარა, ან აყარეს... და წასულთა მოლოდინში ტირიან საფლავები ხავსის ჟანგში. და ფრინველები ისმენენ „აკლდამათა როიალების“ მუსიკას თავისქალებით...

ვინ მოვა და ვინ ამოიკითხავს აქ ქვათა პეტრიგლიფებს, ანდრეზთა და რიტუალთ საიდუმლოს, ვინ მოუსმენს აქ „მთის უდაბნოს“ მღვიმეებში შემორჩენილ უკანასკნელ ხევისბერებს და ციხის მცველებს, ანუ „წარღვნას გადარჩენილი“ კიდობნის მგზავრებს!..

* * *

ებრაელთა დიდი გადასახლების მერე არავინ აუყრიათ ისე ვერაგულად და მასიურად, როგორც ქართველი რასა აყარეს საკუთარი სამშობლოდან, ხოლო ხევსურეთს პირდაპირ „დეპორტაცია“ მოუწყეს და გაფანტეს „ნახევარუდაბნოში“...

ვინ და რამ აიძულა ეს ერი, აყრილიყო და წასულიყო საკუთარი მიწიდან?! ქართველი, რომელსაც სამშობლოში ყოფნის ნოსტალგია ატირებდა, რატომ გარბის მონად და მეძავად სხვათა ქვეყანაში?!

რად დაებედა ამ ერს ასეთი ბედისწერა, როდესაც თავად სხვაგან მიილტვის და სხვანი, უცხოელნი, აქეთ მოილტვიან ამ მიწისკენ, როგორც სამოთხისკენ და პოლხი, კავკასიელი თეთრი ძალები შობენ ყორანივით შავ შვილებს?!

* * *

ბატონო პრემიერო! მოგიწოდებთ, რომ მოხვიდეთ და ნახოთ ხევსურეთი – თუნდაც ფშავი, თუნდაც მთიულეთ-გუდამაყარი და მაინც, უწინარეს, ხევსურეთი და მოძებნოთ და იპოვოთ მიზეზი და იფიქროთ იმაზე, თუ რა მოხდა და რა არის წამალი. ეს არის ჩვენი სამშობლოს ის ნაწილი, რომელიც მტრებს ჯერ კიდევ არ წაურთმევიათ და ჩვენი სახელი ჰქვია და ჩვენს საზღვრებში შედის, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ თვითონ წავართვით ჩვენს თავს იგი... ეს არის ის მხარე, რომელზეც პავლე ინგოროყვა წერდა: „ყველგან გადმოწეულია საქართველოს საზღვარი გარდა ხევსურეთისა, მხოლოდ ხევსურებმა შეძლეს მთას იქითა ტერიტორიების შენარჩუნება და გაფართოებაც კი!..“ – აი, ამ კუთხეებს ვტოვებთ ეშმაკების ანაბარა ჩვენ თვითონ და გავდივართ საარსებო სივრციდან, ამ სამოთხიდან ჩვენი უბადრუკობით და ხელისუფალთა ნების უქონლობით.

როდესაც პატრიარქი მობრძანდა ხევსურეთში, იკითხა, თუ რატომ არის დარჩენილი ამ კუთხეში მხოლოდ ასი კაცი. რა არის ამის მიზეზი? **რატომ არის უპატრონო ეს კულტურული კმეგლები და რატომ არ არის აქ ტაძარი, რატომ არ მოდის აქ ხელისუფალი?** პატრიარქი აატირა ამ სიმარტოვემ! მერე მან აკურთხა ახალი ტაძრის საფუძველი უძველეს „ნასაყდრალთა“ შორის და მისცა ასევე ოჯახს 100 ტომარა ფქვილი, 100 ტომარა შაქარი, ბრინჯი და ბევრი სხვა რამ საზრდო და სამყოფი მთელი ზამთრისათვის...

თქვა პატრიარქმა: „აქ სახელმწიფო უნდა ინახავდეს დარჩენილ ასივე ოჯახს და უხდიდეს ხელფასს. აბრუნებდეს გადახვეწილთ და ამკვიდრებდეს აქ, ვიდრე ტყე დაფარავს მიწას და ძველ მამულებს! შექმენით ჯგუფი და მოიფიქრეთ მთსს გადარჩენის პროექტი, მეც დაგეხმარებით, გვერდში დაგიდგებით!“

რა ქნას მეტი პატრიარქმა, რა შეუძლია მას უსახელმწიფო, უპატრონო ქვეყანაში, რომელსაც გიენებივით შესევიან ეშმაკის ნაშობი ლიბერასტი „ასოები“ და „ამოები“ და განიკითხავენ თვით პატრიარქსაც კი...

პრემიერო! თქვენ უნდა მობრძანდეთ აქ და იკითხოთ: რა სჭირს ამ ქვეყანას, ამ კუთხეს? ანუ, რა გვჭირს ზუგადად ჩვენ ისეთი უსაშველო, რომ ხსნას ვერ ვპოულობთ, ვერ ვპოულობთ, თუ არ ვპოულობთ?!

ეს თემი, ეს მთიელნი ხომ შველოდნენ თავის ქვეყანას, ესენი ხომ მოდიოდნენ კრწანისზე და ბახტრიონზე. და როგორც პოეტი ბრძანებს: „მთიდან მოდიოდნენ მტრის ჟლეტა ნებავდათ და ბარში რჩებოდნენ საფლავის ჯვრებადა!..“

ახლა რა გვჭირს, რა დაგვემართა ჩვენ ისეთი, რომ ამ ხალხს გირაოს ვთხოვთ ამ კუთხის გადარჩენის წილად. არ ვაძლევთ არც გრანტს, არც სუბსიდიას, არც არაფერს. არც ერთი თეთრი არ მივეცით „აგროფონდიდან“... რას და როგორ მივცემთ „მთის ფონდიდან“ (რომლის შექმნისთვის მე პირადად თავი მოვიკალი), ეს ჯერ არ ვიცით!

* * *

ჩვენო პრემიერო, სულ ცოტა 30 წელია, ხელისუფლების კარზე ვდგავართ ხელგამოწვდილნი მათხოვრებად: მოგვეცით სახსარი, რომ ვუშველოთ ამ ქვეყანას, სანამ შველა შეიძლება და სანამ აქ კიდევ არის თუნდაც ერთი კაცი, ერთი ბოლო ციხის მცველი, ერთი სადღეცხენი და ერთი ნაგაზი „სოფლის ყურად წოდებული“, რომ მივაბათ კაცს – კაცი, ოჯახს – ოჯახი, თემს – თემი, წესს – წესი, დროს – დრო და როგორმე „დროთა კავშირი“ გავამთელოთ!..

* * *

ვინა ვართ ჩვენ, ეს კუთხე და ეს ხალხი რომ მივატოვეთ?! თემისთვის ვერ მიგვიცია თუნდაც 20 ძროხის, 40 ძირი ფუტკრის, თუნდაც 10 ცხვრის და თხის, თუნდაც ორი ტრაქტორის შესაძენი სახსრები!

ვერ აგვიგია თემში თითოოროლა სახლი-ხანდაკი, თუნდაც ლტოლვილთათვის და მობრუნებულთათვის, თუნდაც ბერებისთვის... როდესაც აქ თემს უხსოვარი დროიდანვე ჰქონდათ სახიზარები და საამანათოები გადმოხვეწილთათვის... ვერაფერს ვერ ვაკეთებთ, რაღაცნაირი „ჯადო“ და „ხიბლი“ გვადევს, ტაბუირებული ვართ კეთილ საქმეთა საკეთებლად...

* * *

რა არის თუნდაც თითო მილიონი თითო კუთხისთვის მთის ფონდიდან (სულ 12-ოდე ისტორიული კუთხე და თემი გვაქვს). მაშინ, როდესაც ვინმე „ტინტორეტოს“ საკივლელად შეგვიძლია გავიღოთ 29 მილიონი – ჩვენს ამაოებაზე სხვათა საროკველად და სამღერელად! შეგვიძლია ვაკეთოთ „ველოსიპედის ქანდაკებები და 60-მილიონიანი „ფალოსური ხიდები“ მტკვარზე სიონის ტაძრის გასწვრივ! და დავით აღმაშენებლის ძეგლი გავიტანოთ ქალაქიდან და უკუღმა დავდგათ (?!) და ვერაფერი ვაკეთოთ წაღმა, ვერ შემოვაბრუნოთ ქვეყნის ბედისწერა, და ვერც დავითის ძეგლი დავუბრუნოთ თავის ადგილს! და ვერც ფხოველი სარანგი – საკუთარ საზღვარს, რომელიც წარსულში სისხლით და მახვილით მოიმკვიდრა!

ჩვენ შეგვიძლია „ინდოელს და არაბს მივყიდოთ მიწა-წყლის ნახევარი. რუსებს ჩავაბაროთ „140 სოფლის ნანგრევი-ლორლი“, მაგრამ არ შეგვიძლია ამ ქვეყანაში შობილ მამულიშვილს უსაყვედუროდ მივცეთ თუნდაც 3 ძირი ხე და 4 ჰა მიწა! ჩვენ არ შეგვიძლია პატივი მივაგოთ ღირსებისთვის და ქველობისთვის, ამპარტავნებით დავაქციეთ ქვეყანა, რამდენი მამულიშვილი გავდევნეთ და მოვკალით!

* * *

მოდი ვიკითხოთ: რა ბედისწერაა ეს? რამ შეგვაბრუნა ჩვენ ჩვენივე ქვეყნის წინააღმდეგ, ჩვენ ჩვენივე სულის და ხორცის საზიანოდ, ჩვენივე ხალხის სამტროდ? ვინ ჩაგვინერგა შავის და თეთრის განურჩევლობის, ბოროტის დაცვის ლტოლვა კეთილის დამცრობისთვის? და, ზოგადად, საკუთარი თავის და მისიის ვერშეცნობის სინდრომი.

* * *

ბატონო პრემიერო! ახლა თქვენი ჯერია, ჩვენ გთავაზობთ მოდელს: დავიწყოთ არაგვის ხეობის მთიანეთის აღორძინება, ახლავე, დღესვე, არჩევნებამდე!..

ჩვენ შევძლებთ დიდი ნახტომის მოსწრებას, ემოციისა და სიხარულის ჩადებას მთის თემთა „მეტაფორულ სივრცეში“ დაბრუნებულთ და იქ მყოფთა ახალი სინერგიით შევსებას. აგრეთვე, ისტორიულად ადაპტირებული, გამორჩეული პირუტყვის ჯიშების, მრავალფერი ხვასტაგის ჯოგების შეყვანას. სამონასტრო-საბერო, ტურისტული, სასტუმრო, ტრადიციული სახელოსნო სახლების შედგმას...

არავის ეგონოს (ჩვენც გვჯერა) ამას ახალი ინფრასტრუქტურა არ სჭირდებოდეს: ფერმებთან მოეწყობა ბიო-გაზის დანადგარი, მზის გამათბობელი, წყლის წისქვილები, რომლებიც ფერმერებს აუნთებენ რამდენიმე ნათურას მაინც...

თემს უნდა მოვცეთ „ჰიკაპის“ ტიპის მანქანები, ძლიერი მინი-ტრაქტორები, მინი-სახერხი, პროდუქტის გადამამუშავებელი დანადგარი, კერამიკული საამქრო ხევსურეთის უნიკალური ფერადი თიხების ბაზაზე...

თემი უნდა გაბრწყინდეს ერთგვარ „მეტაფიზიკურ“ სივრცეში სასტუმრო ჭერხო-სახლებით და ჭერხო-წისქვილებით, ღამის ტაბლებით! უნდა ჩამოვაყალიბოთ მოულოდნელი „მეტაფორული“ სამყარო მთების ოვალურ „ამფითეატრში“ მოულოდნელი ახალი და ძველი ნივთებით, კიდობნებით და მთიულური ტახტებით, „მულტიმოდური“ სიპის სახლებით როშკის პირამიდებზე! ტურისტები მოვლენ აქ და აღარ წავლენ... იცინებენ და, შესაძლოა, იტირონ კიდევაც... და, რაც მთავარია? აქ ფეხს მოიკიდებს ქართველო მკვიდრი საკუთარი მიწა-წყლით...

* * *

მოდი, ვთქვათ ასეთი რამ და ვაქციოთ საქმედ: ჰქონდეს საკუთარი მიწა ქართველს, ნუ იქნება იგი სტუმარი საკუთარ სამშობლოში! მოდი, მივცეთ „სტუმარს სტუმრისა“ და ნუ იქნება იგი მასპინძელი აქ, ჩვენს სამშობლოში!

ნუ ვიქცევით მონებად და თურქულ-არაბული კაზინოების როსკიპებად! მოვაწყოთ „მრისხანე შეთქმულებები“ ერში ჩაბუდებული დემონური ვნებების და მავნებლების დასაძლევად...

* * *

ვინ და რა გადაგვარჩენს ჩვენ, ბატონო პრემიერო?! ალბათ, საკუთარი თავი და უფალი! დაგვიცავს ამერიკა – ამერიკიდან და ნატო – ნატოდან ჩვენ აქ, კავკასიის „ოაზისში“? მოასწრებს რუსს ევროატლანტიკელი აქ ჩვენს დასაცავად? ჩვენ ეს არ ვიცით და არც ვცდილობთ, ვიცოდეთ! იქნება, არც არის საჭირო ამის ცოდნა, მაგრამ მაინც უნდა ვიცოდეთ: მსოფლიო რასათა ომების პოლიგონზე ხარი-ვით შეგდებული ერი, რომელსაც წითელ ალმებს უფრიალებენ და ყოველი კუთხიდან შავი ტორეადორების მახვილი უმიზნებს, დიდ ხიფათშია!

ყველა ვითარებაში ერს ხიფათი ელის – სად და როგორ გადავრჩებით ახალი აპოკალიფსის პირობებში, ეს უნდა ვიცოდეთ.

ამისთვის და ამიტომ ჩვენ უნდა შევიდეთ საკუთარი ისტორიის წიაღში, დავბრუნდეთ „ჩვენ სახლში“ და ძველ მამულებში! დავუბრუნდეთ „საკუთარ სხეულს“ – ბუნებას, წყალს, ჰაერს, რომელიც უფალმა გვიბოძა და დავრჩეთ იქ... მოვუხმოთ ყველას იქ შესასვლელად! სამწუხაროდ, ჩვენ (მთელი ერი) გასული ვართ ამ სივრციდან და შეკრებილი „რეზერვუარებში“, სადაც ერთ წამში შეიძლება ჩვენი განადგურება...

სწორედ ამიტომ, პირდაპირ უნდა ლობირებდეს მთავრობა (ხელისუფლება) ბიზნეს პროექტებს მთიანეთისთვის და „მთის ფონდი“ მთლიანად მოახმაროს თემთა ეთნო-კულტურული და სამეურნეო სივრცის აღდგენას. ვშიშობ, ეს ფონდიც ისეთივე არ აღმოჩნდეს მთისთვის, როგორიც სხვა ხელმიუწვდომელი ფონდები.

შეცდომაა „მთასთან გათანაბრებული ზონების“ მუხლი მთის კანონში. ეს მუხლი მთლიანად ანგრევს „ნამდვილი მთიანეთის“ ინტერესს, აჩენს „მთის ფონდის“ გაფანტვის და სხვაგან გადანაწილების ალბათობას. ეს არის მთის კანონში დამარხული „ძაღლის თავი“ ეშმაკის ხელით და ვინმეს ინტერესით...

თუ საქართველოს მთიანეთის აღდგინება გინდათ, „მიეცით კეისარსა კეისრისა“, მიეცით მთას ამის შანსი ახლა. იცოდეთ, რომ ეს არის „ბოლო დღე“ საამისოდ! მთის ფონდიდან „ლომის წილი“ უნდა მიეცეს მაღალ მთიანეთს და იმ თემებს, სადაც დემოგრაფიული კოლაფსი და დეპრესია მეკვინვარეებს. მერე ყველაფერი იქნება გვიან...

მივცეთ ფონდიდან უპირატესად მთის „სათემო კოოპერატივებს“, რომ დაშლილ თემში მათ შექმნან ახალ ვითარებას მორგებული „კიბუცის ტიპის“ სისტემები...

ყოველ თემს მივცეთ მათი ეთნო-კულტურული, ეთნო-გეოგრაფიული და ფსიქოლოგიური თავისებურებების მიხედვით მათი ტრადიციების და სამეურნეო ინტერესთა გათვალისწინებით!

მივცეთ იქ, სადაც ერის გენეტიკური ენერგია და საკრალური ცოდნაა დარჩენილი, რომელსაც ჯერ კიდევ გაცხადება და აღდგინება შეუძლია, სადაც თითოოროლა მაცნე კიდევ არის.

თემმა, რომელმაც უძველეს დროში გამოიყვანა ძროხის ჯიში, რომლის რძე უნიკალური, დღემდე ამოუცნობი ენერგიით (ფოტონებით) კვებავს მოზარდის გენურ კოდს და აყალიბებს მას (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ლ. თორთლაძე).

ხალხური გადმოცემა გვეუბნება, რომ ხევსურეთის მთებიდან თიხის მილებით მოედინებოდა ეს რძე, რომელსაც აქაურები „მზის ცვარს“ ეძახიან! აქ დოსტაქრები რძით ბანდნენ ჭრილობებს. ზოგაის მინდიას დედა რძით მკურნალობდა...

ახლა აქ, ამ თემში სულ 80 კომლია დარჩენილი – ერთ „ხრუშჩოვკაში“ რომ ჩაეტევა! ეს არის მართლაც ბედის ირონია...

* * *

დასასრულს ერთ ისტორიულ მოვლენასაც გავისხენებ.

ბატონო პრემიერო, თქვენ, ალბათ, გახსოვთ, თუ როგორ მოიქცა ალექსანდრე დიდი თემურ-ლენგის აოხრებულ ქვეყანაში – მოსახლეობისგან 20-20 თეთრს იღებდა სესხად დანგრეული სოფლებისა და ეკლესიების აღსადგენად, მერე ვალს დათქმულ დროზე ორმაგად უბრუნებდა და კვლავ სთხოვდა სესხად – მეფე ალექსანდრემ შეძლო ქვეყნის შემობრუნება...

არც სააკაშვილმა დატოვა ნაკლებად აყრილი და აოხრებული საქართველო... გაჩანაგებული მოსახლეობა...

მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა, ჩვენს დროში, სახელმწიფო და ბანკები იმიტომ აძლევენ სესხს მოსახლეობას, რომ შემდგომ

ოცმაგად ამოიღონ! აი, ჩვენი ტრაგედია! სახელმწიფო უშვებს და ითმენს ერზე ბანკების ძალადობას, ამ ფეოდალურ პროცესს...

ბატონო პრემიერო! ერთხელ მაინც ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში, ჩვენი თაობის აქ ყოფნის დროს, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი ლიდერი (რომელიც განგებამ მოგიყვანათ ხელისუფლებაში) მოიქეცით არაორდინარულად, გადადეთ თავი და დაუპირისპირდით ამ მოვლენებს:

დაუბრუნეთ ხალხს საკაშვილის და ნაცისტების მიერ წართმეული ქონება და ის სტრატეგიული სიმდიდრენი, რომელიც სახელმწიფოს და ერს ეკუთვნოდა – დაიბრუნეთ, გამოიხსენით ერი გაუგონარი ტირანიისგან – მატერიალური ძარცვისგან!

ერზე ძალადობა ეკონომიკური მონობისთვის ზნეობრივი ძალადობის ნაწილია, სულიერი და მატერიალური კატასტროფაა!..

ბატონო პრემიერო! თუ ქვეყანას გვინდა ვუშველოთ, რაღაც უნდა შევცვალოთ თქვენი მეოხებით და ხალხის მხარდაჭერით...

თუ არ გვინდა, იქნება ისე, როგორც არის და უფრო უარესად! ასეა, ნათელი იდეა იშვება და ბოლოს კვდება, თუ მას ვინმე არ უპატრონებს...

ასეა 9 აპრილიდან დღემდე... უეცრად გაღვიძებული მონების თუ რაღაც უცნაური ფსევდოლიბერალური „ჰიბრიდული“ ცნობიერების სინდრომი გაგვიჩნდა: ურწმუნოების სენი, შური და ეგოიზმი გვექცა სულის დამშლელ წესად...

როცა „მეტანიას ვაკეთებთ“, მაშინაც ქვებს ვიღებთYდა ერთმანეთს ვესვრით...

ვესვრით უფრო იმას, ვინც ჭაობიდან ამოგვიყვანა და ვკბენთ მორიელივით!

ბატონო პრემიერო, „ქვები“ თქვენც გესროლეს, თქვენს სალოცავში, უფლის წინაშე მუხლმოყრილს.

არა უშავს, გაუძელით, შეიძლება კიდევაც გესროლონ... თქვენ რადიკალურად უნდა შეცვალოთ ქვეყნის განვითარების გზა და თქვენი კარმული ენერგია მიმართოთ მხოლოდ ხალხის და ქვეყნის სასიკეთოდ, რა გინდ ძვირიც უნდა დაგიჯდეთ ეს.

პირველსავე სიტყვას მოვალ და რეზიუმესავით ვიტყვი: მოდი, ავუშენოთ სახლი და სოფელი კაცს აქაურს აქ, საკუთარ ნასახლარში და ნასოფლარში და მივცეთ სახსარი ამისთვის. ყოველი თეთრი, ყოველი ლარი გავიღოთ იმისთვის, რომ ქართველი საკუთარ სამკვიდროში მივიდეს და დამკვიდრდეს, რომ მიხედოს მამულს, სადაც გაზაფხული წელიწადში ორჯერ მოდის და მცენარენი მრავალჯერ გვაძლევენ მოსავალს...

დავხარჯოთ ყოველგვარი ენერგია და ნებელობა იმაზე, რომ ლტოლვილი ქართველი დაბრუნდეს საკუთარ სამშობლოში – უძველეს კოლხურ-იბერიულ მიწაზე, სადაც იგი კაცობრიულ ცივილიზაციას ქმნიდა დასაბამითგანვე.

კობა არაბული,
მწერალი

„ გახსოვდეთ, საქართველო არის ოჯახი და აღარასოდეს შეეხოთ მას არაფრით, გარდა პატივისცემისა!“

გასული საუკუნის დასაწყისში ქორწინება და ოჯახი დრომოჭმული პერიოდის გადმონაშთად ჩაითვალა.

მოხდა ქალთა ე. წ. ნაციონალიზაცია. ქალი ქმრის „კუთვნილებისგან“ გათავისუფლდა და საყოველთაო სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა.

ეს იყო სექსუალური რევოლუციის პირველი გრანდიოზული მონაპოვარი, რომელიც რუსეთში ტრიუმფალურად განხორციელდა ებრაელი მასონების მიერ დაფინანსებული და ორგანიზებული ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1917 წელს.

სპეციალური ბრძანებულება, რომელიც **ლევ ტროცკიმ** (ბრონშტეინმა) გამოსცა, ითვალისწინებდა: – ყველა ქალი, რომელიც სრულწლოვანებას მიაღწევს, რესპუბლიკის კუთვნილებაა. ის ვალდებულია დარეგისტრირდეს ე. წ. თავისუფალი სიყვარულის ბიუროში, რათა მიიღოს დროებითი მეგობარი, სამოქალაქო ქმარი, ანუ საყვარელი.

იმ პერიოდში მკვეთრად გამოიკვეთა სქესთა თანასწორობის საკითხიც. ბოლშევიკები აცხადებდნენ, რომ უნდა დასრულდეს ქალების სუსტი სქესის წარმომადგენლებად აღიარება.

ღუმელებთან უკვე ქალები ადნობდნენ ფოლადს, ქალები ისხდნენ ტრაქტორებზე, ბოლშევიკური პარტიის შტაბებში ნამდვილი ორგიები და ათენის ღამეები იმართებოდა.

ცნობილი პარტმუშაკი **ალექსანდრა კოლონტაი** ამბობდა: სექსი, ეს არის დალიო ჭიქა წყალი.

ალექსანდრა კოლონტაი გათხოვილი იყო, ჰყავდა ქმარი, ვაჟი, ჰქონდა ოჯახი, თუმცა სახლიდან გაიქცა და განაცხადა, რომ მას მოსწყინდა ასეთი ცხოვრება, ასევდიანებდა რუტინული ყოველდღიურობა. კოლონტაის აზრით, ჭეშმარიტ ბოლშევიკს არ უნდა ჰქონოდა ოჯახი!

ალექსანდრამ მალე იპოვა „ნამდვილი“ სიყვარული. **დიბენკო** ალექსანდრაზე 17 წლით პატარა იყო, ის „კრასავჩიკად“ ითვლებოდა. ალექსანდრა კოლონტაი და მისი საყვარელი ყველას თვალწინ ეფლობოდნენ ვნებების ზღვაში ისე, რომ ამ ამბავმა ლენინამდეც მიაღწია. **ლენინმა** განაცხადა, რომ მათი დასჯის ყველაზე სასტიკი ფორმა იქნებოდა, ერთი წლის განმავლობაში აკრძალვოდათ ერთმანეთის გარდა სხვასთან სექსუალური კონტაქტის დამყარება.

კოლონტაი ასეთ ცხოვრებას „სქესობრივ კომუნიზმს“ უწოდებდა. თვითონ და მისი მისი თანამოაზრეები ასე უარყოფდნენ დრომოჭმულ ტრადიციებს. ალექსანდრამ მალე ახალი უფლებამოსილება შეიძინა – მას მოზარდი თაობის აღზრდა დაევალა.

მისი მითითებით, მოზარდებს 12 წლიდან სექსუალური განათლების მიღება უნდა დაეწყოთ და რადგან რუსეთში სექსუალური ცხოვრების შემსწავლელი მასწავლებლები არ იყვნენ, სექსის პოპულარიზაციისთვის გერმანიიდან მოიწვიეს მასწავლებლები.

მალე ბოლშევიკებმა ქორწინების საყოველთაოდ გაუქმება გამოაცხადეს.

საქმე ისაა, რომ 1905 წელს სოციალ-დემოკრატ ლევ ტროცკის დასავლეთიდან დავალება მისცეს, **ზიგმუნდ ფროიდის** თეორიების გათვალისწინებით, სქესთა ურთიერთობის ახალი თეორია შეემუშავებინა.

შემონახულია ტროცკისა და ლენინის მიმოწერა, სადაც ბელადები აქტიურად მსჯელობენ იმაზე, როგორ გაავრცელონ სექსუალური ცხოვრების პრაქტიკა დღევანდელი თბილისელებისთვისაც არ ყოფილა უცხო...

* * *

ცხადია, სექსუალური რევოლუციის იდეა არ იყო ბოლშევიკების გამოგონილი.

უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთი მამამთავარი შარლ ფურიე სინამდვილეში, უწყინარი თეორეტიკოსი კი არ ყოფილა, არამედ ის ითვლება **საერთო-სახალხო ოჯახის** ერთ-ერთ ფუძემდებლად. 500 ადამიანისთვის შექმნილი ოჯახი, სადაც ყველა ერთობლივად მუშაობს, ერთი შემოსავალი აქვთ, ჰყავთ საერთო ცოლები და შვილები, რომლებიც ამ საერთო სახლის საერთო შვილებად ითვლებიან და მათზე ყველამ უნდა იზრუნოს. ამ საერთო სახლში აბსოლუტური თანასწორობა და თავისუფლება უნდა იყოსო, ამტკიცებდა ფრანგი უტოპისტი.

იმდროინდელი ლიტერატურა ამ ფაქტებთან დაკავშირებით ფართო ინფორმაციას იძლევა და ფოტოსურათებზე შიშველი ქალები და მამაკაცები სირცხვილის გრძნობის გარეშე ბავშვებთან ერთად შრომობენ და ისვენებენ.

თუმცა სირცხვილი რა მოსატანია, როცა ტროცკის მიერ შექმნილი ახალი საზოგადოების მთავარი ლოზუნგი ერთ ხანს – „ძირს სირცხვილი!“ ყოფილა.

ქუჩებში, ტრანსპორტში, სადღესასწაულო მსვლელობებისას მოქალაქეები, განსაკუთრებით კი კომკავშირელი ახალგაზრდები „ძირს სირცხვილის“ აქტივისტები სრულიად შიშველი გამოდიოდნენ. რაც, ცხადია, ადამიანის დაცემას და მორალურ განძარცვას ითვალისწინებდა.

მაშინდელ ამერიკაში აღფრთოვანებით შეხვედრიან მასობრივ საბჭოთა ნუდიზმს. რადგან ამერიკელმა ფემინისტებმა რუსეთში მოახერხეს ის, რაც იქამდე ამერიკაში არ გამოუვიდათ.

1929 წელს **იოსებ სტალინმა** სასტიკი წინააღმდეგობა გამოუცხადა ძველ ბოლშევიკურ გვარდიას.

ამით დამთავრდა გრძნობათა ჯანყი რუსეთში, ბუნტი, რომელსაც ფროიდის სულიერი მოწაფე ნეოლიბერალი **ლევ ტროცკი** ედგა სათავეში.

მთლად ასეთი მისტიკოსი არ ვარ, მაგრამ ნაციონალებს და მათ ბელადს – სააკაშვილს და იმ ძველ ბოლშევიკებს შორის დიდ მსგავსებებს ვამჩნევ, მათი სული გადმოსახლებულა ამათში.

ტროცკის, კოლონტაის, ცეტკინს და სხვებს ტრადიციებისგან და მორალისგან დაცლილი ახალი ადამიანის შექმნა უნდოდათ, როგორც სააკაშვილს, ჩერგოლეიშვილს, ბოკერიას, ორჯონიკიძეს და სხვებს.

დინოზავრები გაქრნენ და ბოლშევიკები როგორ ვერ გადაშენდნენ, გასაკვირი ამბავია.

გველეშაპის არ იყოს, ერთ თავს რომ მოჭრი და მის ადგილას სამი ამოდის...

ებრაელი მასონების მიერ დაფინანსებულმა ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის სათავეში ებრაელი მამათმავალი ლენინი მოიყვანა და **იოსებ ჯუღაშვილი** რომ არ გამოჩენილიყო მაშინ ისტორიის ავანსცენაზე, ვინ იცის, ახლა ჩვენ ტიტველები ვივლიდით ვენერიული დაავადებებით დამღიერებული...

იმიტომაცაა ლენინის და ტროცკის სულიერი შვილები, მისი მემკვიდრეები გამწარებული რომ ებრძვიან სტალინის ძეგლებსაც კი.

შესაბამისად, ებრძვიან ქართულ ისტორიას, კულტურას, წეს-წყობილებას, რომელიც ჩვენს წინაპრებს შეუქმნიათ, შეუნარჩუნებიათ და აქამდე მოუტანიათ...

* * *

16 მაისს „მსოფლიო საოჯახო კონგრესი“ გაიმართა, სადაც კონგრესის მასპინძელმა ლევან

ლენინი

ლევ ტროცკი

თამარ ჩერგოლეიშვილი

ალექსანდრა კოლონტაი

მაია ორჯონიკიძე

ვასაძემ მისასალმებელ სიტყვაში ფასეულობათა ბრძოლის, კულტურათა და ნაციათა მისწრაფებების პრიორიტეტებზე მოუყვა ქართველებსა და უცოხელ სტუმრებს.

ლევან ვასაძე: *„თქვენ გსურთ, რომ გესაუბროთ საქართველოში ოჯახურ მდგომარეობაზე? აკი, უკვე მოგახსენეთ, არ დარჩა საქართველოში არც ერთი ქრისტიანული ოჯახი შეურაცხყოფილი ამ სისტემით და სიტყვის თავისუფლების სანაცვლოდ მივიღეთ ლიბერალების ტოტალური დიქტატურა ჩვენს ტელევიზიასა და პრესაში. ასეთივე დიქტატურის მცდელობაა ჩვენს საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და ჩვენს საგანმანათლებლო ორგანოებში. ლიბერალებისა, რომელთა მთავარი მიზანი არის ერთმანეთის გამრავლება საკუთარ რიგებში და სხვათა კლანური პრინციპით დისკრიმინაცია. გამუდმებული უსირცხვილობისა და გარყვნილების ჩვენება და ტრადიციული ქართული საზოგადოების ხმის გამუდმებული სასტიკი იგნორირება, ჩაგვრა, დაცინვა და დემონიზირება.*

თქვენ გსურთ, გესაუბროთ საქართველოში ოჯახურ მდგომარეობაზე? აკი, უკვე მოგახსენეთ.

არც ერთი ოჯახი, არც ერთი მაყურებელი ან მკითხველი, ზრდასრული თუ ბავშვი არ დარჩენილა ამ სისტემასთან შეხების გარეშე.

„ვარდების რევოლუციისა“ და მისი დროული დასავლური მხარდაჭერის მიუხედავად, მშვიდობიანი, დემოკრატიული საშუალებებით...“

ჩვენ მოვისმინეთ ჯო ბაიდენის, ბარაკ ობამას და ჰილარი კლინტონის გამოსვლები იმის შესახებ, რომ, თურმე, ეროვნული ტრადიციები აღარაა მნიშვნელოვანი და თურმე შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი ყოფილა მამათმავლობის მხარდაჭერა მთელ მსოფლიოში.

ახლავე შეწყვიტეთ ეს კულტურული ომი მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ, თორემ თქვენ დაკარგავთ არა მხოლოდ საქართველოს და მთელ მსოფლიოს, არამედ თქვენს საკუთარ ქვეყნებსაც.

თქვენი პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი მმართველი იყო იმ დროს, როცა ჩვენი დიდი მეფე ერეკლე II. იმ დრომდე ათასობით წლით ადრე ევროპის მშობლები, ჩვენი ბერძენი ძმები, რომ საქართველოდან სიბრძნის მოტაცება უდიდესი გმირობა იყო. იასონი და არგონავტები საქართველოში ჩამოვიდნენ ოქროს ვერძისა და მედეას მედიცინის მოსატაცებლად... დიახ, ჩვენ აღტაცებით შევყურებთ თქვენს მოკლევადიან, 200-წლიან წარმატებას და როგორც მარადიულ ერს, გვსურს ვისწავლოთ, ამჯერად, თქვენგანაც თქვენი კულტურის ჯანსაღი მხარეები ისევე, როგორც ჩვენ გვისწავლია თქვენზე ბევრად დიდი კულტურებისგან, მაგრამ გვენდეთ, როდესაც გეუბნებით, რომ ჩვენ ვხედავთ გახრწნის ნათელ ნიშნებს სხეულზე, როგორც ეს გვინახავს ბევრ სხვაზე, ვინც აქ მოსულა და აქედან წასულა დაგვერწმუნეთ, თქვენ არადამაჯერებლად გამოიყურებით, როდესაც ფიქრობთ, რომ შეგიძლიათ გვასწავლოთ ზნეობა, რაღაც ახლადმოგონილი ფსევდოუნივერსალური ფასეულობებით და დაგვარიგოთ, როგორც მოვექცეთ ქალებსა და ბავშვებს და თუ მეგობრობა არ არის თქვენთვის უბრალოდ სიტყვა, ისწავლეთ ასეთი რაღაცები ჩვენგან...

გახსოვდეთ, საქართველო არის ოჯახი და აღარასოდეს შეეხოთ მას არაფრით, გარდა პატივისცემისა!“

ლევან ვასაძის გამოსვლა ზოგიერთმა სკეპტიკოსმა პოზიორობად და პოლულიზმად შეაფასა. არადა, ბატონ ვასაძეს არაფერი უთქვამს სიმართლის გარდა.

ქვეყანა და ხალხი, ვისაც გადარჩენა უნდა, საკუთარი ტრადიციებისა და ფასეულობების პატივისცემით უნდა ცხოვრობდეს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

დიახ, საქართველო უპირველეს ყოვლისა!

პირველი კითხვა, რომლის პასუხი ყველა ნორმალურ ადამიანს უნდა ჰქონდეს, ასეთია: ვინ არის იგი? აქ, უპირველეს ყოვლისა, მისი გვარ-სახელი იგულისხმება, შემდეგ მისი ეროვნება. ჩემთვის ამ კითხვის პასუხი ნათელია: ჩვენ ქართველები ვართ და შესაბამისად, ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელსაც „საქართველო“ ჰქვია! – ასეთია ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ეკონომისტის, ჟურნალისტის, გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორის ბატონ ანზორ ბაბუხადიას მოსაზრება და მას არ შეიძლება არ დაეთანხმო, მით უმეტეს, რომ მას თავისი თვალსაზრისის სასარგებლოდ მრავალი არგუმენტი გააჩნია.

ასეთი არგუმენტებია:

1. საქართველოს კონსტიტუციაში ჩვენი ქვეყანა იწოდება, როგორც „საქართველო“;

2. „საქართველო“ ქვეყნის საკუთარი სახელია და, როგორც წესი, საკუთარი სახელი არც ითარგმნება და არც იცვლება;

3. „საქართველო“ იყო მისი ერთადერთი სახელწოდება საუკუნეების განმავლობაში და მხოლოდ საკმარისად გვიან დაიწყეს მისი თარგმნა „გრუზიად“, „ჯორჯიად“, „გურჯისტანად“, „ვრასტანად“ და ა.შ.

4. დამატებით უხერხულობას ქმნის „საქართველოს“ მოხსენიება „ჯორჯიად“ იმდენად, რამდენადაც, ნებსით თუ უნებლიედ, ხდება მისი აღრევა აშშ-ს „ჯორჯიასთან“.

ბატონმა ანზორ ბაბუხადიამ ამ საკითხს მიუძღვნა მრავალი (ათეულობით) პუბლიკაცია, თავისი მოსაზრება გააცნო ქართული სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის უპირველეს წარმომადგენლებს და მოიპოვა უამრავი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, დარგობრივი აკადემიების, ერის ყველაზე მრავალრიცხოვანი

გვარების მხარდაჭრა. მან ასევე მოაგროვა საზოგადოებების – „თბილისელის“, „ქუთაისელის“, „ზუგდიდელის“ გამოხმაურებები და ოფიციალური დასკვნები და ყველაფერ ამას თავი მოუყარა წიგნში: „დიახ, საქართველო არის ესე“.

რაკი ამ დიდ მხარდაჭერას ხელისუფლების მხრიდან სათანადო გამოხმაურება არ მოჰყვა, ბატონმა ანზორმა თავად მიმართა ხელისუფლებას – პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ანუ ყველას, მათ, რომლებმაც პრაქტიკულად უნდა გადაწყვიტონ პრობლემა, მაგრამ მათგან კვლავაც „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. ხელისუფლების პასიურობა, რასაც ჩვენი ხალხი დიდი ხანია შეეჩვია, მართალია, დიდად არავის გაჰკვირვებია, მაგრამ კითხვა მაინც კითხვად რჩება: ნუთუ ასე ძნელია საკუთარი პოზიციის გამოხატვა და იმის თქმა: იზიარებს თუ არა ხელისუფლება ამ პოზიციას და შეძლებს თუ არა ამ მიმართულებით რეალური ნაბიჯის გადადგმას.

ერთადერთი, რასაც მიაღწია ბატონმა ანზორმა, ის არის, რომ აღნიშნული საკითხი მხოლოდ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სხდომის საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა, რის შემდეგაც კომიტეტმა 2016 წლის 2 თებერვალს წერილობით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ მიხეილ ჯანელიძეს.

წერილში ნათქვამია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი რეკომენდაციას უწევს ბატონ ანზორ ბაბუხადიას მიერ დასმული საკითხის გადაწყვეტას საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ამ მიმართვის გაგზავნიდან უკვე სამ თვეზე მეტი გავიდა. სამწუხაროდ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ არც პარლამენტს და არც ამ იდეის ავტორს, ბატონ ანზორ ბაბუხადიას, თავისი პოზიცია არ აცნობა.

უცნაური და საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ვიდრე სამინისტრო ასეთი „დუმილის რეჟიმში“ აგრძელებს არსებობას, ბატონ ანზორს მხარდაჭერა გამოუხატა აშშ-ში გამომავალმა „Bloomberg View“-მა მის ფურცლებზე გამოქვეყნებული ინფორმაციით. ინფორმაციის ავტორი ლეონიდ ბერშიდსკი მიიჩნევს, რომ ერთგვარ უხერხულობას ქმნის „საქართველო“-ს ინგლისურენოვანი დასახელება „ჯორჯია“ იმდენად, რამდენადაც მსგავსი შტატი არსებობს აშშ-ში. არადა, ამერიკის ერთ-ერთ შტატ „ჯორჯიასთან“ ამ კავკასიურ ქვეყანას არავითარი კავშირი არ გააჩნია“, – აგრძელებს სტატიის ავტორი. აქვე ინფორმაციის ავტორი განმარტავს, რომ საქართველოს „ჯორჯიად“ დასახელება მხოლოდ რუსული „გრუზიას“ დამახინჯებულმა წაკითხვამ გამოიწვია. აქვე იგი იმასაც ამბობს, რომ საქართველო უკვე რამდენჯერმე შეეცადა საერთაშორისო არენაზე ხმარებიდან რუსულენოვანი „გრუზია“ ამოღებულიყო. შედეგად კი იმას მიაღწია, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ რუსულენოვან „გრუზია“-ს ინგლისურენოვანი „ჯორჯია“ ამჯობინა (მაგალითად, იაპონიამ). თავად ქართველები თავიანთ ქვეყანას „საქართველოს“ უწოდებენ. „საქართველო“ მშვენიერი სახელწოდებაა, რომელსაც ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანებიც ადვილად (იოლად) აითვისებენ, თუმცა, ალბათ, მაინც სჯობს, რომ ქართველებმა ეროვნულ ისტორიული იდენტიფიცირება მოახდინონ და „ჯორჯია“ საქართველოთი შეცვალონ, – განაგრძობს სტატიის ავტორი.

რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას აღნიშნული პრობლემისადმი, იგი გამოვხატე ორ ტელეგამოსვლაში და ასევე ორ საგაზეთო პუბლიკაციაში: „ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო დონეზე „საქართველო“ უნდა ერქვას („ასავალ-დასავალი“; 20.07.2015) და „ვიყოთ ერთგული იმ სამებისა, რომელსაც საქართველო, ქართული და ქართველი ჰქვია“ („მწერლის გაზეთი“; 01.07.2015). თავისთავად ცხადია, წინამდებარე წერილიც პრობლემისადმი ჩემი დადებითი დამოკიდებულების დასტურია!

რევაზი ბალანჩივაძე
პროფესორი, ფილოსოფიის
მეცნიერებათა დოქტორი

ძლიერი რეგიონები

ჩოხატაური

ჩოხატაურის ხიდს აგვისტოს ომის გმირის სახელი მიენიჭა

ჩოხატაურში, სოფელ ზემო ფარცხმაში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპული ოფიცრის, კაპიტან მერაბ ახობაძის ოჯახს ესტუმრნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი, გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ მამალაძე. დაღუპული გმირის ოჯახში იმყოფებოდნენ აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ნიკოლოზ აგლაძე და სახმელეთო ჯარების დასავლეთის სარდალი პოლკოვნიკი შალვა ჯაბახიძე. გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრებს საქართველოს სახელმწიფო დროშა გადასცეს.

იმავე დღეს დაბა ჩოხატაურის ხიდს აგვისტოს ომში დაღუპული გმირის, მერაბ ახობაძის სახელი მიენიჭა და მემორიალური დაფა გაიხსნა.

ვანის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები „საქართველოს ფოლკლორის ფესტივალზე“

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა „საქართველოს ფოლკლორის ფესტივალი 2015-2016“-ის იმერეთის რეგიონული II ტური, რომელშიც დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რეგიონების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მათ შორის იყო ვანის მუნიციპალიტეტი, რომელიც წარმოადგინეს: ანსამბლმა „შუამთამ“, ტრიო „იმერეთმა“, პოეტმა აკაკი თევზაძემ და ასევე, ბატონმა მურთაზ ხუციშვილმა.

შემდეგ ტურში გადასულებს გადაეცემათ დიპლომები, პრიზები და ფულადი ჯილდო.

რეგიონული განვითარების ფონდმა 2016 წელს საჩხერეში 9 პროექტი დააფინანსა

2016 წელს საჩხერის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდიდან 9 პროექტი დაფინანსდა. სოფელ ბაჯითის საავტომობილო გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, რომელიც გარდამავალი იყო 2015 წლიდან, უკვე დასრულებულია. 2016 წლით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი დასრულებულია აგრეთვე მოძვი-ჯალაურთის საავტომობილო გზისა და სავანის მეფრინველეობის ფაბრიკისა და იტავაზის კვარცის ქვიშების კარიერისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მონაკვეთზე.

მუშაობა მიმდინარეობს დანარჩენი 6 პროექტის განსახორციელებლად. ესენია: ქალაქ საჩხერეში სამუსიკო სამხატვრო სკოლის მშენებლობის მეორე ეტაპი, ჭალა-პერევის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ ცხამის საბავშვო ბაღის მშენებლობა, სოფლების - სარეკისა და ბაჯითის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა, სოფელ სავანეში სოფელ შალაურისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია, საჩხერეში მაჭავარიანის ქუჩაზე ძალოსნობის დარბაზის მშენებლობა.

2016 წელს რეგიონული განვითარების ფონდმა საჩხერის მუნიციპალიტეტისთვის 3. 020.000 ლარი გამოყო.

თელავი: ფშაველში შენდება ბაგა-ბაღი, ეწყობა სასმელი წყლის სისტემა

თვითმმართველი თემის ფშავლის ადმინისტრაციულ ერთეულში ბაგა-ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. სამუშაოებისთვის, რომელსაც შპს „სალვუს დეველოპმენტი“ ახორციელებს, გამოყოფილია 95 000 ლარი. ინფრასტრუქტურული სამუშაოები თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ დავით ნაპირელმა დაათვალიერა. მისი თქმით, „ფშავლის ბაგა-ბაღის მშენებლობა ოქტომბრის დასაწყისში დასრულდება. სოფლამდელი აღზრდის ახალ დაწესებულებაში 3 ჯგუფი გაიხსნება, რომლებშიც 100-მდე ბავშვი შეძლებს განათლების მიღებას“.

გურჯაანში საჭადრაკო კლუბი გაიხსნა

გურჯაანში გიორგი გიორგაძისა და ნანა იოსელიანის სახელობის საჭადრაკო კლუბი გაიხსნა. ახალი კლუბი კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ირაკლი შიოლაშვილმა, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ და ჭადრაკში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნანა იოსელიანმა გახსნეს.

საჭადრაკო კლუბში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი იფუნქციონირებს და სწავლა უფასო იქნება. საჭადრაკო კლუბი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

კლუბის გახსნას გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელი გია გერგიძე და საკრებულოს თავმჯდომარე ვანო ბერიძიშვილი ესწრებოდნენ.

ნანა იოსელიანმა ერთობლივი საჭადრაკო სეანსი მოაწყო გურჯაანელებთან, ერთი პარტია კი გუბერნატორთან, ირაკლი შიოლაშვილთან ითამაშა.

გურჯაანი

მუზეუმების საერთაშორისო დღე დედოფლისწყაროში

მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ყოველ წელს განსაკუთრებულად ემზადება. გამონაკლისი არც წლევანდელი წელი ყოფილა - მუზეუმში გამართული ღონისძიება სახალხო მთქმელს, მოსე ქურხულიშვილს მიუძღვნეს.

ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გამგებელმა მუზეუმის თანამშრომლებს მიულოცა პროფესიული დღე და მუზეუმს საჩუქრად კომპიუტერი და ფოტოაპარატი გადასცა.

ლაგოდეხი: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მხარდასაჭერად

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარში მცხოვრები მაყვალა სიფრაშვილის მრავალშვილიან ოჯახს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, პირადად მუნიციპალიტეტის გამგებელი და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების თანამშრომლები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, არაერთხელ დახმარებიან.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს მაყვალა სიფრაშვილს ფულადი დახმარების სახით ჩაერიცხა 850 ლარი, 2015 წელს - 750 ლარი, 2016 წელს დღეის მდგომარეობით - 300 ლარი. მუნიციპალიტეტის გამგებლის ინიციატივით გაიხსნა ანგარიში, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია გადარიცხოს თანხა. შემოსული თანხით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა სიფრაშვილების ოჯახისთვის საცხოვრებელი სახლის შეძენას გეგმავს.

საგარეჯოელები ირიგაციის თანამედროვე მეთოდებს ეცნობიან

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“, ირიგაციის თანამედროვე მეთოდების გავრცელების ხელშეწყობის მიზნით, საინფორმაციო კამპანიას ატარებს. მორიგი შეხვედრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში გაიმართა. კომპანიის წარმომადგენლებმა ადგილობრივ ფერმერებს წვეთური და დაწვიმებითი ირიგაციის მეთოდების შესახებ დეტალური პრეზენტაცია წარუდგინეს და მის უპირატესობაზე ინფორმაცია მიაწოდეს.

შეხვედრას შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ლევან დვალი, შპს „საქართველოს მელიორაციის“ კახეთის რეგიონის დირექტორი ნიკოლოზ ქურთიშვილი და ადგილობრივი მოსახლეობა დაესწრნენ.

დუშეთი: ჟინვალის სკოლის მოსწავლეთა შეხვედრა გამგებელთან

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი შეხვდა დაბა ჟინვალის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც გაერთიანებული არიან სამოქალაქო განათლების პროგრამაში „მომავლის თაობა“. პროგრამის ფარგლებში სკოლაში ჩამოყალიბებულია თვითმმართველობასთან არსებული კლუბი „არაგველები“, რომლის წევრებიც ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას. ამჟამად მუშაობენ თემაზე: „ჟინვალი წყალსაცავამდე“.

გამგებელთან შეხვედრისას ისაუბრეს სასწავლო გეგმებსა და პრობლემებზე. სურვილი გამოთქვეს აღადგინონ ჟინვალის ახალგაზრდული სკვერი. შეხვედრის შემდეგ მოსწავლეები გაეცნენ გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებს და მათი მუშაობის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა ყურადღებით მოუსმინა მოსწავლეებს და დახმარება აღუთქვა.

სკოლის მოსწავლეები, მუზეუმის დღესთან დაკავშირებით, დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსაც ესტუმრნენ.

მარინისტული პეიზაჟები სიღნაღის მუზეუმში

მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კვირეულის ფარგლებში, სიღნაღის მუზეუმმა უმასპინძლა გამოფენას „მარინისტული პეიზაჟი XVI-XX საუკუნეები“.

საღამო ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ გახსნა.

გამოფენა მუზეუმში 30 ივნისამდე დარჩება.

ფოთის მოსახლეობას 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება

ფოთში დასრულდა წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა. პროექტის გახსნას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ ხუციშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

მინისტრმა და გუბერნატორმა, დონორი ორგანიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, ნაბადას ტერიტორიაზე ახლად აშენებული ობიექტი დათვალიერა.

დასრულებული სამუშაოების შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობა 20-24-საათიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

აბაშა: სოფელ ქოლობნის გზის რეაბილიტაცია

აბაშის მუნიციპალიტეტში საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრალიდან (თბილისი-სენაკი-ლესელიძე) სოფელ ქოლობნის მიმართულებით გზის რეაბილიტაციის დაიწყო.

გზის სამშენებლო სამუშაოებისა-

ვანი

დუშეთი

ძლიერი საქართველოსთვის

აბაშა

თვის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 850 000 ლარია გამოყოფილი. საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს სს „არქეოპოლისი“ ახორციელებს.

ქოლობნის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის მონაკვეთის (სიგრძით 4635 მ. სიგანით 6 მ.) ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მამუკა კვიტაშვილმა, გამგებლის მოადგილემ გია კუციამ და ქოლობნის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელმა ტარიელ მიქაძემ დაათვალიერეს.

მარტვილში ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

ამ ეტაპზე დასრულებულია საამუშაოები შემდეგ მისამართებზე:

• ქ. მარტვილი, დადიანის ქუჩაზე - სამუშაო შესრულებულია 100%-ით; დასაქმებული იყო 6 ადამიანი;

• ნახარებაოს უბანში, მდ. ნოღელაზე - სამუშაო შესრულებულია 100%-ით; დასაქმებული იყო 9 ადამიანი და ერთი ერთეული ტექნიკა;

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაო:

მარტვილი

• კახა ბართიას ქუჩა #8-ში, მდ. ინჩხიაზე - სამუშაო შესრულებულია 60 %-ით,

დასაქმებულია 6 ადამიანი;

სამუშაოებს ასრულებს ი/მ „დავით დანელია“; პროექტის ღირებულებაა 21830 ლარი;

პროექტის დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი (100%).

ნოქალაქევი რეიტინგული ძეგლების ხუთეულშია

ნოქალაქევი, გეგუთთან და უჯარმასთან ერთად, ყველაზე რეიტინგული ძეგლების ხუთეულს შეემატა. ბოლო მონაცემებით, ვიზიტორთა სიმრავლით, ნოქალაქევი მცირედით ჩამორჩება ვარძიასა და უფლისციხეს. ამ უნიკალური კომპლექსის მიმართ ინტერესის ზრდა აქ ჩატარებულმა სამუშაოებმა და ნოქალაქევის სრული რეაბილიტაციის გრანდიოზულმა პროექტმაც განაპირობა. პროექტის პირველი ეტაპის ფარგლებში, უახლოეს პერიოდში იგეგმება ახალი სამუზეუმო სივრცის შექმნა და ისტორიული ციხე-ქალაქის რეაბილიტაციაზე სამუშაოების დაწყება.

პროექტი 2020 წელს დასრულდება და მისი სახით საქართველოს ტურიზმის რუკაზე მსოფლიო მნიშვნელობის რეაბილიტირებული ძეგლი გაჩნდება.

მუხურში ჰიდროელექტროსადგური „ხობი 2“ შენდება

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელმა დათო გოგუამ გამგებლის პირველ მოადგილე გოჩა ჩიქოვანთან ერთად სოფელ მუხურში, ლუგელას ხეობაში, „ხობი 2“-ის მშენებლობის სამუშაოები დაათვალიერა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს გზის რეაბილიტაცია, მდინარე გვალაშარაზე შენდება ახალი ხიდი.

„ხობი 2“-ის მშენებლობის ღირებულება ჯამში 74 000 000 დოლარს შეადგენს. სამუშაოებში ადგილობრივი მუშახელია დასაქმებული.

ადიგენი: უდეში სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდეში სარეკრეაციო სკვერის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. ამ ეტაპზე უკვე განხორციელებულია სკვერში არსებული ლითონის ღობის დემონტაჟი. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ქვის დეკორატიული კედელი, საფეხმავლო ბილიკები ყინვაგამძლე ბეტონის ფილებით, დაიდგმება სკამები, ნაგვის ურნები და დამონტაჟდება ლამპიონები. სამუშაოები ადიგენის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა დაათვალიერეს.

პროექტის შესასრულებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 113 910 ლარი გამოიყო.

ახალციხე: მუსხში ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია დასრულდა

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუსხში ბიბლიოთეკისა და ამბულატორიის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. პროექტის ფარგლებში მთლიანად შეიცვალა შენობის სახურავი, მოეწყო შიდა ინტერიერი და მიმდებარე ტერიტორია. ეზოში დაიდგა სკამები და დამონტაჟდა გარეგანათება.

ბიბლოთეკითა და ამბულატორიით სარგებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსაც შეეძლებათ. შენობაში დამონტაჟებულია პანდუსი, რაც მათ დამოუკიდებლად გადაადგილებაში დაეხმარება.

შენობა ოთხი ოთახისგან შედგება, რომელთაგან ერთი ამბულატორიას დაეთმობა, სამი კი ბიბლიოთეკას.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა.

ბორჯომში ტროტუარების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

ბორჯომში ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაციის სამუშაოებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელი დიმიტრი ყიფიანი ადგილზე გაეცნო. გამგებლის განმარტებით, ქალაქის მასშტაბით, ერთდროულად მიმდინარეობს ტროტუარების კეთილმოწყობა კოსტავას ქუჩაზე, რუსთაველის ქუჩაზე #117-147 საცხოვრებელი ბინების მიმდებარედ და ამავე ქუჩაზე, ბორჯომის ცენტრალური სტადიონიდან #6 საჯარო სკოლამდე.

ამ ეტაპზე სამუშაოების ნახევარი დასრულებულია. ობიექტებზე ძველი ბორდიურები სრულად შეიცვლება ახლით, ხოლო ტროტუარი გრანიტის ფილებით მოპირკეთდება.

პროექტებისთვის თანხა ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყო და მათი რეაბილიტაციისთვის ჯამში 626 641 ლარი დაიხარჯება.

როგორც დიმიტრი ყიფიანმა აღნიშნა, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მსგავსი სამუშაოები სხვა ობიექტებზეც ხორციელდება.

დმანისის მუნიციპალიტეტში „ეროვნული სამოსის დღე“ აღინიშნა

დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით, „ეროვნული სამოსის დღე“ აღინიშნა. ეს ღონისძიება გაიმართა პროექტის - „ნდობის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში“ - ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი“.

ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა ახალგაზრდებმა მოაწყეს „ფლეშმობი“, გამოიფინა ხელნაკეთი ნივთები, თიხის ჭურჭელი, თექის ნამუშევრები და ნაქსოვი აქსესუარები.

დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია ეროვნული სამოსის შესახებ.

ბოლნისის საკანალიზაციო სისტემის მოწყობა

ქალაქ ბოლნისის სამ ქუჩაზე მძიმე ტექნიკა მუშაობს. ლადო ასათიანის, შოთა რუსთაველისა და ფარნავაზ მეფის ქუჩებზე ტენდერში გამარჯვებული კომპანია საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოებს ასრულებს. აღნიშნულ ქუჩებზე საკანალიზაციო სისტემა არ არსებობდა, რაც საგზაო ინფრასტრუქტურის სრულყოფილ მოწესრიგებას აფერხებდა.

სამუშოები აქტიურ ფაზაშია. დასაქმებულია 60-მდე ადგილობრივი მოსახლე. საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა გიორგი საакაძის, ილია ჭავჭავაძის, წმინდა ნინოს, თამარ მეფის, იაკობ ცურტაველის, ათონისა და მერაბ კოსტავას ქუჩებზე გაგრძელდება.

ბოლნისი

„ევროპული კაფეების“ ტური მარნეულში

საქართველოში „ევროპული კაფეების“ ტური მარნეულის მუნიციპალიტეტიდან დაიწყო და 5 დღის განმავლობაში მთელს აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავს.

ღონისძიების ფარგლებში მარნეულის მუნიციპალიტეტს ეწვივნენ სლოვაკი ექსპერტები: მარია კადლეჩიკოვა (ეკონომიკის ექსპერტი სოფლის მეურნეობის სფეროში, გაეროს კვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ყოფილი წარმომადგენელი საქართველოში) და პროფესორი მიხალ ბიგანიჩი (ქალაქ სტარა ლუბოვნას ყოფილი მერი, ბიზნესმენი და დიპლომატი).

პირველსავე შეხვედრაზე მათ ისაუბრეს სლოვაკეთის ევროპული ინტეგრაციის პროცესზე და დამსწრეთა შეკითხვებს უპასუხეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილი, გამგეობის თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და თემით დაინტერესებული პირები.

გორი: – სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციაში გაიმართა. ტრადიციულად შეხვედრას შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი იოსებ ოქრომელიძე გაუძღვა, რომელმაც მუნიციპალიტეტების გამგებლებთან და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად რეგიონში განხორციელებული და მიმდინარე პროექტები განიხილა. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში არსებულ წყალმომარაგებისა და სამელიორაციო საკითხებს დაეთმო. საბჭოს ფორმატში ასევე იმსჯელეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტებზე, მუნიციპალიტეტებში არსებული გამოწვევების შესახებ.

ქედა: შეხვედრა ეკომიგრანტებთან

„ეკომიგრანტთა ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამაში“ ჩართვის ფარგლებში, ბენეფიციართა ინფორმირებისა და კონსულტაციის მიზნით, აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტიქიის შედეგად დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტის უფროსი დალი ქიქავა, ქედის გამგებლის მოადგილე მამუკა ფარტენაძესთან და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსთან დავით თედორაძესთან ერთად, გამგეობის სააქტო დარბაზში ეკომიგრანტ ოჯახებს შეხვდა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ხულო: ბეშუმის შიდა გზების რეაბილიტაცია

კურორტ ბეშუმში აქტიურ ფაზაშია შიდა გზების მოასფალტების სამუშაოები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გზის გაფართოება და მილების ჩაწყობა.

ხორციელდება სასმელი წყლის სარეაბილიტაციო პროექტი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ძირითადი მაგისტრალისთვის გრუნტის ამაღლების სამუშაოები.

კურორტ ბეშუმში ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა დაიწყო. უკვე დასრულებულია წერტილოვანი და ლენტური საძირკვლებისა და ზეძირკვლის მოწყობა. აღნიშნული სამუშაოსთვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტიდან 38 586 ლარი გამოიყო. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „როდა“ ახორციელებს.

ქობულეთის გამგებლისა და უკრაინის ქალაქ როვნოს მერის შეხვედრა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, სულხან ევგენიძე უკრაინის ქალაქ როვნოს მერს, ალექსეი მულიარენკოს შეხვდა. შეხვედრას ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარე სულხან ოქროპირიძე, გამგებლის მოადგილეები და უკრაინული დელეგაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე განიხილეს მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის დამყარების გზები და სამომავლო გეგმები.

მხარეებმა ქალაქების ტურისტულ და ეკონომიკურ პოტენციალზე ისაუბრეს. მათ მზადყოფნა გამოთქვეს ერთობლივი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაზე.

ქობულეთი და როვნო წელს დამეგობრდნენ. ქალაქებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს აპრილის თვეში ქალაქ როვნოში მოეწერა ხელი.

ეს დამოუკიდებელი საქართველოს ლეგიტიმური ისტორიაა

„ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს“.

ივ. ჯავახიშვილი

მეოთხედი საუკუნე მიილია მას შემდეგ, რაც XX საუკუნის ბოლო მეოთხედში ახლადაღორძინებული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ძალისხმევით დაძლეულ იქნა როგორც კომუნისტური იდეოლოგიისა და რუსული საბჭოური იმპერიალიზმის, ასევე შიდა წინააღმდეგობანი და ქვეყანა შეუდგა სამოცდაათწლიანი ტყვეობიდან თავდახსნისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღშენებლობის მძიმე, ეკლიან, მაგრამ შეუქცევად გზას.

1990 წლის 28 ოქტომბრის საყოველთაო – დემოკრატიულ (მრავალპარტიულ) არჩევნებში გამარჯვებით დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიულად განახლების ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში.

კანონიერად არჩეულმა ხელისუფლებამ ისტორიის მიერ მისთვის გამოყოფილ უმცირეს ვადაში ყველა საერთაშორისო ნორმის დაცვით შეძლო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დაფიქსირება და მისი ყველა ფორმალური ასპექტით ორგანიზება. კონკრეტულად: ქვეყნის უმაღლესი ორგანოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დანიშნული 1991 წლის 31 მარტის საერთო სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე (ხმათა 98%-ით) იმავე წლის 9 აპრილს (საბჭოთა იმპერიის მიერ 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის წლისთავზე) საქართველოს უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის“ აქტი. სულ რაღაც თვენახევრის შემდეგ, ასევე სახალხო-დემოკრატიული არჩევნების გზით, არჩეულ იქნა საქართველოს პირველი პრეზიდენტი – ზვიად გამსახურდია. იმავე პერიოდში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ჩატარდა სასამართლო ორგანოების რეფორმა და ა. შ. ეს იყო **ტრიუმფალური სვლა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ფორმირების გზაზე.** ამ პროცესებში სრულად წარმოჩინდა ქართველი ხალხის ეროვნული ენერგია, მისი მარადიული სწრაფვა თავისუფლებისა და თვითიდენტობისკენ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობისკენ. ქართველმა ხალხმა, საქართველოს საზოგადოებამ დაამტკიცა, რომ მზადაა დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად.

საბჭოთა იმპერიისთვის ქართული საზოგადოების ეს ურყევი ნება აღმოჩნდა ის წითელი ხაზი, რომლის გადალახვისთვის იგი მზად იყო აემოძრავებინა თავის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი, აემოქმედებინა თავისი მოკავშირე ყველა შავბნელი ძალა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, თვით შეიარაღებული ძალების ჩათვლით. ამ მიზეზებით **1991 წლის აგვისტოდან შენელდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღშენებლობის ტემპი.**

1991-92 წლების მიჯნაზე საქართველოს წინააღმდეგ მოეწყო **შეთქმულება,** მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შეფასებით, **ეს იყო „პუტჩი და სამხედრო გადატრიალება“,** მოწყობილი კომუნისტური „პარტოკრატიისა და მაფიოზური სტრუქტურების მიერ, რევანში მოსკოვის იმპერიალისტური ძალებისა საქართველოს კვლავ ხელში ჩასაგდებად“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 13 მარტის დადგენილებაში ის კვალიფიცირებულია სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებად.

კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის ათწლიანი ბრძოლის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 აპრილის დადგენილებით ის შეფასებულ იქნა, როგორც **კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფრონტაცია.** შესაბამისად,აღიარეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასეული შეფასება, რომ ეს იყო მოსკოვის იმპერიალისტური ძალების მიერ მართული კომუნისტურ-ნომენკლატურული რევანში. ასე დაიწყო უდიდესი ტრაგიკული პერიოდი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომლის შედეგებსაც დღემდე იმკის ქართველი ერი, საქართველოს საზოგადოება და ალბათ კიდევ დიდი ხნით შეგვახსენებს თავს მისი ავბედითი გამოძახილი.

ნეოკომუნისტური რევანშის განხორციელებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ დასავლეთი თვითონაც არ იყო გარკვეული, თუ რა გზით განვითარდებოდა სსრკ-ში დაწყებული პოლიტიკური პროცესები, განსაკუთრებით ეროვნული თვითგამორკვევის საკითხში,ამიტომ 1992 წლის 6 იანვრიდან დაწყებული სისხლიანმა რეპრესიებმა და კანონიერი ხელისუფლების მომხრე უმრავლესობის დაუნდობელმა დევნამ მასობრივი ხასიათი მიიღო. იხვრიტებოდა მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლები თბილისში და მთელი ქვეყნის მასშტაბით, ეწყობოდა სამხედრო ხუნტის სადამსჯელო ეგზეკუციები, განსაკუთრებით სამეგრელოში, რომელიც დიდი ენთუზიაზმით გააგრძელა ედ. შევარდნაძის სახელმწიფო საბჭომ. საბოლოო ჯამში, ექვსჯერ იქნა დარბეული სამეგრელო.

ამ მძიმე ჟამს, როცა აგონიაში მყოფი საბჭოთა იმპერია აშკარად და დაუფარავად ჩაერთო დამოუკიდებელი საქართველოს შიდა საქმეებში, ხოლო შემდეგ მისმა მემკვიდრე კრემლის რეჟიმმა შეიარაღებული გზით დამხობილი ხელისუფლების სრულ განადგურებასა და მის უკან, იმპერიაში შებრუნებას მიჰყო ხელი, რუსეთის მოთვინიერებითა და მისი „გადემოკრატების“ ილუზიით შეპყრობილი დასავლეთი დანაშაულებრივად გაჩუმდა. ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა ისევ თავის თავზე აიღო ქართველმა ხალხმა, საქართველოს კანონიერმა ხელისუფლებამ, მისმა უზენაესმა საბჭომ და პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ.

ამ სამართლიან ბრძოლაში კანონიერი ხელისუფლება და ქართველი ხალხის უმრავლესობა პირისპირ შერჩა გავეშებულ იმპერიას და ძალადობრივად დამკვიდრებულ იმპერიის მორჩილ პროკომუნისტურ-კრიმინალურ ხელისუფლებასა და მაფიოზ რევანშისტებს. **ეს არ იყო რიგითი მოვლენა, როცა დამხობილი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის დასაცავად იწყება მოძრაობა საერთაშორისო არენაზე, რომლის მსგავსი მრავლად იცის ისტორიამ. ჩვენს შემთხვევაში დამხობილ ხელისუფლებას და პრეზიდენტს უყოყმანოდ გვერდში დაუდგა საკანონმდებლო ორგანო – უზენაესი საბჭო, მისი უმრავლესობა, გარდა ცალკეული უღირსებო ელემენტებისა, და არ მისცა საშუალება ნეოკომუნისტ რევანშისტებს ე. წ. არჩევნების „კანონიერად“ ჩატარების გზით ლეგიტიმაციის მოპოვებისა,** რაც საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გარდაუვლად ჩამოშლას გამოიწვევდა. ამდენად, დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერად არჩეულმა ხელისუფლებამ თავისი ოთხივე შტოთი საბოლოოდ ჩაფუშა საბჭოთა იმპერიის განზრახვა საქართველოს უკან, სსრკ-ში შებრუნებისა. ეს იყო სამართლიანი და უკომპრომისო ბრძოლა რუსული იმპერიალიზმის გავლენისგან თავდასაღწევად, „ჩვენი დამოუკიდებლობისა და ღირსების“ (ზვიად გამსახურდია) დასაცავად.

ამდენად, კანონიერების აღდგენისთვის მიმდინარე ეს მრავალწლიანი მოძრაობა იყო ლეგიტიმური ბრძოლა ნეოიმპერიული რევანშიზმის წინააღმდეგ საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული პრინციპების გასამყარებლად.

ეს დიდი სახალხო მოძრაობა, ქართველი ხალხისადმი პრეზიდენტის **1992 წლის თებერვლის მიმართვის შესაბამისად,** მიმდინარეობდა ნახევრად ლეგიტიმურად. „ნაწილი უნდა გადავიდეს იატაკქვეშეთში, ხოლო ნაწილმა უნდა იმოქმედოს ღია, ლეგალური მეთოდებით“ – ეს თავისებურება ამ მოძრაობას ბოლომდე თან დაჰყვა, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ამ ბრძოლაში, თავისი სტატუსის შესაბამისად, აქტიურად ჩაერთნენ პრეზიდენტის ერთგული გვარდიული ჯგუფები. ამდენად, ის **მრავალსახოვან, რთულ მოძრაობად იქცა.**

ხუნტისა და მისი მემკვიდრე სახელმწიფო საბჭოს მიერ გაჩაღებული არნახული ტერორისა და დაუნდობელი, აღვირახსნილი რეპრესიების პროცესში მხოლოდ პრეზიდენტის უდიდესმა ჰუმანურ-

ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ ᲘᲑᲔ᭠ᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

მა ალღომ და შესაბამისმა სტრატეგიამ -„ჩვენ ყვავილები ვესროლოთ“ - იხსნა ქვეყანა ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომისგან. მაშინ იმპერიამ ტაქტიკა შეცვალა, წინასწარდაგეგმილი სცენარით იქნა პროვოცირებული ომები აფხაზეთსა და შიდა ქართლში, რომელთა თავიდან აცილებისთვის მთელი თავისი შესაძლებლობებით იბრძოდა კანონიერი ხელისუფლება და მისი მომხრე ძალები. **ამაზე მეტყველებენ პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს მიმართვები, პერმანენტული მიტინგები სოხუმში, აფხაზეთის ინტელიგენციის დიდი ნაწილის მოწოდებები თუ ცალკეული საგაზეთო სტატიები და ა. შ., რომელთა შინაარსი ასე შეიძლება იქნეს ფორმულირებული: „თუკი სამეგრელოში მიმდინარე სისხლიანი პროცესები (რეპრესიები) გადმოინაცვლებს აფხაზეთში და აქ თუნდაც ერთი ტყვია გავარდება, მაშინ ფართომასშტაბიანი ომი გარდაუვალი იქნება და აფხაზეთს სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც დავკარგავთ“.**

სამწუხაროდ, ფაქტობრივმა ხელისუფლებამ ყურად არ იღო ხალხიდან წამოსული ეს გაფრთხილებანი და არაფერი იღონა ომის პრევენციისთვის. პირიქით, არჩევნების ჩატარების ინსცენირების გზით ლეგიტიმაციის მოპოვების იდეით შეპყრობილი ედ. შევარდნაძის მარიონეტული მთავრობა წამოეგო რუსული პროვოკაციის ანკესს და თვითონ მისცა საბაბი ომის გაჩაღებისთვის, რითაც არა მარტო პოსტსაბჭოურ სივრცეში, არამედ, საერთოდაც, ჯერაც წელმოუმაგრებელი დამოუკიდებელი ქვეყანა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო და პირისპირ შეატოვა რუსულ იმპერიას, ამიტომ ამ „ომის“ საბოლოო შედეგი წინასწარ იყო ცნობილი, რომ ის დასრულდებოდა საქართველოს სამხედრო კრახით და რუსეთის მიერ ამ ე. წ. ავტონომიების დაუფლებით.მიუხედავად ამისა, კანონიერი ხელისუფლების მომხრე ძალების მოქმედების ეპიცენტრში – აფხაზეთში, ფაქტობრივად, რუსული იმპერიული ძალების მიერ ომის გაჩაღებამ ხალხი, რომელიც ინტუიციურად გრძნობდა კარსმომდგარ ამ დიდ უბედურებას, იძულებული გახადა ამა თუ იმ ფორმით ჩართულიყო ამ ბინძურ ომში. ასე გადაენასკვა ერთმანეთს ეს ორი ურთიერთგანპირობებული პროცესი.**დღეს უკვე არავისში იწვევს ეჭვს: სახელმწიფო გადატრიალება რომ არ მომხდარიყო, ახლად დაშლილი სსრკ-ს მემკვიდრე რუსული იმპერია, თვითონაც ძალზე დასუსტებული, ასე მოკლე ვადაში მაინც ვერ გაბედავდა ყოფილ ავტონომიებში აშკარა ომის გაჩაღებას, რადგან მაშინ ის დაიპირისპირებდა მთელ საერთაშორისო საზოგადოებას. მეორე მხრივ, სახელმწიფო გადატრიალებამ და შიდა კონფრონტაციამ, ფაქტობრივი ხელისუფლების სურვილმა, მოეპოვებინა ლეგიტიმაცია, როგორც ზემოთ ითქვა, რუსეთს მისცა საშუალება ისინი ჩაეთრია ძმათამკვლელი ომის გაჩაღებაში.**

ამ ე. წ. ომის შედეგად მივიღეთ ეთნოგენოციდი და ნახევარ მილიონამდე დევნილ-ლტოლვილი; დაკარგული ტერიტორიები; ძირფესვიანად გაპარტახებული ქვეყანა, სრულიად მოქცეული კრიმინალ-მაფიოზების ხელში; დსთ-ს სახით ნეოიმპერიაში შებრუნებული და დაშლილი საქართველო.

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ის თორმეტწლიანი ისტორია, როცა ახალფეხადგმული დამოუკიდებელი ქვეყნის განვითარების მდინარება ჩაიხერგა და გადაულახავი წინააღმდეგობა შეექმნა ქართულ სახელმწიფოებრიობას, როცა, ერთი მხრივ, ხალხისთვის ძალადობრივად, შეიარაღებული პუტჩის გზით თავსმოხვეული რეჟიმი ქმნიდა თავის შავბნელ ისტორიას დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელით. ეს იყო არალეგიტიმური ხელისუფლების ფაქტობრივი ისტორია, რომლის ამსახველი მასალებიც, წესისამებრ, ალბათ შემოინახა სახელმწიფო საარქივო თუ სხვა უწყებებმა; მეორე მხრივ, ამ თორმეტი წლის განმავლობაში, ამ ფაქტობრივი ხელისუფლების პარალელურად არსებობდა კანონიერი ხელისუფლება და ნახევრად ლეგალურ პირობებში აწარმოებდა თავის ლეგიტიმურ საქმიანობას. ეს იყო ნამდვილი სახალხო მოძრაობა, იქ იქმნებოდა დამოუკიდებლობისა და კანონიერების აღდგენისთვის მებრძოლი ქართველი ხალხის რეალური ისტორია.

ამდენად, თუკი ფაქტობრივი, მაგრამ არალეგიტიმური ხელისუფლების საქმიანობის მომცველი მასალების (თუნდაც გამოხშირული და შელამაზებულის) დამცველად გამოდის სახელმწიფო, სულ სხვა, სავალალო ვითარებაა კანონიერი ხელისუფლების ლეგიტიმური საქმიანობის (ნამდვილად სახალხო ისტორიის) მომცველი მასალების მოძიებისა და მათი სათანადოდ დამუშავების თვალსაზრისით. ასეთ პირობებში დამოუკიდებელი საქართველოს ამ ურთულესი პერიოდის ტრაგიკული ისტორიის „გაგება და სისწორით წარმოდგენა ადვილი საქმე არ არის“ (ივანე ჯავახიშვილი), მით უმეტეს, როცა დღესაც მრავლად არიან ფაქტობრივი ხელისუფლების ანტიხალხური საქმიანობის შელამაზების, „ნამდვილი ისტორიის“ გაყალბების მოსურნე ძალები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. ასეთ შემთხვევაში, ივ. ჯავახიშვილის თქმისა არ იყოს, ხშირად მიმდინარეობს, ერთი მხრივ, უგეგმოდ წარმოებული კვლევა-ძიება, მეორე მხრივ, მიმბაძველობა და სუბიექტურ რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი. პირველი თავისი უსისტემობისა და ცალმხრივობის გამო „არც გულსა და არც გონებას არას ეუბნება“, მეორე კი, თუმც შესაძლოა „თავისი აღნაგობით და გარკვეულობით“ გამოუცდელი მკითხველი მოხიბლოს, მაგრამ მავნებელია, რამდენადაც წარსულის ხორცშესხმული სურათის ნაცვლად რეალურ შინაარსს მოკლებული სქემაა წარმოდგენილი.

ამდენად, არის საშიშროება სწორედ ასეთი „არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის ისტორია“ შეგვრჩეს ხელში, თუ დროულად არ მივიღეთ ზომები და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ისტორიებისგან **მართლაცდა გამორჩეულად ტრაგიკულ პერიოდს ჩვენი უახლესი ისტორიისას სათანადო ყურადღება არ მიექცა და მასზე თავისი პასუხისმგებლობა არ აიღო, ერთი მხრივ, საზოგადოებამ, მეორე მხრივ, სახელმწიფომ და არ დაიწყო ლეგიტიმური ხელისუფლების ეგიდით მიმდინარე ამ ჭეშმარიტად სახალხო მოძრაობის საქმიანობის მომცველი ფაქტების, დოკუმენტური მასალების, სამუზეუმო ექსპონატების, ეთნოგრაფიული თუ ხალხურ-შემოქმედებითი მასალების მოძიება და მათი სათანადოდ დამუშავება და შენახვა.**

განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია ნახევრად ლეგიტიმურ პირობებში გამომავალი ხელნაწერი მასალების, ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა საგამომცემლო მასალების შეგროვება და სისტემატიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. სპეციალური შესწავლის საკითხი უნდა გახდეს ის ვიდეო და აუდიომასალები, რომლებიც მიმობნეულია მთელი სამყაროს მასშტაბით. თამამად შეიძლება ითქვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ილია იტყოდა, ჩვენ მივიღებთ მეტად ბნელ და შეუმუშავებელ ისტორიას, რომელშიც სულ არ იქნება ფაქტები ჩვენი ხალხის ცხოვრების შესახებ ან, თუ იქნა, კანტიკუნტად, ისიც ძალზე საეჭვო.

თუკი „ჩვენი კულტურის სწორუპოვარი ბელადი და ხელმძღვანელი“ (ი. ჯ.) იმაზე დარდობდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია დაყენებული, ჩვენ ამ საშური და გადაუდებელი ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში აღმოვჩნდებით კატასტროფის წინაშე, **მივიღებთ არა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ქართველი ხალხის, საქართველოს საზოგადოების ისტორიას, არამედ სამოქალაქო დაპირისპირების გამჩაღებელი, ტერიტორიების 25%-ის დამკარგავი ნეოკომუნისტური, კრიმინალურ-მაფიოზური ძალების შელამაზებულ და „გასწორებულ“ ისტორიას, რომელსაც მშვენივრად გამოიყენებენ პროიმპერიულ-სეპარატისტული თუ სხვა რეჟიმის ანტიქართული ძალები და ამ ყალბი ისტორიის ფონზე დე-იურედაც დაეპატრონებიან იმ ოკუპირებულ ტერიტორიებს. მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები და კანონქვემდებარე აქტები, 12-წლიანი ბრძოლის მასალები მოიცავენ იმ წყალგაუვალ ფაქტებს, რომლის გვერდის ავლა ვერც კონსტიტუციური და ვერც საერთაშორისო ნორმების თვალსაზრისით არ ძალუძთ იმპერიას და მის ემისრებს.**

ამდენად, ამ 12-წლიანი ლეგიტიმური ბრძოლის სრულფასოვანი შესწავლა – ყველა არსებული მასალის ანალიზის საფუძველზე – არა მარტო ისტორიული სამართლიანობის დადგენის თვალსაზრისითაა აუცილებელი, არამედ ის სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა ყოფილ ავტონომიებთან ურთიერთობის დასალაგებლად, რაც წინაპირობა იქნებოდა სახელმწიფო ერთიანობის აღდგენისათვის. მაშასადამე, რუსული იმპერიალიზმისგან საბოლოოდ თავდაღწევისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის უმძიმესი ისტორია „კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდე“. ეს საჭიროა ჩვენი მომავლისთვის, ილიასეული „საერთო ნიადაგის“ თეორიის ამოქმედებისთვის, დასავლური ცივილიზაციის საფუძველზე ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის აშენებისთვის.

მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობს, „ისტორიის გაგება და სისწორით წარმოდგენა ადვილი საქმე არ არის,“ მით უმეტეს, ისეთი პერიოდისა, როცა საქმე გაქვს დევნილობაში მყოფი კანონიერი ხელისუფლების საქმიანობასთან, ნახევრად ლეგალურ პირობებში მიმდინარე ბრძოლასთან, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი **ქვეყნის ორ პარალელურ ისტორიასთან.**

ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ფარგლებში წამოწყებულ იქნეს ამ ძალზე საშური და საქვეყნო საქმის განხორციელებისკენ მიმართული საქმიანობა, ვინაიდან ყოველი დღე და საათი ანადგურებს და სპობს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიისთვის ეგზომ მნიშვნელოვან ფაქტებსა და საარქივო მასალებს. სულ უფრო თხელდება ამ ისტორიის შემოქმედთა რიგები, რომელთა ხელში იმყოფებოდა ამ პერიოდის ჩვენი ისტორიის ფასდაუდებელი დოკუმენტები. ბევრი უღირსებო ადამიანი ხელოვნურად ანადგურებს მათ, ბევრი კიდევ ამ საქვეყნო მნიშვნელობის საქმეში ჩაუხედავობით, თავისი ინდიფერენტულობით არაფერს აკეთებს მათ დასაცავად. ამასთან არ ჩანს არანაირი ინიციატივა არც საზოგადოების და არც შესაბამისი დარგის მკვლევართა მხრიდან.

ამიტომ უპრიანი იქნებოდა სამოქალაქო **კონფრონტაციის 12-წლიან პერიოდში კანონიერი ხელისუფლების საქმიანობის ამსახველი ისტორიული და საარქივო-სამუზეუმო მასალათა შემგროვებელი და დამდგენი შერეული სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება.**

პირველ ეტაპზე აუცილებელია ჩამოყალიბდეს აფხაზეთ-სამეგრელოს საზოგადოება, ცენტრით ზუგდიდში, როგორც კანონიერი ხელისუფლების მომხრე ძალების მოქმედების ცენტრში, რაც ასევე მნიშვნელოვანია აფხაზეთთან მისი ტერიტორიული სიახლოვიდან გამომდინარე, თუმცა უმთავრესი მაინც ისაა, რომ სწორედ ამ რეგიონშია თავმოყრილი კანონიერი ხელისუფლების ეგიდით მოქმედი ნახევრად ლეგალური და იატაკქვეშა პოლიტიკური პარტიულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯგუფების, მრგვალი მაგიდის ადგილობრივი ორგანიზაციების, დაუმორჩილებლობის კომიტეტის, სახალხო კრებებისა თუ პერმანენტული მიტინგების მიერ მიღებული დოკუმენტები; აქვეა თავმოყრილი ნახევრად ლეგალურ პირობებში გამომავალ ჟურნალ-გაზეთები თუ სხვა საგამომცემლო პროდუქციის უდიდესი ნაწილიც, რაც, უეჭველია, დაუნდობლად ნადგურდება. მათ გარეშე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პერიოდის ისტორია ვერ დაიწერება. მათი გადარჩენა კი შესაძლებელს გახდის, როგორც ჩვენთვის, ასევე მომავალი თაობებისთვის შემუშავებულ იქნეს ამ ახლო წარსულის „მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი“ ისტორია. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ცილისმწამებლურ, ანტიეროვნული, პროიმპერიული პროპაგანდით გაჯერებულ, როგორც დიდი ილია აფასებდა, „მეტად ბნელ“ ისტორიას, რაც სამომავლოდაც გაართულებს ეროვნული თანხმობის მიღწევის საკითხს.

ამდენად, მართალია, დიდი სისხლის ფასად, უზომო დანაკარგებით, მაგრამ მაინც, ჩვენ გადავარჩინეთ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, ახლა კი უნდა გადავარჩინოთ მისი ჭეშმარიტი ისტორია!

მურმან ზაქარაია,
ისტორიკოსი, პუბლიცისტი
25-31. 03. 2016 წელი
თბილისი

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი #15-17)

კარტოგრაფი მეკობრე ადმირალის, „ამბავი პირისის რუკისა“, პასუხგაუცემელია, თუმცა „ციდან დაშვებულების“ კვალის, ანუ „რაღაც ციური ცივილიზაციის“ არსებობის გარდა, სხვა ვერსია ვერ იბადება.

კარტოგრაფია არის მეცნიერება ობიექტური სინამდვილის საგნებისა და მოვლენების კონკრეტული სივრცის და მისი დროის მიხედვით ცვალებადობის შესახებ. მისი სახისთვის კარტოგრაფია იყენებს სპეციფიკურ ხელოვნურ ნიშნობრივ სისტემას „რუკის ენას“ და სპეციფიკურ მეთოდს – კარტოგრაფიულ მოდელირებას.

რა ინფორმაციაც ჩვენამდეა მოღწეული, მისი მიხედვით, პირველი გეოგრაფიული რუკა და კოსმოსის გეოცენტრული მოდელი შექმნა-შეადგინა თალეს მილეთელის მოწაფემ ანაქსიმანდრემ (ძვ. წ. 610-546).

ყველა ძველ ხალხებს ჰქონდათ რუკის მსგავსი ჩანახაზები, მაგრამ ეს რუკები მოკლებული იყო მეცნიერულ საფუძველს, რადგან რუკა რომ გამოიხატოს, როგორც რეალობის სწორი ამსახველი დოკუმენტი, იგი აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს მათემატიკურ მეთოდებს. ამდენად, გეოგრაფიაში მათემატიკურ-კარტოგრაფიული მიმდინარეობის პირველი შემქმნელია ერასტოსტენე კირენელი (ძვ. წ 276-194), რომელიც გეოგრაფიული მათემატიკის ფუძემდებელია, მან პირველმა გაზომა დედამიწის მერიდიანის სიგრძე.

კარტოგრაფიული აზროვნების მწვერვალს წარმოადგენს კლავდიოს პტოლემეუსის (დაახლ. 90-168 წწ) შრომები. მისი მთავარი გეოგრაფიული შრომაა „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“ 8 წიგნად. ერთის მხრივ, პტოლემეუსი გეოგრაფიას ასტრონომიული თვალსაზრისით მიუდგა, მეორე მხრივ, ცდილობდა მისთვის ცნობილი სამყარო დაეტანა რუკაზე. ნაშრომს ახლავს დედამიწის ზედაპირის 27 რუკა. ცხადია, პტოლემეოს კლავდიოსის შედგენილ რუკაზე კარგად ჩანს კოლხეთი...

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ კოლხები მამაცი ზღვაოსანი, გემთმშენებლები და კარტოგრაფები იყვნენ. მათ კაცობრიობის ისტორიაში პირველებმა დაიწყეს ვეშაპზე ნადირობა და მისი ხორცისა თუ ქონის გამოყენება. კოლხების ხომალდები დიდი არ იყო, მაგრამ სწრაფმავალები იყო და თავისუფლად დაცურავდნენ ზღვებსა და ოკეანეებზე. კოლხები შესანიშნავად ფლობდნენ ასტრონომიას, იცოდნენ ციური სხეულების გადაადგილების ურთულესი კანონები და მათი საშუალებით კარგად იკვლევდნენ გზებს წყალზე.

ცნობილი გერმანელი გეოგრაფი კარლ რიხტერი (რიტერი) წერს: „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივდება სრულებით არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს, ვინაიდან ბევრად უფრო დიდი ხნით ადრე ხმარებაში იყო კოლხ მოგზაურთა შორის.“

რაც შეეხება თვით ანტარქტიდას – ბოლო დროის კვლევებისას აღმოაჩინეს 3 წაგრძელებული თავისქალიანი ჩონჩხი და ცხოველების გენეტიკური მასალები. ასევე, ბრიტანელებმა აღმოაჩინეს



დიდი, 100კმ-იანი გვირაბი ყინულის საფარველის ქვეშ („იუთუბიზეც“ გავრცელდა). გამოითქვა ვარაუდი, რომ ყინულქვეშ გვირაბების ქსელია გამოჭრილი. ეს აღმოჩენა სატელიტური ფოტოსესიისა და თვითმფრინავების რადარული სკანირებით მოხდა. ექსპერტების აზრით, გვირაბის ტექნიკური პარამეტრები გამორიცხავს მათ ბუნებრიობას – მკვეთრად გამოჭრილი კონტურები მიანიშნებს მათ ხელოვნურ შექმნაზე, მაგრამ თავსატეხი ის არის, რომ მათი შესაქმნელი ტექნოლოგიები ჯერ არ აქვს დედამიწას...

აზრის შემოწმება, რომ ყველაზე დიდი გვირაბი მიდის ყინულქვეშ არსებულ უძველეს მიტოვებულ ქალაქთან, შეუძლებელი აღმოჩნდა – ყოველ შემთხვევაში, ასე გაავრცელეს ინფორმაცია, თუმცა, იმდენი ექსპედიცია ჩატარდა და ისეთი ინფორმაციული ვაკუუმია, პირიქით, სხვაგვარ ეჭვებს ბადებს. ფაქტია, რომ ანტარტიდაზე დროდადრო ყინულის ფენა იმდენად იკლებს სხვადასხვა ადგილზე, მიწის ზედა ფენაც კი ჩნდება. მართალია, შემდეგ ისევ იფარება და სურათი რადიკალურად იცვლება, მაგრამ სატელიტიდან გადაღებულ რამდენიმე ფოტოზე უხარისხო, მაგრამ ერთგვარად საეჭვო კონტურები გამოჩნდა, თითქოს სვასტიკის (თუ ბორჯღალის?) მსგავსი დიდი ნაგებობისა და შენობების ნარჩენებისა.

ცნობილია, რომ ჰიტლერი მისტიკით იყო გატაცებული და იმდენად სჯეროდა მისტიკური ამბების, „ფაუ-2-ის“ წარმოებაც კი შეაჩერა დროებით, რათა „მარადიული ყინულის სამეფოს“ განრისხება არ გამოეწვია. „ნაცისტების“ ერთ-ერთი საიდუმლო მიმართულება სწორედ ანტარქტიდის კვლევა-ათვისება იყო, რადგან მაგებით გარშემორტყმულ „უფროსობას“ სჯეროდა, რომ უძველეს არიელებს ანტარქტიდაზე მიაგნებდნენ, ანუ უძველესი ცივილიზაციის კვალს. გავრცელებული ინფორმაციით, ანტარქტიდის გამიზნული კვლევებისთვის მსვლელობები ჯერ კიდევ 1935 წელს დაიწყეს. როდესაც აღდგომის კუნძულების ქანდაკებები (ამის შესახებ მოგვიანებით ვთქვათ) იხილეს და მიიღეს ვერსია, რომ ისინი „თეთრი რასის“ დატოვებული იყო, ანტარქტიდის მიმართულებით გაუყვნენ და დაარსეს ერთ-ერთი პირველი სადგური, რომელიც ამჟამად „სან მარტინის“ სახელითაა ცნობილი, გემებმა კი გზა განაგრძეს. ამ სადგურიდან გამუდმებით ფრენდნენ მათი მზვერავი თვითმფრინავები და ასე იპოვეს „ოაზისი“. სურათების გამჟღავნებამ გამოაჩინა რაღაც ნაგებობების კვალი და მიჰყვნენ აღმოჩენას. ეს იყო მკვდარი ქალაქი, სადაც დარჩენილი იყო შენობის ნანგრევები, საფეხურები, შავი ობელისკები. მიწა, რაზეც იდგნენ, ვერ დაადგინეს, ხელოვნურად დამუშავებული კლდე იყო თუ ერთმანეთთან იდეალურად მიბჯენილი ქვის ბლოკები. ქალაქში ჩანდა საფეხურიანი ტაძარიც, აცტეკების პირამიდის მსგავსი. ობელისკზე, რომელიც დაფარული იყო ნახატებით და წარწერებით, მეცნიერები იეროგლიფებს ელოდნენ, თუმცა გაურკვეველი ანბანი აღმოჩნდა, რომელიც გერმანელებმა რუნებს მიამსგავსეს, მაგრამ ვერაფერი გაუგეს. მოედნის კიდეებში ოთხი გოლიათური ზომის სკულპტურა იდგა. ტაძარს შესასვლელი ვერ უპოვეს. ე.წ ცენტრალურ ქუჩას პერპენდიკულარულად მიუყვებოდა მეორე ქუჩა, რომელიც ბოლოში გვირაბით ბოლოვდებოდა და ორი ობელისკი იდგა. გვირაბში ნახეს რომ ორი არხი მიუყვებოდა სიღრმეში, თითქოს სარელსე, კედლებს კი გადახლართული ხაზების უცნაური ორნამენტები გასდევდა. გვირაბი გაუვალი იყო და გამოსაკვლევად დაბრუნება გადაწყვიტეს. ქალაქის დათარიღება ვერ შეძლეს, პირობითად კი „ეაროდრომი“ უწოდეს.

ამ დროს, გემებმა, რომლებიც კონტინენტის ნაპირს მიუყვებოდნენ, მალევე აღმოაჩინეს თბილი დინება რომელიც ყინულების ქვეშიდან გამოდიოდა და იქვე, შორიახლოს, ჩამქრალი ვულკანი. აქვე იპოვეს გიგანტური ყინულქვეშა გვირაბები, რომლის შიგნით იყო დიდი ტბები, ხოლო ტბების ქვეშ მღვიმეების კიდევ ერთი საფეხური, ცარიელი ადგილები, სადაც დასახლება შეიძლებოდა, ანუ იდეალური ადგილი ბაზის მოსაწყობად. მოაწყეს კიდეც და ამ ადგილს „ვალჰალა“ დაარქვეს. (ბოლო წლებში რუსებმაც აღმოაჩინეს ანტარქტიდაზე მიწისქვეშა ტბა, რომლის ქვეშ დინებაა და უკავშირდება ქვედა მღვიმეებს, ანუ იგივენაირი სისტემა.) მღვიმეების ბოლოში იპოვეს სიღრმეში ჩამავალი შახტა, რომლის შესასვლელთან ქვის სტატუა იდგა, ფრთებიანი ლომის მსგავსი. ამ პერიოდში მთელი ესპედიცია გრიპის ვირუსმა შეაყოვნა. გარკვეული პერიოდის შემდეგ შახტაში კვლავ ჩავიდნენ მკვლევარები, მაგრამ რომ აღარ დაბრუნდნენ, მეორე ჯგუფი გაგზავნეს, რომელმაც ისინი გაურკვეველი მიზეზით გარდაცვლილები ნახა. მეორე ჯგუფის გაგზავნის შემდეგ, როდესაც ისინი დაიკარგნენ (მთლიანობაში 17 ადამიანი დაიკარგა და დაიღუპა გაურკვეველი მიზეზით), შეწყვიტეს შახტას კვლევა. არა ერთი გვირაბი ნახეს და კიდევ ერთი მიტოვებული ქალაქი, მაგრამ ამასთანავე შენიშნეს, რომ რაღაც უცნაურ მოვლენებს და ამოუხსნელ ფაქტებს აწყდებოდნენ, მათ შორის, გაურკვეველი მიზეზით კვდებოდნენ ადამიანები და იკარგებოდნენ თვითმფრინავები. „ნაცისტებს“ ეს არ აღელვებდათ, კვლევა გრძელდებოდა. ასე აღმოაჩინეს ზემოთ აღწერილი ადგილები სადაც შემდგომში თავიანთი ბაზები განათავსეს და ფუნქციონირებდა ნახევარი საუკუნის წინ. იმ ადგილებს „ახალი შვაბია“ უწოდეს. (ადმირალ ბერდის ექსპედიციას დავალებული ჰქონდა გერმანელების ბაზების პოვნა და განადგურება, მაგრამ „ნაცისტები“ მომზადებულები დახვდნენ.)

ჟაკ-ივ კუსტოსაც (საფრანგეთის დაზვერვასთან თანამშრომლობდა) ჰქონდა დავალება რომ ეპოვნა გერმანელების ბაზები ანტარქტიდაზე, მაგრამ სანამ ბაზების კვალს დაადგებოდა, დიდი მიწისქვეშა გვირაბი იპოვა, რომე-

ლიც ასევე კარსტულ მღვიმეებთან შედიოდა, სადაც სიცარიელე და ისეთი იდუმალებით მოცული დიდი ტბა იყო, რომ ეშინოდათ კიდეც მისი. ერთ დღეს ტბამ ნათება დაიწყო, რომელიც ვერაფრით ახსნეს. ტბის პირასაც იდგა 2 ობელისკი. ერთი მათგანის საფრანგეთში წაღების ბრძანება გასცა კუსტომ, მაგრამ ვერანაირი იქ არსებული ტექნიკით ვერ შეძლეს მისი ადგილიდან მოხსნა და თავი დაანებეს.

გვირაბების ქსელში კუსტომაც იპოვა გვირაბი რომელიც სიღრმეში მიდიოდა, მის წინ კი ფრთებიანი ლომის მსგავსი ცხოველის ქვის სტატუა იდგა, მაგრამ როდესაც პირველი ჯგუფი აღარ დაბრუნდა და მეორე ჯგუფმა ისინი გარდაცვლილები ნახა (მათი გამოატანაც კი ვერ მოახერხეს. 5 ადამიანი დაიკარგა და გარდაიცვალა გაურკვეველ ვითარებაში), კუსტოს იქ აღარავინ გაუგზავნია.

XX საუკუნის მეორე ნახევარში, ამჯერად ანტარქტიდის „ოაზისის“ საკვლევად წასულ რუსებს გვირაბის შესასვლელი თავზე აუფეთქდათ და 3 კაცი მოუკვდათ. ესპედიცია მცირე ხნით გადადეს, შეიარაღდნენ ტექნიკით, მაგრამ უკან მიბრუნებულებს აღარც ტბა

დახვდათ, აღარც „ოაზისი“ და სულაც ვეღარც იპოვეს ის ადგილი, თოვლმა გადაფარა.

რუსულმა დაზვერვევამ როდესაც მიიღო ინფორმაცია კუსტოს ექსპედიციაზე, 3 გემით მიადგა ანტარქტიდას. მიაკვლიეს კუსტოს ექსპედიციის ადგილსაც და მისი წევრების ჩონჩხებსაც, მაგრამ გვირაბის ჩახერგილ შესასვლელს ვერაფერი მოუხერხეს, დინამიტმა ძვრა ვერ უყო ქვის ბლოკს. საბოლოოდ, ჩათვალეს, რომ ეს ქვის ბლოკი კი არა, გაურკვეველი შემადგენლობის მასალაა, რომელსაც ვერაფრით მოერევიან და ხელცარიელები გამობრუნდნენ.

ყველა ეს ექსპედიცია დაფარული იყო თავის დროზე, შესაბამისად, ახლაც არაფერი იცის ხალხმა რა ხდება ანტარქტიდასთან დაკავშირებით, რა დონეზეა მისი კვლევა, შეუძლია თუ არა ვინმეს იმის თქმა, რა ცივილიზაციის კვალია ნაპოვნი ყინულოვან კონტინენტზე, რომელიც ოდესღაც განვითარებული და სიცოხლით სავსე ხმელეთი იყო.

შემთხვევით არ ჩავძიებივართ ანტარქტიდას! საუბრის დასაწყისში ვახსენეთ, რომ სვასტიკის მსგავსი ფორმის შენობის კონტურები გამოისახა სატელიტიდან გადაღებულ ფოტოზე. ეს შენობა, მოქმედი თუ უკვე „მკვდარი“, ფაშისტური გერმანიის მიერ სიმბოლოდ აღებულ სვასტიკამდე ათასწლეულების წინ არსებობდა ამ ფორმით.

საინტერესო ფაქტია – ლალიბელა პატარა ქალაქია ჩრდილოეთ ეთიოპიაში, რომელიც მსოფლიოში განთქმულია მონოლითური ტაძრებით. ლალიბელას მოსახლეობა მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. ლალიბელაში 13 ტაძარია და ყველა მონოლითი კლდეშია გამოკვეთილი. გამოითვალა, რომ ტაძრების აგებას ასობით ათასი კუბომეტრი ქვის გამოჭრა დასჭირდებოდა.

ეთიოპიის ისტორიის მიხედვით, მეფე ლალიბელამ მე-12 საუკუნეში მოინახულა იერუსალიმი და მუსლიმანთა იერუსალიმის დაპყრობის საპასუხოდ (1187წ) გადაწყვიტა მშობლიურ ქალაქ როჰაში აეგო ახალი იერუსალიმი. როჰას ლალიბელა ეწოდა და ქვეყნის დედაქალაქი იყო მე-12-13 საუკუნეებში. ამდენად, ბევრ ნაგებობას ბიბლიური სახელი ჰქვია, მდინარესაც კი, რომელიც ქალაქში მიედინება, იორდანე ჰქვია. გადმოცემის მიხედვით, როგორი უნდა ყოფილიყო ლალიბელას კლდეში ნაკვეთი ეკლესია, მეფე ლალიბელას მითითებას აძლევდნენ წმინდა გიორგი და უფალი ღმერთი. მართლმადიდებლური ტაძრის სარკმელი რომ ჯვარს გამოსახავდეს, გასაკვირი არ არის, მაგრამ ლალიბელას ტაძრის სარკმელები ჯვრის გვერდზე იმეორებენ სვასტიკას... საინტერესოა, რატომ?

„სვასტიკა“ (სანსკრიტზე – „კეთილად ყოფადი“) აბნევს ადამიანთა კატეგორიას, რადგან იგი ფაშისტურ გერმანიასთან ასოცირდება, მაგრამ „სვასტიკა“ ის გრაფიკული სიმბოლოა, რომლის მკვლავებმოხრილი ჯვრის ვარიანტს, თითქმის ყველა უძველეს კულტურასა და ცივილიზაციაში საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა. სვასტიკა არის ძველ კოლხურ ცივილიზაციაში, შუმერებთან, ეგვიპტეში, ინდოეთში, საბერძნეთში, ირანში (ზოროასტრიზმში), სკანდინავიასა და ძველ გერმანულ მითოლოგიაში, მაიასა და ცენტრალურ, სამხრეთ და ჩრდილო ამერიკის სხვა ცივილიზაციებში, სემიტურ კულტურაში და ა.შ ცნობილი ატლანტოლოგი ზაიდლერი ვარაუდობდა, რომ სვასტიკა „ატლანტიდის ცივილიზაციიდან შემორჩენილი ნაშთი“ არის...

სვასტიკა არსებობს ოთხმხრიანი, სამმხრიანი (ე.წ „ტრიკვესტი“) და მრავალმხრივიანი, ამასთანავე, მომრგვალებული მხრებით, რომელსაც ქართულად „ბორჟღალა“ ჰქვია. ერთი ვერსიით, სვასტიკის სიმბოლოდ აღება გიორგი გურჯიევმა უკარნახა ნაციზმის ერთ-ერთ იდეოლოგს, კარლ ჰაუსჰოფერს ჯერ კიდევ ოკულტურ-პოლიტიკური ორგანიზაცია თულეს საზოგადოების“ დაარსებამდე. ამ სიმბოლომ, რატომღაც, იმთავითვე ისეთი დიდი პოპულარობა მოიპოვა ხალხში, რომ მოგვიანებით ჰიტლერმა დაწერა: „ეფექტი იმდენად დიდი იყო, რომ ყუმბარის აფეთქებას ჯობდა“.

სვასტიკამ არაერთგვაროვანი მნიშვნელობა შეიძინა, მაგრამ როგორც ჩანს, პირდაპირი კოსმიური ნიშანია, კოსმიური მოძრაობის, შემოქმედი ძალის, ნაყოფიერების, კეთილდღეობის, აღორძინების, კოსმიური სიბრძნის და ა.შ ყოველგვარი დადებითის გამომსახველი ნიშანია.

სვასტიკის ყველაზე ძველი ფრაგმენტები ნაპოვნია შუამდინარეთში (შუმერი) და დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ძვ.წ IV ათასწლეულით თარიღდება. სვასტიკა ამოჩუქურთმებულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამ უძველეს და თავისთავადი, მტკვარ-არაქსის, თრიალეთის და კოლხური კულტურის ნიმუშებზე (კერამიკა, ცულები, სამკაულები, საყოფაცხოვრებო ნივთები, დედაბოძები); მცხეთაში – სამეფო ბეჭდები; რაჭაში – ცული ძვ.წ. II ათასწლეულისა; სვასტიკა არის ქართულ ასომთავრულ ანბანშიც ასომთავრულ ძეგლებში „ქან-ის“ ასო-ნიშნად.

ფაქტია, სვასტიკა და ბორჟღალა ქართულ (კოლხურ) რეალობაში, საკრალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, უდიდესი დატვირთვის ყოფილა. ეს ორნამენტული კომპოზიცია მზის შვილი აიეტის ქვეყანაში მიიჩნეოდა მზის მისტერიად, სიცოცხლის უკვდავობის, საიდუმლო ცოდნის, ძალაუფლების, შემოქმედი ძალის, კეთილდღეობის, ნაყოფიერების სიმბოლოდ.

„ბორჯღალის“, ყველაზე საკრალური ლოგოგრამის შესატყვისია მეგრული (კოლხური) „ბარჩხალი“ (თვალისმომჭრელი) ნათება, ელვარება, კაშკაში. დღევანდელ სალაპარაკო მეგრულში „ბჟაბარჩხალია“ – იტყვიან მცხუნვარე, მოკაშკაშე სხივებდაფენილ მზეზე... მნათობებზე...

ზოგი მკვლევარი „ბორჯღალის“ სხვა ინტერპრეტაციას იძლევა, თუმცა, დიდად არაფერი იცვლება, პირიქით, მეტ დატვირთვას იღებს. „ბორჯ“ მეგრულად „დრო“ არის, ჟამი, „ღალ(ა)“ – წაღება, სვლა, ამავდროულად – მდინარე.

სხვა ვერსიით, „ბორჟღი“ ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს „ფესვს“, „საძირკველს“, აქედან არის ნაწარმოები მისი გვიანდელი ფორმა „ბურჯი“. სიტყვა „ღალ“ ნიშნავს „წმინდა (ჯანსაღ) ნაყოფს“, „მოსავალს“, „გამოსავალს“, „ბარაქას“...

„ბორჯღალი“ ჰქვია ასევე, ირმის რქასა და ხის ისეთ ტოტს, რომელიც დატოტვილია შედარებით წვრილი ტოტებით (აქედან ნაწარმოები „გაბარჯღული“, რომელიც ფესვებგანტოტვილზეც ითქმის და მყარად მდგომ ადამიანზეც რაჭულ დიალექტზე). ირმის რქა ოდითგანვე მიიჩნეოდა სიცოცხლის ხის სიმბოლოდ, ხოლო მისი ცვლა ქართულ მითოლოგიაში უკვდავების მინიშნება იყო.

საქართველოში ყველაზე გავრცელებული იყო 7-ქიმიანი ბორჯღალა, კოსმოსის სიმბოლური განსახიერება, ქრისტიანობამდელ ქართულ პანთეონში არსებული შვიდი წმინდა მნათობის ხატოვანი ნიმუში. კონცენტრაციის ცენტრი, „ბურჯი“, საიდანაც თოთეული „ღალა“ (მნათობი) გამოედინება, ღმერთის სავანეს სიმბოლოდ მიიჩნეოდა, ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედად. (მთოვარე – ყამარ – მთვარე; ჯუმა – ერმი, ოტარიდი – მერკური; მთიები – ცისკრის ვარსკვლავი – ვენერა, აფროდიტე, იშტარი; მარიხი – არიან, თახა – მარსი; დია – მუშთარი – იუპიტერი; ზუალი – სატურნი; ჰელიო – არდი – მზე.)

ყველაზე თამამი ვერსიით, „პირისის რუკა“ იმ გამქრალი (თუ მიმალული?) ცივილიზაციის ცოდნის შედეგია, რომელიც ფლობდა მაღალ ტექნოლოგიებს, ფრენდა ცაშიც და კიდევ ვინ იცის, რა საშუალებით, მაგრამ უსწრაფესად გადაადგილდებოდა სამყაროში. Aამ უცნობი ცივილიზაციის კვალი სამყაროს სხვადასხვა ნაწილში მრავლად გვხვდება, მაგრამ ჯერ მაინც რომ ვერ წვდება ადამიანის გონი რა და როგორ იყო? იქნებ, ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ „ეფუთის“ დაკარგვიდან (ქურდობიდან) დაწყებული, დღემდე ჩვენი (კოლხეთის) ისტორიის გაყალბებამ, შესაბამისად, მსოფლიო ისტორია გააყალბა და სრულიად არი-დარია „გორგალი“, რომლიდანაც წვერი უნდა გამოიღოს მის გასახსნელად?

ორიოდე სიტყვა წაგრძელებულ თავის ქალებზეც ვთქვათ – „გრძელთავიანობის“ ტრადიცია სხვაგანაც იყო დედამიწაზე, ამდენად, შეიძლებოდა ყოფილიყო ანტარქტიდაზეც, მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ამ ტრადიციის შინაარსი? აღსანიშნავია ისიც, რომ თავის ხელოვნურად წაგრძელების შემთხვევაში, მხოლოდ თავის ქალის ფორმა იცვლება, შიგთავსის მოცულობა უცვლელი რჩება. და მაინც, რატომ ცდილობდნენ თავის ფორმის შეცვლას? ახლა, გასაგებია, ტრადიციად გადმოჰყვათ, მაგრამ თავდაპირველად? იქნებ ვიღაცას, მათზე ზეაღმატებულს, ვთქვათ, „ღმერთებს“ ბაძავდნენ, რომლებიც „საიდანღაც“ მოვიდნენ და „ძალიან ბევრი“ იცოდნენ ყველაფრის შესახებ? უმთავრესი კი ის არის, რომ აღმოჩენილი უძველესი წაგრძელებული თავის ქალები დაახლოებით სამჯერ დიდია და ამოვსებულია შიგთავსით, ანუ ხელოვნურად წაგრძელება გამოირიცხება...

Aამერიკელი უფოლოგები ამტკიცებენ, რომ კაცობრიობამ „ცხოვრება ისწავლა“ ძველი შუმერებისგან, რომლებიც ჩვ. წ.აღ-მდე 5500 წლის წინ ცხოვრობდნენ; რომ მათ თიხის ფირფიტებზე ყველაფერი წერია ჩვენი წარმოშობის შესახებ და ისინი ყველაფერზე ამომწურავ ცნობებს ფლობდნენ; რომ შუმერთა ნახატებში ჩანს

ობიექტი, რომელიც უცხოპლანეტელთა ხომალდია და სწორედ ეს უცხოპლანეტელები მართავდნენ შუმერს; სწორედ მათი ასო-ნახატებისგან ირკვევა ის „ამბავი“, რომ შუმერებმა „აუნაკის“, „ანუ ნაკის“ – „ციდან დაშვებულ(ებ) ისგან“ ისწავლეს ყველაფერი და მთელ მსოფლიოს გაუზიარეს; რომ სწორედ ქალაქ ერედუში დაეშვა ციდან პირველი სამეფო ხელისუფლება...

(გაგრძელება იქნება)

ედვარდ ლოიდი – გრძელი გზა საპორტო კაფედან კორპორაციამდე

1688 წელს ლონდონის უდიდეს ქუჩაზე, თაუერ-სტრიტზე, რომელიც ქალაქის საქმიან კვარტალებს სენ-კეტრინის სანაპიროსთან აკავშირებდა, გაიხსნა პატარა, მაგრამ ძალიან მყუდრო კაფე. ის პორტიდან ქალაქისკენ მიმავალ გზაზე პირველი კაფე გახლდათ. უბრალო მეზღვაურებს შესვლა ეკრძალებოდათ, მაგრამ არც მეზღვაურები იკლავდნენ თავს, რადგან ყავაზე მაგარ სასმელს იქ ვერ დალევდნენ.

მხოლოდ რჩეულთათვის

ედვარდ ლოიდმა, რომელსაც უკვე ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა და რომელსაც დაბალი ხმა და დახვეწილი მანერები ჰქონდა, თავიდანვე მკაცრად განსაზღვრა თავისი კლიენტების წრე: გემების კაპიტნები, გემთმფლობელები, ბროკერები, ვაჭრები და ბანკირები, ერთი სიტყვით – საქმიანი ადამიანები, „სუფთა ხალხი“.

ლოიდი მზად იყო, მუდმივი კლიენტებისთვის მცირე, მაგრამ სასიამოვნო სიმყუდროვე შეექმნა: ფინჯანი ყავა, განმარტოებული ადგილი, სადაც შეიძლებოდა პარტნიორებთან ერთად მშვიდად განეხილათ მომავალი გარიგების პირობები. დაბოლოს, საწერი საშუალებები, რათა წერილობით გაეფორმებინათ დადებული ხელშეკრულება.

ზღვასთან დაკავშირებული საქმიანობის მწარმოებლებს ეს კაფე ძალიან მოეწონათ. მოკლე ხანში პრაქტიკულად ყველა საქმიანი შეხვედრა, რომელიც ზღვაზე ტვირთის გადაზიდვას ეხებოდა, „ლოიდთან“ იგეგმებოდა. კაფეს მაგიდებთან იმართებოდა სერიოზული საუბრები და იდებოდა მსხვილი გარიგებები. მეპატრონე ძლივს ასწრებდა შეკვეთების მიტანას. აქა-იქ ყურს მოჰკრავდა ხოლმე საუბრის ნაწყვეტებს, სადაც ხშირად გაისმოდა სიტყვები „ტონაჟი“, „ფრახტი“, „სადაზღვევო პოლისი“, ცნობილი კაპიტნების სახელები, გემების სახელები, ბევრჯერ გემის, ეკიპაჟის და კაპიტნის დაწვრილებითი აღწერილობაც მოსდევდა. მალე ლოიდი მიხვდა, რომ მას შეეძლო გამხდარიყო ძვირფასი ინფორმაციის მფლობელი, ოღონდ აუცილებელი იყო საუბრების სისტემაში მოყვანა.

სისტემატიზაციისკენ პირველი ნაბიჯი მომცრო რვეული გახდა, სადაც ედვარდ ლოიდი სკრუპულოზურად იწერდა ყველაფერს, რასაც იგებდა გემებისა და მისი მფლობელების შესახებ. როდესაც ამის შესახებ ტვირთის გამგზავნებმა შეიტყეს, გემების მფლობელებთან გარიგებას დადებამდე, წინასწარ ჩუმად ესაუბრებოდნენ კაფეს მფლობელს, რომელიც ზღვაში არასოდეს გასულა და რომელიც მზად იყო, მცირე სასზღაურის ფასად საქმიანი ადამიანებისთვის ფასეული ინფორმაცია მიეწოდებინა.

მომავალი ნაბიჯი რაღაც კედლის გაზეთის მსგავსი ხელნაწერი ფურცლები გახდა, სადაც თავმოყრილი იყო ყველა ის ჭორი, ყურმოკრული ამბავი, რასაც პორტში გაიგონებდი პორტში გემების შემოსვლა-გასვლაზე, კოლონიებიდან ჩამოტანილი საქონლის ფასებსა და სხვ. ამ ფურცლებს კაფეს მეპატრონე თავად ადგენდა, ყოველდღიურად აახლებდა და კაფეს დახლთან კიდებდა. ვისაც ამ ფურცლების წაკითხვა სურდა, ლოიდისთვის ერთი პენი უნდა გადაეხადა. გარდა კედლის გაზეთისა, ლოიდის კაფეში კიდევ ერთი სიახლე იყო – მისი ერთი თანამშრომელი, რომელსაც კარგი დიქცია ჰქონდა, ხმამაღლა კითხულობდა გემების შესახებ ყველაზე საინტერესო ინფორმაციას და ვაჭრობის სიახლეებს. სიახლეების წაკითხვამე, კლიენტების ყურადღების მისაპყრობად, კაფეს მეპატრონე ვერცხლის ზარს რეკდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ედვარდ ლოიდი მიხვდა, რომ მის საქმიანობას – დაინტერესებული ადამიანების მნიშვნელოვანი ინფორმაციით მომარაგებას საზღვაო გადაზიდვების შესახებ, უფრო მეტი შემოსავალი მოჰქონდა, ვიდრე ძირითად საქმიანობას. სადაზღვევო პოლისებთან მუშაობა შანსს იძლეოდა, დიდი რისკის გარეშე გამდიდრებულიყო. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ლოიდმა თავად დაიწყო გარიგებების დადება და სადაზღვევო პოლისებზე საკუთარი გვარის მოწერა. 1692 წლის დასაწყისში ლოიდმა თავისი კაფე თემზის ნაპირებიდან მოშორებით, ლონდონის საქმიანი კვარტალებისკენ გადაიტანა. „ზღვის მგლების“ – ძვირფასი ინფორმაციის მფლობელების პროცენტმა, რომლებიც ლოიდთან დადიოდნენ, იკლო, სამაგიეროდ, იმატა „თეთრი საყელოების“, იმ ადამიანების რიცხვმა, ვინც მზად იყო, ამ ინფორმაციაში ფული გადაეხადა.

მიმზიდველი სიახლეები

სადაზღვევო გარიგებები იმხანად ლონდონის ბევრ კანტორში იდებოდა, მათ შორის სასტიკი კონკურენცია იყო. კლიენტების მოსაზიდად ლოიდმა გადაწყვიტა, თავისი კაფე უფრო მოხერხებული და მიმზიდველი გაეხადა.

იგი ლონდონში გამომავალ ერთადერთ გაზეთ „ლონდონ გაზეთ“-ში აქვეყნებდა თავისი კლიენტების განცხადებებს, აწყობდა აუქციონებს, სადაც იყიდებოდა კოლონიიდან ჩამოტანილი საქონელი, მოვალეთა გემები და მეკობრეებისთვის წართმეული ხომალდები. კერძოდ, ლოიდმა მოიფიქრა აუქციონის ჩატარების ორიგინალური წესი.

აუქციონს, რომელიც ჩვენთვის ყველასთვის კარგად არის ცნობილი და საბოლოო ფასი ჩაქუჩის ბოლო დარტყმით განისაზღვრება, ჰოლანდიური ეწოდება. ლოიდი აწყობდა აუქციონებს, რომელსაც „სანთლის დუიმი“ ერქვა. ამგვარი აუქციონი ანთებული სანთლის შუქზე იმართებოდა, ფითილიდან ერთი დუიმით ქვემოთ სანთელში ფოლადის ნემსს არჭობდნენ. ვაჭრობა მანამ გრძელდებოდა, ვიდრე სანთელი აღნიშნულ ადგილამდე არ ჩაიწვებოდა. გასაყიდად გამოტანილი ნივთი ან საქონელი იმ ფასად იყიდებოდა, რომელსაც მაშინ დაიძახებდნენ, ვიდრე ნემსი სასანთლეზე დაეცემოდა.

ამგვარი აუქციონები ბევრ ადამიანს იზიდავდა, რომლებიც თავიდან, უბრალოდ, ვაჭრობის სანახავად მოდიოდნენ და საკუთარი თავისგან შეუმჩნევლად ერთვებოდნენ მასში. ლოიდთან გამართული აუქციონების შესახებ წერდა „ლონდონ გაზეტი“. ამ გაზეთის შემონახულ ნომერში, რომელიც 1692 წლის 24 ოქტომბრით არის დათარიღებული, ასეთი განცხადებაა განთავსებული: „ლოიდის ყავის სახლში „სანთლის დუიმი“ გაიმართება აუქციონი, სადაც სამი ხომალდი გაიყიდება. გემების შესახებ ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ლომბარდ-სთრითზე“.

ლოიდის მიერ შემოღებული ნოვატორობა გახდა 1696 წელს გაზეთის გამოცემა სახელწოდებით „ლოინ ნიუს“. თუ გავითვალისწინებთ, რომ ინგლისში მხოლოდ ერთადერთი ბეჭდვითი ორგანო გამოდიოდა, ამ ნაბიჯის წყალობით ლოიდი ძალიან ცნობილი გახდა. ორგვერდიანი გაზეთი კვირაში სამჯერ გამოდიოდა.

სამწუხაროდ, გაზეთის გამოცემა 76-ე ნომერზე შეჩერდა. ლოიდს უფლება ჰქონდა, გაზეთში დაებეჭდა მხოლოდ ვაჭრობასთან დაკავშირებული ცნობები, ბოლო გამოცემაში კი ის პოლიტიკურ საკითხს შეეხო და კომენტარებში სერიოზული შეცდომა დაუშვა. სასამართლომ საქმოსანი დააჯარიმა და აიძულა, გაზეთი დაეხურა.

1734 წელს გაზეთის გამოცემა კვლავ განახლდა, ამჯერად სხვა სახელწოდებით – „ლოიდ ლისტი“. ეს უძველესი ყოველდღიური ლონდონური გაზეთი, რომელიც სპეციალიზებული იყო საზღვაო გადაზიდვებზე, დღესაც გამოდის.

კაფეს ფხიანი მეპატრონე 1713 წელს გარდაიცვალა, მაგრამ მისმა მემკვიდრეებმა ბრწყინვალედ გააგრძელეს წინაპრის დაწყებული საქმე. დადებული გარიგებების რაოდენობა მატულობდა, იზრდებოდა ფირმის კაპიტალი. მალე „ლოიდის ყავის სახლმა“, რომელიც მანამდე არაოფიციალური „სადაზღვევო კლუბი“ იყო და რომელსაც ახალმა მფლობელებმა ძველი სახელი შეინარჩუნეს, 1774 წელს ლონდონის სამეფო ბირჟის „ფრთებქვეშ“ გადაინაცვლა, სადაც დააარსეს „ლოიდის საზოგადოება“.

1838 წელს ხანძრის დროს დაიწვა ბირჟის შენობა. ის მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ ააშენეს, მაგრამ „ლოიდის“ ადრეული ჩანაწერები განადგურებული იყო. ლონდონელმა დამზღვევებმა დიდი ზარალი განიცადეს. მდგომარეობის გამოსწორება 1871 წელს ახალი კანონის მიღებამ შეძლო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სადაზღვევო ბისნესს, ხოლო „სადაზღვევო კლუბს“ კორპორაციის უფლებები მიენიჭა.

„ლოიდის“ პოპულარობა უზომოდ გაიზარდა 1906 წელს ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის სანაპიროზე მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ. სტიქიამ თითქმის მთლიანად დაანგრია ქალაქი სან-ფრანცისკო, ხანძრების შედეგად კი განადგურდა მოსახლეობის ქონება. ზარალმა 350 მლნ დოლარი შეადგინა. ქალაქის ყველა სადაზღვევო ფირმა გაკოტრდა და მხოლოდ „ლოიდის“ კანტორამ აუნაზღაურა ზარალი პოლისების მფლობელებს.

იმ დროისთვის „ლოიდის“ ფილიალები პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობდა. სხვათა შორის, მოსკოვში ცნობილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობაში ლუბიანკაზე, რევოლუციამდე „ლოიდის“ წარმომადგენლობა იყო განთავსებული.

ამჟამად „ლოიდი“ სადაზღვევო პოლისების უზარმაზარი ბაზარია, რომელიც მზად არის, მონაწილეობა მიიღოს კანონით დაშვებულ ნებისმიერ რისკებში და დაგიზღვიოთ ყველაფერი, რაც მოგესურვებათ – სტიქიური უბედურებებიდან დაწყებული, სპორტსმენებისა და სოუ-ვარსკვლავების უმნიშვნელო ტრავმებით დამთავრებული. რუს კოსმონავტებსაც კი, რომლებიც კოსმოსურ სადგურ „მირზე“ გაფრინდნენ, „ლოიდის“ სადაზღვევო პოლისები ჰქონდათ.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

მაგთა ბრძოლა

გიორგი გურჯიევი: რატომ ვართ ჩვენ აქ, რა გვსურს და რომელ ძალას ვემორჩილებით?

გიორგი გურჯიევი, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ამოუცნობი და მისტიური ფიგურა, გახლდათ, ადამიანი განსაკუთრებული შესაძლებლობებით. მის სახელს უკავშირდება არაერთი ჭორი თუ ლეგენდა. ცხოვრების უმეტესი ნაწილი, ეზოთერული ცოდნის ერთ სისტემაში მოქცევას შემდეგ, სისტემური ცოდნის თავის მოწაფეებისთავის გადაცემას მიუძღვნა, რომელსაც თვითონ ფლობდა. მას ახალგაზრდობიდან აწუხებდა შინაგანი ქაოსი, რომელშიც ცხოვრობდა და მოუწოდებდა ადამიანებს გაეხილათ თვალები და შეეცნოთ როგორც გარე ასევე შინაგანი სამყაროს. სვამდა კითხვას-„რატომ ვართ ჩვენ აქ, რა გვსურს და რომელ ძალას ვემორჩილებით?“

მისტიკოსი ამბობდა, რომ რელიგიები და უძველესი ტრადიციები ერთ დროს დიდ ცოდნას ინახავდა, მაგრამ ადამიანებმა ზოგჯერ თავიანთი პატივმოყვარეობის გამო, ზოგჯერ კი უნებლიედ დაამახინჯეს და არსი დაუკარგეს, ამიტომ მათ აღარ ჰქონდათ ის ძალა, რაც უწინ. ადამიანის გონებაც თანდათან დაქვეითდა და აღარ შესწევდა უნარი, გაერჩია კარგი და ცუდი, ჩასწვდომოდა ჭეშმარიტებას. ამის ნათელი შედეგი იყო 1914-18 წლებში მიმდინარე მსოფლიო ომი. გურჯიევი წერდა რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. მისი მთავარი ნაშრომი არის ფილოსოფიური ტრაქტატი სათაურით „მეოთხე გზა“. ადამიანის ჰარმონიული განვითარების ტრაქტატი ახალი ადამიანის შექმნის თეორიაა, რომელსაც საფუძვლად აღმოსავლური ფილოსოფიური მოძღვრებები უდევს. მეოცე საუკუნის ორი ტოტალიტარული რეჟიმი და ფილოსოფიურ მოძღვრება – ფაშიზმი და კომუნიზმი, სწორედ გურჯიევისეული ნაშრომებით საზრდოობდა. ფაშიზმიც და კომუნიზმიც ახალი ადამიანის შექმნის თეორიაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გურჯიევისეული თეორიით „ახალი ადამინი შეიძლება მილიონებიდან მხოლოდ ერთი შეიქმნას, ისიც მხოლოდ მისი საკუთარი სურვილით და მხოლოდ გურუს დახმარებით“ – წერდა გურჯიევი. ხოლო ფაშისტებმა და კომუნისტებმა მილიონებიდან მილიონი ახალი ადამიანის, ასეულობით მილიონი ფაშისტის და ასეულობით მილიონი კომუნისტის შექმნა გადაწყვიტეს. მისი ფილოსოფიის მიხედვით „ადამიანს თავიდან უნდა წაართვა საკუთარი „მე“. გადააქციო უდაბნოს ქვიშის მარცვლად. პატარა ლიფსიტად უკიდეგანო ოკეანეში და როდესაც ის იგრძნობს რომ ის არარაობაა, მხოლოდ ამის შემდეგ გურუმ უნდა აღადგინოს მისი ცნობიერება საკუთარი „მე“-ს გარეშე. ეს იქნება სრულიად ახალი ადამიანი, რომელიც გაუძლებს მომავლის აპოკალიფსურ ქარტეხილებს და ახალ ცივილიზაციას დაუდებს საფუძვლად“. ეს არის გურჯიევისეული ფილოსოფიის არსი. თუმცა ამ ფილოსოფიამ მთელს მსოფლიოზე გავლენა იქონია, მაგრამ მისი სახელი მაინც ნაკლებადაა ცნობილი, რადგან მისი მოძღვრება დიდხანს იყო აკრძალული გერმანიაშიც და საბჭოთა კავშირშიც. გურჯიევს საკუთარი „ადამიანის ჰარმონიული განვითარების“ სკოლა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში ჰქონდა გახსნილი. მექსიკაში, გერმანიაში, საფრანგეთში, რუსეთში, საქართველოში, შვეიცარიაში სადაც თვითონ ცხოვრობდა. გიორგი გურჯიევს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს და ქართველების მიმართ. იგი დიდი მწერლის, გრიგოლ რობაქიძის უახლოესი მეგობარი გახლდათ. გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა. საზოგადოება გამოსავალი გზების ძიებაში ახალ-ახალ თეორიებს ქმნიდა. მასონიზმმა მჭიდროდ მოიკიდა ფეხი ქვეყანაში. მაშინ ბავარია და განსაკუთრებით კი მიუნხენი სხვადასხვა მასონური ლოჟების მოქმედების ადგილი იყო. გიორგი გურჯიევიც იმ პერიოდისთვის მასონი გახლდათ. საზოგადოება „ტულე“-ს და ფრანკმასონური ლოჟის, „ბრილი“-ს წევრი. გურჯიევს უკვე ჰქონდა შექმნილი საკუთარი ფილოსოფიური ტრაქტატი „ახალი ადამიანი“. საზოგადოება „ტულე“-ში მაშინ გაწევრიანებული იყვნენ ადოლფ შიკლგრუბერ– ჰიტლერი, შემდგომში ნაციონალ-სოციალიზმის ფუძემდებელი ალფრედ როზენბერგი, ფილოსოფოსი რუდოლფ შტაინერი, ფაშიზმის ეზოთერული მოძღვრების ავტორი ჰანს ჰორბირგერი. თავის დროზე, როგორც ამბობენ ამ საზოგადოების წევრები იყვნენ ვლადიმერ ულიანოვიც და პლეხანოვიც. როდესაც ადოლფ ჰიტლერი ეზოთერული მოძღვრებებით დაინტერესდა და „ტულე“-ს წევრი გახდა, გიორგი გურჯიევს უკვე მოვლილი ჰქონდა მთელი აღმოსავლეთი, შესანიშნავად იცნობდა ტიბეტს, შექმნილი ჰქონდა ახალი ადამიანის ტრაქტატი და ადამიანის ჰარმონიული განვითარების თეორია. მას უკვე ჰქონდა საკუთარი სკოლები პარიზში, მიუნხენში და ვენაში. ხოლო პეტერბურგის სკოლა უკვე დახურული იყო. ჰიტლერისთვის გურჯიევი გურუ გახდა და უდიდესი გავლენა ჰქონდა მასზე. ჰიტლერის ბიოგრაფიის მკვლევარები წერდნენ, რომ მას ტიბეტში მოგზაურობის აკვიატებული სურვილი ჰქონდა, რათა ლეგენდარული „შამბალა“-ს ტაძარი ენახა. ეზოთერიკების აზრით იქ უძველესი დედამიწისეული ცოდნა ინახებოდა. რაც შეეხება გურჯიევის და ჰიტლერის ურთიერთობას, ჰიტლერის მთავარი პოლიტიკური ნაშრომის „მაინ კამპფ“-ის , რომელიც პირველად 1928 წელს დაიბეჭდა, წიგნის რედაქტორი გიორგი გურჯიევი გახლდათ, ხოლო კორექტურა გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნოდა.

1930 წელს მათი გზები გაიყარა, რადგან გურჯიევის სიტყვებით, „ჰიტლერმა იდეას უღალატა და რამდენიმე ათეული მილიონი გერმანელიდან არიული რასის ანუ „ახალი ადამიანის“ რასის შექმნა გადაწყვიტა. სწავლების მიხედვით კი „ახალი ადამიანი“ მხოლოდ ერთეულები შეიძლება გახდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია.

1930 წლისთვის გურჯიევი შვეიცარიაში გადავიდა საცხოვრებლდ და ფაშისტურ რეჟიმთან ოფიციალური კავშირები გაწყვიტა.

მასონური ლოჟა „ტულე“ წლების განმავლობაში ერთ თეორიაზე მსჯელობდა. ცივილიზაციის ბედი, დიდი აფეთქების თეორია. მისი ავტორი ავსტრიელი ფიზიკოსი ჰანს ჰორბირგერია. იგი ცნობებით 66-ე ხარისხის ოსტატი იყო ფრანკმასონურ საზოგადოებაში.

ჰანს ჰორბირგერი ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი იყო ფაშისტურ გერმანიაში, თუმცა, ძალიან უცნაურად, გაურკვეველ გარემოში გარდაიცვალა 1929 წელს. მან შექმნა კოსმოგონიის თეორია. ჰორბირგერი წერდა:

როდესაც სამყაროს წარმოშობის მიზეზებზე ვმუშაობდი, ერთხელ ბავშვობის ამბავი გამახსენდა. სამჭედლო იყო ჩვენი სახლის გვერდით. ერთხელ, ზამთარში სამჭედლოში ყოფნისას ერთი უცნაური ამბავი ვნახე. გრდემლზე მჭედელი რკინას ჭედდა და ერთი ძლიერი დარტყმის შემდგომ რკინას ნაჭერი მოსძვრა და რამდენიმე მეტრის მანძილზე თოვლში ჩავარდა. ხოლო მერე უცებ თოვლი აფეთქდა და მისი ფანტელები რამდენიმე მეტრის მანძილზეც გაიფანტა. ამ ამბის გახსენებამ გამინათა გონება, რომ დამენახა სამყაროს წარმოშობის ისტორია.

„ყინულის და ცეცხლის მუდმივი ბრძოლის თეორია“ - ეს არის სამყაროს წარმოშობის არსი და მისი ისტორია წერდა ჰორბირგერი. ამ თეორიამ „ყინულისა და ცეცხლის მუდმივი ბრძოლა“ საფუძველი დაუდო გერმანული ფაშიზმის ოკულატურ მეცნიერულ დოქტრინას. იგი ზოგადად ასე ჟღერს.

„ყინულისა და ცეცხლი მუდმივი ომი“-ს თეორია მხოლოდ ოკულტური მოძღვრება იყო და მასონური ლოჟა „ტულე“-ს და სხვა ასეთივე ტიპის საზოგადოებების: „ბრილი“-ს, „ბრწყინვალე ლოჟის“ და სხვათა მიზანს ამ ოკულტური იდეაფიქსის ცხოვრებაში განხორციელება წარმოადგენდა. ამ მიზნის მისაღწევად საფუძვლად გამოყენებული იქნა გიორგი გურჯიევის ფილოსოფიური სწავლება ახალი ადამიანის შექმნის შესახებ, ხოლო პრაქტიკულ მექანიზმად ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგია შეიქმნა. კომუნიზმიც თავისი არსით ახალი ადამიანის შექმნის თეორიაა, რომელიც ახალი ადამიანის ანუ კომუნისტის შექმნის იდეაფიქსია, ხოლო სოციალიზმი მექანიზმია, რომლითაც ახალი ადამიანის ანუ კომუნისტის ჯიში უნდა იქნას გამოყვანილი. ძველ თაობას კარგად ახსოვს, რომ მეცნიერულ კომუნიზმში ასე ისწავლებოდა: სოციალიზმი არის ბაზისი და კომუნიზმი ზედნაშენი. ფაშისტური სწავლება იგივე პრინციპზე იყო აგებული: ნაციონალ-სოციალიზმი არის ბაზისი და ფაშიზმი კი ზედნაშენი. რუსული კომუნიზმი კლასობრივი თეორიის გზით წავიდა. საზოგადოების ინტელექტუალურად და გონებრივად ყველაზე ჩამორჩენილი კლასი, ლუმპემ პროლეტარიატი, ანუ არაფრის მქონე, პროგრესის ავანგარდად გამოცხადდა. კომუნისტების აზრით პროლეტარიატი ცარიელი დაფის მსგავსი არსება იყო, რომელზედაც ყველაფრის დაწერა შეიძლება, რასაც მოისურვებდი. გერმანული ფაშიზმი კი რასობრივი თეორიის მეხოტბე იყო და მხოლოდ გამორჩეულ რასას ანიჭებდა უპირატესობას, რომელიც შემდგომში ახალ ადამიანად ანუ არიული რასის შვილად უნდა გადაქცეულიყო.

თავი იმ ფაშისტური იდეაფიქსისა, რომელიც დედამიწაზე ებრაელების სრულ განადგურებას გულისხმობდა. თუ კომუნისტურ საზოგადოებაში მთავარი მოქმედი პირები იყვნენ მუშა და გლეხი, ხოლო ყველა დანარჩენი მხოლოდ მოსამსახურე, ფაშისტურ საზოგადოებაში გერმანელი ერის გარდა, ყველა სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვან დამხმარე ხალხების კლასიფიკაციად იყოფოდა. ასე ჩამოყალიბდა საბოლოო სახით ფაშიზმის მოძღვრება 1933 წლისათვის, როდესაც ჰიტლერი გერმანიის სათავეში მოვიდა.

1933 წელს გურჯიევის მხრიდან გერმანიის დატოვების კიდევ ერთი, საინტერესო მიზეზი, ერთი ფაქტიც იყო. 1933 წელს, როდესაც ჰიტლერი კანცლერი გახდა, ერთ- ერთი პირველი ბრძანებით დახვრიტეს მისი ეზოთერიკის მასწავლებელი და სულიერი მეგობარი ერიხ ლანცი. მისი დახვრეტის შემდგომ ჰიტლერისავე ბრძანებით გერმანიის ბიბლიოთეკებიდან ამოღებული იქნა ოკულტური ლიტერატურა და ეზოთერული სწავლებები. მისი სწავლება ქვეყანაში აიკრძალა და ვინც ამას გააკეთებდა სიკვდილით დასჯა ელოდებოდა. მხოლოდ ჰიტლერის მიერ შექმნილ მრჩეველთა საბჭოს ჰქონდა ამ თეორიების და ნაშრომების გამოყენების უფლება. საინტერესოა ისიც, რომ ჰიტლერმა ეს ნაბიჯი სხვისი წაბაძულობით

24 ბ.

მაგთა ბრძოლა

23 გვ.

გააკეთა. პირველად 1929 წელს სტალინმა გადადგა ეს ნაბიჯი. ეს თეორიები ანტიკომუნისტურ სწავლებებად მოინათლა და იგი სიკვდილის შიშით აიკრძალა საბჭოთა კავშირში. გურჯიევმა სავარაუდოდ იგრძნო, რომ მასაც იგივე ბედი ელოდა და მან სასწრაფოდ დატოვა გერმანია. თუმცა გურჯიევის სწავლება ჰიტლერის სამაგიდო წიგნებს შორის განსაკუთრებულ ადგილს მისი სიკვდილის ბოლომდე იკავებდა.

ფაშისტურ იდეოლოგიაში ქართველები და ტიბეტელები განსაკუთრებულ ადგილს იკავებდნენ. ფაშისტური იდეოლოგიის მამებისთვის საქართველოს ტერიტორიას და ქართველებს განსაკუთრებული ფილოსოფიური როლი ენიჭებოდათ, რადგან მათი აზრით, საქართველოში დედამიწის ენერგიის მთავარი დადებითი ღერძი გადიოდა, ხოლო ტიბეტში კი ატლანტიდან გადარჩენილი არიელები ცხოვრობდნენ, რომლის საშუალებითაც აპირებდნენ გერმანელი ერის გადარჩენას მომავალ კატასტროფაში. 1945 წლის აპრილის ბოლოს, როდესაც რაიხსტაგი ბოლო წუთებს ითვლიდა, მის დამცველთა რიგებში 700-მდე ტიბეტელი მეომარი იბრძოდა.

საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი ამ ოკულტური მოძღვრების არსი, რადგან თვით ფაშიზმის მამებიც კი ცდილობდნენ დაემალათ ეს ყველაფერი და მხოლოდ იშვიათად თუ ახმოვანებდნენ მის არსს.

ფრანგი ეზოთერიკის, ჟაკ ბერჟიეს წიგნში „მაგების განთიადი“ ორი ადამიანი ჭეშმარიტი დანაშაულის რაობაზე სუბრობს და დასკვნა ასეთი გამოვიდა. ადამიანში გენეტიკურად კოდირებული ადამიანური ღირებულებების შეცვლა ან მისი მცდელობა ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, არის ჭეშმარიტი დანაშაული, რადგან ეს ღმერთის მკვლელობას ნიშნავს. ფაშიზმიც და კომუნიზმიც ადამინის გენეტიკური კოდის შეცვლის მცდელობა იყო, რომელიც კრახით დამთავრდა, რადგან საბოლოოდ კეთილი სძლევს ბოროტს. ვფიქრობ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში როდესაც გურჯიევმა „მაგთა ბრძოლა“ დაწერა და პეტერბურგის თოჯინების თეატრში დადგა, სწორედ სტალინის და ჰიტლერის მომავალ ბრძოლას და მის შედეგებს გულისხმობდა. მისი ოცნება, შეექმნა ზეადამიანი განუხორციელებელი დარჩა. თუმცა ვინ იცის, დღევანდელ მსოფლიოში ადამიანთა რამდენი ჯგუფია დაკავებული არამარტო გურჯიევის ეზოთერული ცოდნის შესასწავლად, დასახვეწად და ადამიანების საწინააღმდეგოდ გამოსაყენებლად...

გიორგი გურჯიევმა თავისი ცხოვრების ბოლო ათწლეული შვეიცარიაში ქალაქ ლოზანაში გაატარა. იქ მას ჰქონდა საკმაოდ მოზრდილი მამული და შუასაუკუნეების სასახლე, სადაც საკუთარ სკოლაში „ადამიანის ჰარმონიული განვითარება“ 20-მდე მოსწავლეს ასწავლიდა.

(გაგრძელება იქნება)

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

მალხაზ გვალიას ხსოვნას

ჩემო ერთადერთო და განუმეორებელო დეიდაშვილო, ჩემო ძმაო, გაზაფხულზე, როცა სიცოცხლე ხარობს და ბუნება ნათელი ფერებით ივსება, მაშინ, შენი დაბადების დღეს, დაგვტოვე და წახვედი ამ ქვეყნიდან მარად დაუვიწყარ ზეციურ საუფლოში, დამიტოვე გულსაკლავი მოგონებები და გაუნელებელი მონატრება.

მსუბუქი იყოს შენს გულზე მშობლიური ქართული მიწა.

მუდამ შენზე მლოცველი **ჯილდა ასათიანი**

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

- რას ნიშნავს უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია?

- თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 5. უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია

1. პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.

2. არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ბრალმდებელს უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე.

3. მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

4. პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურდა მისი დაპატიმრების აუცილებლობა.

* * *

- არის თუ არა საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის ბრალდებულის, თუნდაც საკმაოდ დამაჯერებელი, აღიარებითი ჩვენება?

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

* * *

- სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. მტკიცებულება - მოწმის ჩვენება არის მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. მტკიცებულება- ნივთიერი მტკიცებულება არის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს.

* * *

- სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, რომელი დრო ითვლება ღამის დროდ?

- ღამის დროდ ითვლება, ხსენებული კანონმდებლობის მიხედვით, დრო 22 საათიდან 6 საათამდე.

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com